ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით | №25 (1726) | 6 – 12 ივლისი, 1999 წ. | ● ფასი 50 თეთრი

## ავთანდილ იმნაძე:

მესამე გვერდი



## მე ვურჩიე ზვიადს, რომ გადამდგარიყო...



## თავის დროზე ასლან აბაშიძემაც „მრგვალი მაგიდიდან“ იყარა კენჭი

მეორე გვერდი

## რატომ წვავენ ამერიკაში ეკლესიებს?

მე-12 გვერდი



## ჯაბა თავისი „მხედრიონით“ ჯერ კიდევ საშიშია?

მეორე გვერდი

## აღდგა სახალხო ფრონტი

მეორე გვერდი

## ეშმაკი ყველგან შეიძლება გამოჩნდეს, თუ ურწმუნო იქნები

მე-11 გვერდი



XX საუკუნე პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოების ყველა სფეროში ქალების აქტიური მონაწილეობის ხანაა.

მეხუთე გვერდი

## გურამ შარაძე პრეზიდენტის ინსტრუქციით ხელმძღვანელობს...

მესამე გვერდი

ელექტრონული ვერსია http:// www.opentext.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### განწვრთნის მეთოდი

არ გვინდა პლაგიატი ჩავიდინოთ. ამიტომ ყველა იდეას მის ავტორს შევუნარჩუნებთ (გვარის დაუსახელებლად).

ერთი ძალიან ლამაზი ქალი და ერთი საშუალო ჭკუის პოლიტიკოსი სამარშრუტო ტაქსით მგზავრობენ და სამშობლოს ბედზე საუბრობენ. პოლიტიკოსი ამბობს:

— შევარდნაძე თავისი გუნდის ყველა წევრს ცალ-ცალკე ჰპირდება, ჩემს შემდეგ პრეზიდენტი შენ იქნებიო.

ქალი ამბობს: — იაპონიაში ეს გეიშების განწვრთნის ძირითადი ხერხია. დღეში რომ ხუთ კაცთან საქმე დაიჭიროს, ყველას უნდა უთხრას, შენ მიყვარხარ, დანარჩენებს არაფრად ვაგდებო. მაგრამ ისე უნდა უთხრას, რომ იმან დაიჯეროს.

დღეს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე შევარდნაძის დარჩენის მომხრე პოლიტიკოსების და ვითომ-პოლიტიკოსების კარგა დიდ პროცენტს ეს იმედი ასულდგმულებს. ნაპოლეონისა არ იყოს, ისინი ის სამაგალითო ჯარისკაცები არიან, რომელთაც მარშლის კვერთხი ესიზმრებათ.



### მაშინ, მართლაც, ვაი, ჩვენს პატრონს!

ბატონმა აკაკი ბაქრაძემ განაცხადა — მოქალაქეთა კავშირმა და ედ. შევარდნაძემ ყურიც რომ არ გააბარტყუნონ, ხალხი მაინც მათ აირჩევსო.

დიახ, არსებობს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელსაც შევარდნაძე ქვეყნის გადამრჩენად მიაჩნია და ამ აზრს ვერაფერი შეაცვლევინებს, თუნდაც მისი პოლიტიკის წყალობით სახლ-კარი გადაებუგოს, დაკარგოს და მშიერ ლტოლვილად იქცეს, მაგრამ ასეთი ხომ მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია საზოგადოებისა. ერს განვითარება და სიცოცხლე არ უწერია, თუ ბოროტსა და კეთილს ვერ ირჩევს და დაშტამპული ცნობიერებით აზროვნებს. ნუ დაგვაჯერებთ, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა ასეთ დონეზეა დასული, ბატონო აკაკი, თორემ თუ ეს მართლაც ასეა და თქვენი პროგნოზი გამართლდება, მაშინ აღარც ბრძოლა ღირს ამ ქვეყნად და აღარც არსებობა. მაშინ, მართლაც, ვაი, ჩვენს პატრონს!

### ეს ქვეყანა თანამდებობის სკამების ფეხებზე ჰკიდია

ბატონმა არჩილ გოგელიამ ბრძანა — ნებისმიერმა თანამდებობის პირმა უნდა იცოდეს, როდის დატოვოს პოსტი.

ეგ რომ საქართველოში იცოდნენ მაღალმა გვამებმა, ბატონო არჩილ, მაშინ რა უჭირდა ჩვენს ქვეყანას. თანამდებობის სკამების ფეხებზე ჰკიდია ეს ქვეყანა ბევრს და მიტომაც არის ჩვენი საქმე უკულმა.

ამიტომ უნდა შეიქმნას კანონის ძალის მქონე რაღაც მორალური კოდექსი, რომლის დარღვევისთვის თანამდებობის პირი უნდა სტოვებდეს თავის პოსტს. ამგვარი კოდექსი ცივილიზებულ ქვეყნებში მოქმედებს და ამიტომაც ერიდებიან მორალის დარღვევას და უფრთხიან საზოგადოებისათვის სულში ჩაფურთხებას. ჩვენთან კი ხელისუფლების წაყრუებით და უფრო სწორად თუ ვიტყვით, ხელშეწყობით, თუ მავანი თანამდებობის პირი ანგარებით თუ უტვინობით აზარალებს ქვეყანას, ის მაინც დიდხანს სძოვს სამთავრობო ხალიჩას, მაგალითად, საფურაჟე საქონლის საჭმელი ხორბლის პურით თუ გაუხეთქავს კუჭს მოსახლეობას, ან თურქმენეთის გაზის საფასურად თუ ნახევარ საქართველოს გაიტანს უცხოეთში, ან ომს თუ სამარცხვინოდ წააგებს, ან ქართულ ფლოტს გემების გარეშე თუ დატოვებს, ან მოსახლეობას პენსიების, ხელფასებისა და სამუშაოს გარეშე დატოვებს, მაშინ უფრო შეიფერებს თანამდებობას და ჩინ-მედლებსაც არ დაიკლებს. ამაზე იტყვიან — აქაური წესია ესო.

### აღდგა სახალხო ფრონტი

ა. წ. 3 ივლისს, თბილისში, გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის დარბაზში გაიმართა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის IV ყრილობა, რომლის პირველი ნაწილი მიეძღვნა საქართველოს სახალხო ფრონტის დაფუძნების მე-10 წლისთავს. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, პარტიის პოლიტიკური მდივანი შოთა ნადირაშვილი, აღმასრულებელი მდივანი გოგი სორდია, ხონის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გია უგულავა, პარტიის წევრები: ავთანდილ იმნაძე, ვლადიმერ ხვედელიძე, სახალხო ფრონტის ყოფილი წევრები გიორგი ონიანი, დათო გუჯაბიძე. ყრილობას მიესალმნენ მოწვეული სტუმრები: თამარ ჩხეიძე, გურამ გოგბაიძე, გურამ შარაძე, ზურაბ მურვანიძე, ნარგიზ გვალია და სხვები.

ყრილობამ გადაწყვიტა, რომ გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს სახალხო ფრონტი.

ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა ეროვნული კომიტეტის მიერ მიღებული პარტიის პროგრამა და ემბლემა.

ყრილობაზე გაიმართა დისკუსია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიული მიმართულებების შესახებ.

## ინტერვიუ

# ჯაბა თავისი „მხედრიონით" ჯერ კიდევ საშიშია?



### ინტერვიუ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილესთან ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში, ქ-ნ რუსუდან ბერიძესთან

**— ქალბატონო რუსუდან, სულ მალე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გამო დავით სალარიძე იძულებული იქნება ომბუდსმენის თანამდებობა დატოვოს; სახალხო დამცველის შემდეგი კანდიდატურა შესაძლოა ქალი იყოს, საქმე კი საკმაოდ რთული და შრომატევადია. შეიძლება ეს მისია ქალმა იტვირთოს?**

— ქალის და მამაკაცის დამოკიდებულებაში მე სრული თანასწორუფლებიანობის მომხრე ვარ და მიმაჩნია, რომ ჭკვიანი და გონიერი ქალიც გაართმევს საქმეს თავს და კაციც. თუმცა ომბუდსმენს ალბათ, ჭკუის, გონების, ცოდნის, კვალიფიკაციის გარდა კიდევ სჭირდება ღრმად გამორჩეული ადამიანური თვისებები — გულისხმიერება, ადამიანების მიმართ თანაგრძნობით დამოკიდებულება და მათი გასაჭირის გაზიარების უნარი, ომბუდსმენთან ხომ დალხინებული ადამიანი არასოდეს მიდის. სახალხო დამცველის მომავალი კანდიდატურა სერიოზულად უნდა იქნას განხილული. ომბუდსმენი ქალი გახდება თუ მამაკაცი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც ამ საქმის გაძღოლას შეძლებს. ბატონმა დავითმა უკვე ჩაყარა ფუნდამენტი იმისთვის, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტი საქართველოში მუშაობდეს; ახლა ახალ მოსულისათვის საქმის გაძღოლა უფრო გაიოლდება;

**— არასამთავრობო ორგანიზაციები სახალხო დამცველის პოსტისათვის თავის კანდიდატურას ეძებენ. ხელისუფლების მხრიდან კი დიდია ალბათობა, არჩევანი რუსუდან ბერიძეზე შეჩერდეს.**

**თავად ქალბატონი რუსუდანი რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ქალბატონი რუსუდანი ფიქრობს, რომ საკმაოდ სერიოზულ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს იქ, სადაც დღეს არის, და თანაც მოსწონს ის საქმე, რასაც აკეთებს.

მე ამ სამსახურის დატოვებას არ ვფიქრობ, ბატონი ნუგზარის დახმარებით, პრეზიდენტის გვერდზე დგომით ეს სამსახური უკვე შეიქმნა და ბევრ საქმეს აკეთებს. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს აქ გასაკეთებელი, ამიტომ ჩემი კანდიდატურა გამორიცხულია სახალხო დამცველის თანამდებობაზე.

**— ამერიკის დეპარტამენტის 1998 წლის მოხსენებაში სალარიძეზე გარკვეული პრეტენზიები გამოითქვა, რომ იგი აქცენტს სოციალურ პრობლემატიკაზე აკეთებსო. თქვენი აზრით, ბატონმა დავითმა გაართვა თავი თავის მოვალეობას?**

— სახალხო დამცველი იმდენად რთული თანამდებობაა, რომ, ალბათ, 10-15 სახალხო დამცველი რომ გვეყოლება, მეთხუთმეტეზეც ვერ ვიტყვით, სრულყოფილად გაართვა თავი მოვალეობასო. ბატონმა დავითმა კი რაც შესაძლებლობები იყო დღეს ჩვენთან, იმ ფარგლებში ნამდვილად ძალიან ბევრი რამ გააკეთა;

ძალიან ხშირად საერთაშორისო დონეზე შეხვედრებისას ბოლო ათწლეულში უმეტესად საუბრებია ადამიანის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე და განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სოციალურ უფლებებზეც. ეს უფლებები თანაბარ ჭრილში უნდა იხილებოდეს. ბატონი დავითი ამ სოციალურ უფლებებს თუ დიდ ყურადღებას უთმობდა, ეს ნაკლში კი არ უნდა ჩაეთვალოს, მისი დადებითი მხარეა და ამ თვალსაზრისით ამერიკის დეპარტამენტის მოხსენებას ვერ დავეთანხმები.

**— მომავალი ომბუდსმენობის კანდიდატებზე რას გვეტყოდით?**

— ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არ გახლავთ. არსებობს კანონი, რომლის თანახმად კანდიდატურა შეუძლია წარადგინოს საქართველოს პრეზიდენტმა, პარლამენტის ათკაციანმა ჯგუფმა, საპარლამენტო ფრაქციამ. ეს საკითხი შემდგომში გადაწყდება, ალბათ, ჯერჯერობით ბატონი დავითის მოადგილე, თემურ ლომსაძე გააგრძელებს ამ სამსახურს.

**— სალარიძემ ელენე თევდორაძე „მემკვიდრედ" დაიწუნა. ელენე თევდორაძე არ იქნება თქვენი კონკურენტი უკვე გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ მაინც მის კანდიდატურაზე რას ფიქრობთ?**

— პირიქით, მე არ ვიქნები ელენე თევდორაძის კონკურენტი. სხვა მხრივ, კიდევ გიმეორებთ, ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არ არის, რაკი ქალბატონ ელენეს უნდა, ალბათ, თავის თავში გრძნობს ამ შესაძლებლობებს.

**— ამ ცოტა ხნის წინ, როგორც ვიცით, ქალბატონმა ელენე თევდორაძემ დაგირეკათ და რბილად რომ ვთქვათ, საყვედურებით აგავსოთ. დღეს როგორი ურთიერთობაა თქვენსა და ელენე თევდორაძეს შორის?**

— ჩვენი ურთიერთობა აბსოლუტურად გამოსწორებულია, არავითარი საყვედურები და არანაირი დაპირისპირება ჩვენს შორის არ არის. ჩვენ ერთ საქმეს ვემსახურებით და არ შეიძლება ერთი საქმის მსახურ ადამიანებს შორის გამწვავებული ურთიერთობა, დაპირისპირება იყოს. ჩვეულებრივი ურთიერთობის დროს მიღებული წყენა და საყვედური არ ნიშნავს, რომ ორ ადამიანს შორის ურთიერთმიუღებლობაა. ასეთი შემთხვევები სრულიად ბუნებრივია, როცა საქმე კეთდება.

**— საყვედური მაშინ მიიღეთ მისგან, როცა თენგიზ კიტოვანი ციხიდან გამოვიდა.**

— აქ არაფერ შუაშია თენგიზ კიტოვანი.

**— მგონი ვიღაცის გათავისუფლებას დაჰპირდით ქალბატონ ელენეს და არ შეუსრულეთ...**

— ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი, ამდენად აქ ჩემი როლი ძალიან მცირე იყო, ამდენად, ეტყობა, გაუგებრობა მოხდა, რაც შეეხება თენგიზს, მან ქალბატონ ელენეს დიდი მადლობა გადაუხადა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი თენგიზის გათავისუფლების მომხრე იყო დავით სალარიძე, ელენე თევდორაძე და მეც, ყველაფერ ამას მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარი იყო ის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად ჩათვალა გამოეყენებინა თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილება და რადგან ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ მას, ერთადერთს გააჩნია ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ გადაწყვეტილება, ცხადია, მისი იყო.

**— ბოლო დროს ინტენსიურად ვის გათავისუფლებაზე მუშაობთ?**

— კონკრეტულ პიროვნებაზე არ ხდება ასეთი რამ. ახლა ვფიქრობთ შეწყალების მეორე ეტაპის განხორციელებაზე, მიმდინარეობს კონსულტაციები გენერალურ პროკურორთან, მის მოადგილესთან, საბოლოო სიტყვას იტყვის ბატონი კახა თარგამაძე. პრინციპები შემუშავდება, პრეზიდენტს წარვუდგენთ და დაიწყება მუშაობა შეწყალების მეორე ეტაპის განხორციელებაზე — არა კონკრეტულ პიროვნებებზე, არამედ პრინციპებზე, რა პრინციპებით მოხდება

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

## ინტერვიუ

### ვახტანგ ცაგარეიშვილი:

# თავის დროზე ასლან აბაშიძემაც „მრგვალი მაგიდიდან" იყარა კენჭი

### ინტერვიუ ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარესთან ვახტანგ ცაგარეიშვილთან

**— ბატონო ვახტანგ, არჩევნები მოახლოვდა და სხვადასხვა დაჯგუფებების და გაერთიანებების რიცხვმაც თანდათან მოიმატა. „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოც" ამ სიას მიეკუთვნება. ვინ გაერთიანდა ამჯერად თქვენთან და რამდენად მყარია ეს კავშირი?**

— „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო", როგორც იცით, არის პოლიტიკური ბლოკი, რომელშიც უსასრულო ოდენობის პარტიების გაერთიანება შეიძლება, ბოლო დროს ჩვენს ბლოკში ვიყავით ხუთი პარტია, ერთი პოლიტიკური გაერთიანება დაგვემატა. „გზა ხსნისა" „მრგვალ მაგიდაში" შემოვიდა. ეს გახლავთ ძალიან დიდი მნიშვნელობის ნაბიჯი ეროვნულ მოძრაობაში.

გაერთიანება ძალიან ძნელი საქმეა. დღეს ვერ დაასახელებთ ისეთ კავშირს, სადაც არ არის გარიგება. გაერთიანება კი სულ სხვა რამაა.

ერთსა და იმავე ერში, ერთსა და იმავე დროს წარმოუდგენელია ორი ეროვნული მოძრაობა რომ იყოს. ეროვნული მოძრაობა ერთია და ეს ერთადერთი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" გახლავთ. ეს არის პოლიტიკური ბლოკი, რომელიც არ გვეკუთვნის არც ჩვენ, არც თენგიზ კიკაჩეიშვილს, არც სხვებს. ქართველი ერის კუთვნილება გახლავთ, რადგან 1990 წელს ქართველების (და არა საქართველოს მოსახლეობის) 54% „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" აირჩია. 100%-ს გამოაკელით 30%, რომელიც არაქართველ მოსახლეობას წარმოადგენს. კარგად დაინახავთ, რომ ხმა მხოლოდ და მხოლოდ 16% არ აქვს 62 მიცემული „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოსთვის" . ამიტომ არის იგი ერის კუთვნილება, ამ მოძრაობამ უნდა მოახდინოს ქართველი ერის ეროვნული ინტერესების რეალიზაცია. დღეს ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს არა იმის გამო, რომელი ეკონომიკური პროგრამა უნდა მიიღოს ამა თუ იმ პარტიამ, არამედ იმის გამო, საქართველო ჩამოყალიბდეს თუ არა სახელმწიფოდ, რუსეთთან ვიყოთ ისე, როგორც ბელორუსია, თუ არა, გვქონდეს ის ტერიტორიები, რომლებიც ისტორიულად საქართველოს საკუთრებაა — აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, თუ გნებავთ აჭარაც, თუ არა?

როგორც კანონი, ბუნებაში ერთიანობა არ არსებობს, არსებობს დაშლა, მაგრამ ვისაც ეს კარგად ესმის, მას შეუძლია, ერთიანობა გააკეთოს.

**— აზრი, რომ ეროვნული მოძრაობა კომპრომეტირებულია, მაინც არსებობს...**

— ვინც ეროვნული მოძრაობის ნამდვილი წარმომადგენელია, დღეს იქნება თუ ხვალ, სულერთია, ჩვენთან მოვა, ჩვენ გავერთიანდებით. სხვაგვარად

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვიუ

## ავთანდილ იმნაძე:

# მე ვურჩიე ზვიადს, რომ გადამდგარიყო...



*ავთანდილ იმნაძე ყოფილი დისიდენტი და ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრია. იგი იყო ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას თანამებრძოლი, სახალხო ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ენერგიული მონაწილე.*

*ბ-ნი ავთანდილი ყოფილი გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის, ამჟამად აღდგენილი სახალხო ფრონტის წევრია. განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ბ-ნი ავთანდილი წლების მანძილზე არ გამოჩენილა პრესის ფურცლებზე და ეს ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, შეიძლება ჩავთვალოთ ექსკლუზიურ ინტერვიუდ.*

**— ბატონო ავთანდილ, თქვენ საქართველოს სახალხო ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ. წლების მანძილზე თქვენ პოლიტიკის გარეთ იყავით. რას მივაწეროთ თქვენი პოლიტიკაში და კერძოდ, გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში (აწ უკვე აღდგენილ სახალხო ფრონტში) დაბრუნება?**

— მართალი ბრძანდებით, მოგახსენებთ. საქართველოში სამხედრო გადატრიალების შემდეგ ვმუშაობდი კონტროლის პალატაში თავმჯდომარის მოადგილედ და, ვფიქრობ, უფლება არ მქონდა, ვყოფილიყავი რომელიმე პარტიაში. როდესაც თანამდებობიდან გადავდექი, მას მერე მქონდა შესაძლებლობა და შემოთავაზება რამდენიმე პარტიისაგან, მათ შორის პარტიის ლიდერის და თავმჯდომარის პერსპექტივითაც, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო არ მქონდა სურვილი, პოლიტიკაში დაბრუნებისა. უფრო მეტიც, ინტერვიუც იკი არავისთვის მიმიცია. 6-7 წელია, რაც არც გაზეთში, არც რადიოში და არც ტელევიზიაში არ გამოვსულვარ. ამ ცოტა ხნის წინ გადავწყვიტე, რომ ასე, უმოქმედოდ ყოფნა არ შეიძლება და მივედი, ალბათ, იქ, სადაც უნდა მისულიყავი, სახალხო ფრონტში, რომელიც, როგორც თქვენ სწორად ბრძანეთ, გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიად იწოდებოდა. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ორი პოლიტიკური ცენტრის შესახებ, თბილისურისა (მოქალაქეთა კავშირი — ედუარდ შევარდნაძე) და ბათუმურის (აღორძინების კავშირი — ასლან აბაშიძე) და აქედან გამომდინარე, იქმნება და იქმნება „მესამე“ ცენტრები. ჭეშმარიტად მესამე ცენტრი კი სწორედ აქ არის, სადაც უკვე ამ ეტაპზე, ალიანსში არიან ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნულ-რადიკალური პარტია და გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია (ამჟამად უკვე სახალხო ფრონტი). სწორედ აქ მოღვაწეობენ ისეთი ჭეშმარიტად ეროვნული სულის ადამიანები, როგორებიც არიან ბატონები: ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, გურამ გოგბაიძე, ქალბატონი თამარ ჩხეიძე და სხვები, რომელთა ეროვნულობაში და, რაც მთავარია და, რაც კიდევ უფრო დეფიციტია დღეს, წესიერებასა და პატიოსნებაში იოტისოდენადაც არ მეპარება ეჭვი, გარდა ამისა, მიდინარეობს კონსულტაციები და მოლაპარაკებები სხვა, ეროვნული ორიენტაციის ძალებთან, რომელთაგან აღვნიშნავდი ნაციონალისტურ პარტიას ზაზა ვაშაყმაძის თავმჯდომარეობით. ეს

გაგრძელება მეშვიდე გვერდზე

*აქტიურ პოლიტიკაში აქტიური ჩაბმით „აქტიურ ფორმას“ იღებს ურთიერთდაპირისპირებები. პარტიები, ფრაქციები, ორგანიზაციები, კავშირები, ლამისაა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდონ ერთმანეთს.*

*2 ივლისს სპორტის სასახლეში ჩატარდა ნაციონალური მოძრაობა — „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ ყრილობა (ლიდერი ბატონი გურამ შარაძე), რომელიც არ იყო გამონაკლისი „პოლიტიკური შეხლა-შემოხლით“. გურამ შარაძის და ნაციონალისტთა ლიდერის, ზაზა ვაშაყმაძის დაპირისპირებამ გაკვირვება გამოიწვია, რადგან ისინი აქამდე თანამებრძოლებად ითვლებოდნენ.*

*სახალხო ფრონტის IV ყრილობაზე მოწვეულ სტუმართა შორის ორივე ლიდერი გახლდათ და კომენტარი ვთხოვეთ.*

## გურამ შარაძე:

# მე ვურჩევ ზაზა ვაშაყმაძეს — გაუფრთხილდეს საკუთარ ღირსებას...



**— ბატონო გურამ, რა კომენტარს გაუკეთებთ ნაციონალისტთა ლიდერის თქვენს წინააღმდეგ გამოსვლას?**

— ეს იყო წმინდა წყლის დებოში. მე ვიცი, საიდან მოდის, საიდან იმართება, საიდან ფინანსდება ბატონი ზაზა ვაშაყმაძის უკანასკნელი თვეების მოქმედებანი ჩვენს წინააღმდეგ. მე ყველაფერ ამას ვუყურებ უფროსი კაცისგან შემნდობი თვალით, ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, ბატონი ზაზა ყოველთვის მადლიერი იყო, რომ პარლამენტის წევრებიდან მხოლოდ მე გავუწოდე მას პარტნიორობის, თანამშრომლობის ხელი, შემიძლია დოკუმენტურად პრესაში გაკეთებული განცხადებები მოგიტანოთ. შემდგომ, წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა მისი გარიგება ფულიან, ძლიერი ხელისუფლების მქონე ძალასთან.

მე ვუსურვებ, მალე განთავისუფლდეს ამ სენისაგან. ის ახალგაზრდა კაცია და მალე ჩაიძირება ამ ჭუჭყში. ახალგაზრდობიდან რომ ჭუჭყში იქნები, მერე ძნელია მისგან განწმენდა.

მე ვურჩევ ზაზა ვაშაყმაძეს — გაუფთრხილდეს, პირველ რიგში საკუთარ ღირსებას, თუ სხვის ღირსებას არ უფთრხილდება. დაქრავებასაც და დაფინანსებასაც აქვს საზღვარი.

**— ზაზა ვაშაყმაძისთვის წინასაარჩევნოდ მომგებიანი ხომ არ იყო თქვენს წინააღმდეგ გამოსვლა?**

— რა თქმა უნდა. მას უნდა, რომ გამოჩნდეს. მე არა ვარ ამის წინააღმდეგი, ოღონდ უღირსად ნუ გამოჩნდება.

## ზაზა ვაშაყმაძე:

# გურამ შარაძე პრეზიდენტის ინსტრუქციით ხელმძღვანელობს...

— მე და ნაციონალისტური პარტია ამ ყრილობაზე მიწვეულები ვიყავით. ეს ყრილობა ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რათა გამოგვეყენებინა პოლიტიკური ტრიბუნა და სიმართლე დაგვეფიქსირებინა. ეს შანსი, პირდაპირი მნიშვნელობით, ხელიდან არ გავუშვით. მოსაწვევი ერთგვარი დამცავი მექანიზმი იყო, რომ, თუ რამე ექსცესი მოხდებოდა, პროვოკაცია ჩვენ არ დაგვბრალდებოდა.

**— ე. ი. წინასწარ ფიქრობდით, რომ რაღაც ექსცესი მოხდებოდა?**

— არა, წინასწარ კი არ ვფიქრობდით, ბატონი გურამის ხასიათიდან, მისი ბოლოდროინდელი გამოსვლებიდან და ამბიციებიდან გამომდინარე, მისგან რაღაცას მოველოდით. მე მასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა, მეგობრულიც და პოლიტიკურიც. ამდენად, კარგად ვიცნობ.

**— რა გახდა ყრილობაზე თქვენი დაპირისპირების მიზეზი?**

— როგორც მიწვეულმა სტუმარმა, წერილობით მივმართე პრეზიდიუმს, მოეცა ჩემთვის სიტყვის უფლება, რამაც მანუჩარ მაჩაიძისა და გურამ შარაძის აღელვება გამოიწვია.

**— ეტყობა, თქვენგან არაორდინალურ განცხადებას ელოდნენ.**

— კარგად გამიგეთ, ნაციონალისტებისაგან ყოველთვის ელოდებიან, რომ ისინი სიმართლეს იტყვიან და არაფერში უკან არ დაიხევენ. ეს ყველაზე კარგად ბ-მა გურამმა იცის.

მანუჩარ მაჩაიძე მოვიდა ჩემთან და მითხრა, ბ-ნ გურამს აინტერესებს, რაზე უნდა ილაპარაკოო, რა, ნოდარ ნათაძე რომ გამოვიდა, წინასწარ შეგითანხმათ, რაზე უნდა ესაუბრა-მეთქი. მაჩაიძე გაბრუნდა. მე რამდენიმეჯერ ავაგზავნე ხალხი და პირადად ბ-ნ გურამსაც ვთხოვე, რომ მოეცა გამოსვლის უფლება. მან მიპასუხა: რადგანაც შენ ჩემი ძველი მეგობარი და პარტნიორი იყავი, სულ ბოლოს მოგცემ სიტყვასო. მე ეს ალოგიკურად მივიჩნიე, რადგან დარბაზი უკვე ცარიელდებოდა, რაიონებიდან ჩამოსული დელეგატები ტოვებდნენ დარბაზს (მოტივით, დიდი გზა არის და წასასვლელები ვართო) და ცარიელ დარბაზში ხომ არ გამოვიდოდი.



ვისარგებლე იმით, რომ კათედრა თავისუფალი იყო და მივედი მიკროფონთან. შარაძე ცდილობდა თავისი მიკროფონით ჩემი ხმა ჩაეხშო. მომვარდა პირადი დაცვა და მიკროფონი ძალით წამართვა.

**— ასეთი რა განცხადება უნდა გაგეკეთებინათ?**

— სიმართლე უნდა მეთქვა, რაც აქამდე არ მითქვამს და რაც ხალხმა არ იცის. აქამდე თავს ვიკავებდი, რადგან ბატონი გურამი შვილის გარდაცვალების გამო მგლოვიარედ იყო.

მე მინდოდა მეთქვა, ეს მოძრაობა ვისი დაფინანსებულია, ვისი დავალებით და დაკვეთით მუშაობს. დასკვნის სახით განვაცხადებდი, რომ შარაძე პრეზიდენტის ინსტრუქციით ხელმძღვანელობს. პრეზიდენტს ურჩევნია ჰყავდეს კონტროლირებადი გურამ შარაძე და „ნაციონალური მოძრაობა“, ვიდრე უკონტროლო ნაციონალისტური პარტია და ზაზა ვაშაყმაძე.

სტყუის და ცრუობს გურამ შარაძე და მისი გუნდი, როცა აცხადებენ, ბრძოლას დავიწყებთ დაბადების მოწმობაში ეროვნების გრაფის აღსადგენადო. როცა მოქალაქეთა რეგისტრაციის კანონი მიიღეს 1996 წ. 27 ივნისს, გურამ შარაძეც ესწრებოდა, ის არც წინააღმდეგი იყო, არც — მომხრე, დუმილი კი თანხმობის ნიშანია. დაბადების მოწმობიდან ეროვნების ამოღების შესახებ განცხადებით აქვს ხმა მიცემული.

მე მიმაჩნია, რომ ამ ყრილობაზე გურამ შარაძე და მისი მოძრაობა დამარცხდა.

**— თქვენი გამოსვლის შედეგად?**

— რა თქმა უნდა. იქ მყოფი ხალხის ნახევარი მოითხოვდა, ჩემთვის გამოსვლის უფლება მოეცათ. როცა ბანაკი ორად იყოფა, ეს უკვე დამარცხების ნიშანია.

ესაუბრა ამრიტა ჯანაშია

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

# ამიტომაც არის ზანგი ფრანგი...

მწერალი ოტია იოსელიანი ჭკუას გვარიგებს — „ახლა ცდილობს მავანი, ყველანი რომ ერთი სახელით მოინათლოს, ყველანი რომ გაასაქართველოსმოქალაქეოს... კი მარა, ი კაცი სომეხი როა? რატომ ვართმევთ თავის ეროვნებას? რატომ ვიბრიყვებთ? რა, შენზე ნაკლები ხნისაა თუ შენზე ნაკლები კულტურის!... კი ბატონო, „საქართველოს მოქალაქეში“ მექანიკურად იგულისხმება, შენ რომ ქართველი ხარ, მაგრამ ის? ის ხომ შეიძლება ოსიც იყოს, რუსიც, სომეხიც! ვთქვათ, მე რომ გავუსინჯო ფრანგს პასპორტი და იქ ეწეროს „საფრანგეთის მოქალაქე“, მე კი ვიგულისხმებ, რომ ის ფრანგია, მაგრამ ზანგებით რომაა საფრანგეთი სავსე, ზანგი რაფრათაა ფრანგი?!

დარწმუნებული ვარ, შეურაცხმყოფელი იქნება ეს ამბავი იმ ერების წარმომადგენლებისათვის, ჩვენთან რომ ცხოვრობენ და თავიანთ ენას, კულტურას, სარწმუნოებას და ტრადიციებს ინარჩუნებენო“.

გვაპატიოს მკითხველმა ამხელა ციტატის მოყვანისათვის, მაგრამ ეს არის კლასიკურად ჩამოყალიბებული შეხედულება იმ ადამიანთა, ვინც წინააღმდეგია პასპორტში ჩაეწეროს „საქართველოს მოქალაქე“. ახლა, მოდით, ცოტა ვიმსჯელოთ. თუკი ფრანგმა დაუშვა ის, რომ ზანგიც ფრანგად ქცეულიყო და მისთვის ფრანგობა არ დაიშურა, ჩვენ რა წმინდა სისხლიანობა აგვიტყდა, რომ ხელი არ შევუწყოთ იგივე ოსს, სომეხს თუ ქურთს და თუნდაც რუსს, საბოლოოდ გაითავისოს და შეისისხლხორცოს ქართველობა? ასე რომ ეძახებინათ ალმაშენებლის მიერ ჩამოსახლებული 40 ათასი ყივჩაღური ოჯახის შთამომავლებისთვის, შენ ყივჩაღი ხარო, ხომ დღესაც ყივჩაღები იქნებოდა ის ხალხი და იქნებ ყივჩაღეთის ავტონომიაც მოეთხოვათ. სომხებისა და ოსების კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებაზე ზრუნვის მეტი ვითომ ქართველებს? მეტი არა გვაქვს პრობლემა? ისინი თავიანთ ეროვნულ ინტერესებზე ნაკლებად ზრუნავენ, ჩვენ რომ არ ვიტეხოთ თავი? მხარგრძელებისთვის, ყუბასარებისთვის, ორბელიანებისთვის და კიდევ მრავალი არაქართული წარმოშობის გვარის წარმომადგენლებისთვის რომ ასე ეძახებინათ ჩვენს წინაპრებს, შენ არაქართველი ხარ და არ გაქართველდეო, ვითომ ეს წაადგებოდა ამ ხალხის საქართველოს ინტერესების სამსახურში ჩაყენებას?



მსოფლიოში არ არსებობს სულ მთლიანად წმინდა ეროვნული სისხლის მქონე ერი. ისტორიულ ქარტეხილებში ხდებოდა ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა ერთა შერწყმა, ძირითადად კი მოსული ერის ასიმილაცია ადგილობრივ ერთან მისი ენის, ტრადიციების, სარწმუნოების გათავისებით. ასე იყო ჩვენთანაც და ქართული იდეოლოგიის ქვაკუთხედად ეგ ამოცანა უნდა იყოს, რომ სხვა ერების წარმომადგენლები ისე უნდა ჩადგნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სამსახურში, რაც უნდა გამოიხატოს საქართველოს სახელმწიო ენის — ქართული, სავალდებულო ცოდნითა და საქართველოს ეროვნულ არმიაში მსახურობით, რომ თითოეულმა მათგანმა ქართული სახელმწიფოს მთავარი ერის — ქართველი ერის განუყრელ ნაწილად უნდა წარმოიდგინოს თავი. ამას აკეთებს ყველა ცივილიზებული ერი, ისეთიც კი, ჩვენ რომ კოსმოპოლიტებად გვეჩვენება. აი, ამიტომაც არის ზანგი ფრანგი, ბატონო ოტია.

# ყველაზე დაგვიანებული რეისები

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა — „ჩვენ აფხაზეთში ცეცხლითა და მახვილით დაბრუნება არ გვინდა, ჩვენ რკინიგზებითა და ავტომაგისტრალებით დავბრუნდებით“. თქვენს პირს შაქარი, ბატონო ედუარდ, მაგრამ თქვენთვის რომ დაეჯერებინათ ლტოლვილებს და რკინიგზის ბაქნებზე და ავტომაგისტრალებზე გასულიყვნენ აფხაზეთში მატარებლებითა და ავტობუსებით დასაბრუნებლად, მაშინ გინესის წიგნში შესატანი ყველაზე დაგვიანებული რეისები ექნებოდათ. ექვსი წელია თვალებამოღამებულნი იცქირებიან აფხაზეთისკენ მშობლიურ კუთხეს მოწყვეტილი ლტოლვილები, მაგრამ გაბუნდოვანებული მოგონებების მეტს ველარას ხედავენ.



# საქართველოს სახალხო ფრონტის IV ყრილობის მონაწილეთა ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო!

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ისარგებლოთ თქვენი კონსტიტუციური უფლებებით და არ მოაწეროთ ხელი პარლამენტის საარჩევნო კანონს მანამდე, სანამ მას არ მიეცემა ისეთი სახე, რომელიც დააკმაყოფილებს საარჩევნო დემოკრატიის ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნებს. სახელდობრ:

1. ყველა დონის საარჩევნო კომისიების ფორმირება მოხდეს არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიის განსაზღვრული წარმომადგენლობით.

2. პროპორციული სისტემის მონაწილე პარტიებმა, რომელთა ხმების ჯამი მიაღწევს 51%-ს, მიიღონ, პროპორციულად მონაწილეობა ყველა ხმების განაწილებაში.

3. აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ მიიღოს აფხაზეთის კუთვნილი დეპუტატების პროპორციული სიით არჩევის უფლება.

4. მოწესრიგდეს ამომრჩეველთა საარჩევნო რეგისტრაცია. ამომრჩევლებზე, ყველაზე უკლებლივ, სახელმწიფო ხარჯებით გაიცეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები. აიკრძალოს ყოველგვარი დამატებითი სიები და ხმის მიცემის უფლების მოწმობები. მოხდეს ამომრჩეველთა სიების წინასწარი გამოქვეყნება უბნებზე.

5. მაჟორიტარული წესით დეპუტატთა არჩევა მოხდეს დღემდე არსებული საარჩევნო კანონით.

აღნიშნული ცვლილება საარჩევნო კანონში აუცილებელია, რათა ხალხს პარლამენტისადმი ნდობა ჰქონდეს.

მეორე გვერდიდან

# ჯაბა თავისი „მხედრიონით“ ჯერ კიდევ საშიშია?



ფიქრი სექტემბერში შესრულებაზე.

**— ამ ბოლოს დროს ბევრს საუბრობენ ჯაბა იოსელიანის გათავისუფლება-არგათავისუფლების შესახებ. როგორც ცნობილია, პრეზიდენტი არ აპირებს მის შეწყალებას. რატომ? საპატიმრომ მისი „გაუვნებლება“ ვერ შეძლო და ჯერ კიდევ „საშიშია“ ჯაბა თავისი მხედრიონით?**

— ბატონ ჯაბასთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ იგი სერიოზულად ავად ბრძანდებოდა და მე ვფიქრობ, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწესრიგებულიყო. ღმერთის წყალობით ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ბატონი ლაურ მანაგაძის უდიდესი ოსტატობის მადლობელები უნდა ვიყოთ. ბატონი ჯაბა თავს კარგად გრძნობს. მკურნალობის კურსი დასრულდება.

რაც შეეხება მის შეწყალებას, დავიწყოთ იქიდან, რომ მას შეწყალება არავისთვის არ უთხოვია, იგი უარს აცხადებს ასეთი ფორმით გათავისუფლებაზე, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილი საუბრობს იმის შესახებ, რომ გარკვეული რეკომენდაციებით შევიდნენ პრეზიდენტთან, პარლამენტის წევრები აპირებენ ამას, აქ საბოლოო გადაწყვეტილება პრეზიდენტის არის და მე ვერაფერს გეტყვით, რით დასრულდება.

**— როგორ გგონიათ, ყველა მსჯავრდებულზე ისე ზრუნავს სახელმწიფო და პრეზიდენტი, როგორც ჯაბა იოსელიანზე?**

**პრეზიდენტის განცხადება იმის თაობაზე, რომ თუ საჭირო გახდება უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა, სახელმწიფო ამაზედაც წავაო, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ შევარდნაძე ჯაბას თანაუგრძნობს და მის პროტესტს უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევის შესახებ იზიარებს, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო(?), გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია?**

— როდესაც მსჯავრდებული ავად არის, პენიტენციალური სისტემა ვალდებულია, იზრუნოს მის ჯანმრთელობაზე. მე დაგეთანხმებით, ბატონი ჯაბა ამ მხრივ განსაკუთრებული შემთხვევა გახლავთ. ცხადია, ბევრ მსჯავრდებულს გაცილებით რთული და სერიოზული ოპერაცია გაკეთებია იმავე ციხის საავადმყოფოში და ამის შესახებ არც პრესას, არც ტელევიზიას არაფერი უთქვამს. თვითონ მსჯავრდებულის პიროვნება არ იყო არც ცნობილი და არც საინტერესო. მე ამას საყვედურის თვალსაზრისით არ ვამბობ პრესის და ტელევიზიის მიმართ. სრულიად გასაგებია ჯაბას პიროვნებისადმი განსაკუთრებული ინტერესი. ხოლო ბატონი პრეზიდენტის განსაკუთრებულ ყურადღებაზე თუ ვისაუბრებთ, ჯაბას მიმართ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ისინი რამდენიმე წელი გვერდი გვერდ იყვნენ, ამ მუშაობაში ბევრი კარგი რამ იყო ისე, როგორც ორი ადამიანის ურთიერთობა — ამის გარეშე არ არსებობს, თანაც ასეთ მაღალ დონეზე. ალბათ, ბევრი ცუდიც იყო ურთიერთობაში, მაგრამ...

ერთ-ერთ გაზეთში საყვედური მივიღე, რატომ არის ბატონი ჯაბა არაორდინალური პიროვნებაო, რა ვქნა, ბატონი ჯაბა ნამდვილად არის არაორდინალური პიროვნება, მას ბევრი დამსახურებაც გააჩნია, ამას ვერავინ ვერ უარყოფს, დანაშაულიც აქვს, მაგრამ ცხადია, რომ ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდათ და როცა ჯაბას გაუჭირდა, სრულიად ბუნებრივია, რომ ბატონმა პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება გამოხატა მის მიმართ. ეს ბატონ ედუარდს, როგორც ღრმა გულისხმიერ ადამიანს ახასიათებს და ადამიანურად ჩემთვის სრულიად გასაგებია.

**— ჯაბას დაკავება კანონდარღვევით მოხდა. ამ თემაზე გახშირებულ საუბრებს და ჯაბას პროტესტს რეაგირება არ მოჰყოლია...**

— ამ კითხვის ადრესატი მე არა ვარ. ამ საკითხზე ბატონ ჯაბას საჩივარი აქვს შეტანილი უზენაეს სასამართლოში და სასამართლო გახლავთ ერთადერთი ორგანო, რომელსაც შეუძლია ამ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური პასუხი გაგვცეს. დაველოდოთ მის გადაწყვეტილებას.

**— ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა გიორგი თევზაძემ თქვა, რომ საქართველოს ხელისუფლების ინფორმაციით გასულ წელს 88 ადამიანი გარდაიცვალა წინასწარი დაკავების საკნებსა და საპატიმროებში. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრი იძლევა დასკვნას, რომ პატიმართა სიკვდილის მიზეზი გაურკვეველია, ეს კი დამნაშავის გამართლების საშუალებას იძლევა.**

— თუ თქვენ გაინტერესებთ, მე შემიძლია მოგაწოდოთ მასალა ამ 88 ადამიანზე და რითი, რა დიაგნოზით, რა ავადმყოფობით გარდაიცვალა თითოეული მათგანი. მე ვიცი რამდენი იყო ტუბერკულოზის, კიბოს, შაქრის დიაბეტის შემთხვევა. ბატონ გიორგის ვიცნობ და პატივს ვცემ, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს ადამიანები გაურკვეველი მიზეზით გარდაიცვალნენ, იურისპრუდენციასთან მწყრალად მყოფი ადამიანის ნათქვამს გავს. როცა პენიტენციალურ სისტემაში ადამიანი გარდაიცვლება, მასთან დაკავშირებით კეთდება უაღრესად სერიოზული გამოკვლევა, რა მიზეზით, როგორ, რანაირად გარდაიცვალა. თითოეულ გარდაცვლილ პატიმარზე სამართლებრივი მექანიზმით აგებს პენიტენციალური სისტემა პასუხს, ამიტომ გაურკვეველი მიზეზით ადამიანის გარდაცვალების შესახებ ცნობა არ შეიძლება არსებობდეს.

**— საერთაშორისო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით საქართველოში საგანგაშო მდგომარეობააო. თქვენ, როგორც ჩანს, კატეგორიულად უარყოფთ ამას.**

— დიახ, კატეგორიულად უარვყოფ. ისინი საგანგაშო მდგომარეობას კი არ აცხადებენ ზოგადად, შეიძლება გარკვეულ ფაქტის შესახებ თქვან, რომ ეს ფაქტია საგანგაშოო, საერთოდ, მდგომარეობას რაც შეეხება, პირიქით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აცხადებს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ძალიან ბევრი რამ პოზიტიურისკენ შეიცვალა საქართველოში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა.

**— ქალბატონი დოდონა კიზირიათვლის, რომ ადამიანის უფლებები ირღვევა ჩვენთან, მაგრამ ქართველი ადამიანის უფლებების დამცველები ხელისუფლების წარმომადგენლები არიან და ამიტომ ხელისუფლებას უკმევენ გუნდრუკს, რათა არ გაანაწყენონ და შესაბამისად, ფაქტებსაც უარყოფენო...**

— ქალბატონი დოდონა კიზირია სიტუაციის გარედან მაყურებელია. მან რომ ყოველდღიურად გადახედოს ჩვენს პრესას, ვფიქრობ, ნამდვილად აღარ იტყვის ამას. კრიტიკული გამოხმაურებები გაცილებით მეტია, ვიდრე რეალურად ხდება ხოლმე, ამიტომ გუნდრუკის კმევაზე აქ საუბარი არ უნდა იყოს, ხოლო თუ ჩემზეა საუბარი, მე მართლაც ხელისუფლების წარმომადგენლად აღვიქვამ ჩემ თავს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ჩემი მოვალეობაა ავტეხო განგაში, ვთქვა პრესაში ან ტელევიზიაში, რომ ვილაცის უფლებები ირღვევა. თუ მე ამას გავაკეთებ, ეს ნიშნავს, რომ ჩემს მოვალეობას ვერ ვასრულებ. ჩემი მოვალეობაა, თუ ასეთი ფაქტი მოხდება, ამ ადამიანის დარღვეული უფლება აღვადგინო და მას მაქსიმალურად დავეხმარო.

**მანანა ლოგჯანიძე.**

მეორე გვერდიდან

## ვახტანგ ცაგარეიშვილი:

# თავის დროზე ასლან აბაშიძემაც „მრგვალი მაგიდიდან“ იყარა კენჭი

შეუძლებელია საქართველოს გადარჩენა; იმ ორგანიზაციის კომპრომეტირება კი, რომელიც არსებულ ხელისუფლებას, უკანონოდ მოსულ ხელისუფლებას ებრძვის, შეუძლებელია. დაიმახსოვრეთ, თუ „მრგვალი მაგიდა“ არ მოვიდა ხელისუფლებაში, დაემშვიდობეთ აფხაზეთს, დაივიწყეთ იგი ისე, როგორც დავივიწყეთ სოჩა და მისი „ოკრუგი“. ერთადერთი გეგმა აფხაზეთის დაბრუნებისა გვაქვს ჩვენ. კითხეთ ნებისმიერ მმართველ პარტიას, დაიბრუნებთ აფხაზეთს? გეტყვიან კი-ს, მაგრამ ვერ გეტყვიან კონკრეტულად რას უწოდებენ აფხაზეთის დაბრუნებას.

საბჭოთა კავშირში არსებობდა ეროვნულის სხვაგვარი გაგება — საბჭოთა პატრიოტიზმი, რომელიც ეროვნულს კომპრომეტაციას უკეთებდა. ის, რაც იყო ანტისაბჭოთა, ანტიეროვნულს ნიშნავდა, მე არ მესმის ამ პოლიტიკური პარტიების; თუკი ისინი ეროვნულნი არიან, რას აკეთებდნენ, ან აკეთებენ დღეს? ვერცერთი პოლიტიკურ ორგანიზაციას ვერ დამისახელებთ გარდა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოსი“, რეჟიმის წინააღმდეგ 1992 წლიდან დღემდე თუნდაც ერთი აქცია გაეკეთებინოს. 1997 წლის 10 ივლისს ქალბატონმა მანანა არჩვაძემ მეორე „მრგვალი მაგიდა“ შექმნა და იმის შემდეგ დაიწყეს საპროტესტო აქციები.

რეჟიმს, რომელიც მძვინვარებს ქვეყანაში, აღსასრულის დღე დაუდგა. რუსული ძალები ძალიან კარგად გრძნობენ და იყენებენ ამ ფაქტს. წინა პლანზე წამოწიეს, თითქოს მთავარია, არ იყოს შევარდნაძე, სხვა კი სულერთია. ვერცერთი პარტია, რომელიც საკითხს ასე სვამს, ვერ იქნება ეროვნული. შევარდნაძის არყოფნა ჩვენთვის შეღავათი არ არის. ხელისუფლებაში ეროვნული ძალები უნდა მოვიდნენ, რომელთაც კონკრეტული საკითხების კონკრეტულად გადაწყვეტის მეთოდიკა გააჩნიათ. აი, საქართველო სახელმწიფოდ მაშინ ჩამოყალიბდება.

**— თქვენ ყველას მოღალატეს ეძახდით, ვინც წინა არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.**

— დიახ, ასე იყო და ასეა დღესაც. მოღალატეებს ვეძახით ყველას, ვინც იმ აზრით იღებს არჩევნებში მონაწილეობას, რომ პარლამენტში ძალა-უფლება შეინარჩუნოს, რასაც მოჰყვება აფხაზეთის და საქართველოს სხვა ნაწილების დაკარგვა. ეს რა თქმა უნდა, ღალატია.

**— თქვენ რატომ მიდიხართ არჩევნებზე, ადრე ხომ არ იღებდით მონაწილეობას?**

— ჩვენ 1995 წელს არ მივიღეთ არჩევნებში მონაწილეობა, დღეს კი ვაპირებთ. რატომო რომ მეკითხებით, ეს არაპოლიტიკური ლოგიკაა. ზვიად გამსახურდიას მაგალითით დაგიმტკიცებთ. ზვიადმა 1990

**რუნების თქვენეულ ვარიანტზე საუბრობდით. რას უწოდებთ თქვენ აფხაზეთის დაბრუნებას?**

— ჩვენ გამოვაქვეყნეთ დოკუმენტები, რას ეწოდება აფხაზეთის დაბრუნება. ეს არის 1991 წლის 21 დეკემბრის სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობაში დაბრუნება.

აფხაზეთი დღევანდელი კონსტიტუციით საქართველოს არ ეკუთვნის, ხოლო რაც არ გვეკუთვნის კანონით, ვერც მივიღებთ. რამდენიმე მეთოდი აქვთ გათვლილი, რუსეთს ჩავეხუტებით, აფხაზეთს დაგვიბრუნებს, დასავლეთს ჩავეხუტებით, აფხაზეთს დაგვიბრუნებს ან ძალით შევალთ აფხაზეთშიო. ყველა ტყუილია და არარეალური. მეოთხე მეთოდი არის ჩვენი, რაც უნდა მოჰყვეს იმას, რომ პირველ რიგში მისი დაბრუნება 1991 წლის სამართლებრივ მდგომარეობაში უნდა მოხდეს.

**— ამისთვის ხომ საპარლამენტო უმრავლესობა გჭირდებათ?!**

— სწორედ ამიტომ ვაპირებთ... თუ ხელისუფლებაში არ მოვედით ჩვენ, მეც თქვენთან ერთად დავემშვიდობები აფხაზეთს, როგორ სოჩას.

**— „მრგვალი მაგიდა“ წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრეა. არჩევნებში მონაწილეობით თქვენ აღიარებთ თავად არჩევნებს. თუ ვერ გაიმარჯვეთ, ხომ დაკარგავთ სამართალმემკვიდრეობას, რომელსაც**



მთელი სირთულეების გადაწყვეტა ჩვენს კისერზეა ერთი უბრალო მიზეზის გამო. ყველა ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს, მოგვაჩვენოს თავი შევარდნაძის და მისი რეჟიმის მოწინააღმდეგედ, ტყუის. მოწინააღმდეგე რომ იყოს, ერთ აქციას მაინც გააკეთებდა. აქცია უნდა იყოს მიმართული რეჟიმის წინააღმდეგ არა მის ძალით დასამხობად, არამედ უწყვეტი პროცესით, ხელისუფლებაში მოსვლით. რათა ეს რეჟიმი გაუქმდეს თავიდან ბოლომდე მთელი თავისი სიბოროტით და სირთულეებით. შევარდნაძის რეჟიმს აქვს ისეთი პარამეტრები, მახასიათებლები, რომლის გამოსწორება რეჟიმის შიგნით შეუძლებელია. ეროვნულ სულს რომ საერთოდ თავი დავანებოთ, კორუფცია არის შევარდნაძის გუნდის საშინელი სენი და მის აღმოფხვრას ვერ შეძლებენ. სახელმწიფო, სადაც თანამდებობის პირები ხელფასზე კი არ მუშაობენ, არამედ ქრთამზე, დასაღუპად არის განწირული. გახსოვთ ალბათ, საბჭოთა კავშირი იმის გამო დაიშალა, რომ ტოტალური კორუმპირებული ქვეყანა იყო. კორუმპირებულობა კი მაჩვენებელია იმისა, რომ

წლის მარტში არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მიიღო ოქტომბერში. 50 წლის კი არ დაბადებულა ზვიად გამსახურდია, უფრო ახალგაზრდაც იყო და სსრკ-ში არჩევნები მანამდეც ტარდებოდა. თუნდაც 4 წლით ადრე რომ მიეღო მონაწილეობა, ვერ გაიმარჯვებდა, ამაში დამეთანხმებით. ეს ლოგიკურია, საკითხის სხვაგვარად დასმა კი ქურდული გაგებაა და სხვა არაფერი. ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ დღეს შესაძლებელია რამის მიღწევა, სხვაგვარად არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აზრი არა აქვს.

ჩვენ როცა ბოიკოტს ვუცხადებთ არჩევნებს, ამ ნაბიჯის სისწორე დაადასტურა შედეგებმა. სამი პარტია გავიდა მხოლოდ. არჩევნების ბედი წინასწარ იყო განსაზღვრული. კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ, ჩვენი აზრით 5%-ზე მეტი მოაგროვა ხმები, მაგრამ პარლამენტის გარეთ დარჩა.

დრო გადის. კანონიერი ხელისუფლების რესტავრაცია ცოტა ხნის შემდეგ გამორიცხული იქნება. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ მოისპობა აფხაზეთის დაბრუნების ყველა შესაძლებლობა.

**— წელან აფხაზეთის დაბარჩევნებისადმი ბოიკოტით ამდენხანს ინარჩუნებდით. ეს არ გაფიქრებთ?**

— ჩვენ ვართ იმ „მრგვალი მაგიდის“ სამართალმემკვიდრე, რომელიც შექმნა ბატონმა ზვიადმა. ჩვენი მონაწილეობა არანაირ არჩევნებში ამ ხელისუფლების დაკანონებას არ ახდენს. ეს რომ დამტკიცდეს საჭიროა კანონი, ასეთი კანონი კი არ არსებობს ბუნებაში. ამ ხელისუფლების დაკანონება შეიძლება მხოლოდ იმით, თუ დავივიწყებთ, რომ იგი არის უკანონო. ჩვენ ვამბობთ, რომ არა კანონიერ არჩევნებში ვიღებთ მონაწილეობას, კიდევაც რომ ვთქვათ, ეს არჩევნები კანონიერიაო, სულერთია, კანონით მაინც უკანონოა. ჩვენ არჩევნებს ვიყენებთ, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას. როგორც მშვიდობიან მეთოდს, რომლის საშუალებითაც მოვედით ხელისუფლებაში, რათა ხელისუფლების ძალაუფლებით მოვახდინოთ რესტავრაცია იმისა, რასაც ქალბატონი მანანა არჩვაძის ბანაკი აპირებს ბოიკოტით, შიმშილობით და სხვა მეთოდებით.

1995 წელს თეორიულადაც

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

# პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა ქართულ პოლიტიკაში

## მე-20 საუკუნე უდიდესი გარღვევის ანუ პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოების ყველა სფეროში მსოფლიო მასშტაბით ქალების აქტიური მონაწილეობის ხანაა.



**ძვირფასო მკითხველო!**

დღეს საერთო პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში რთულია, მას საფუძვლად მრავალი ობიექტური მიზეზი უდევს. მათ შორისაა ის, რომ საქართველო სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების სტადიაზეა და მისი სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ სუსტია. ამავე დროს პოლიტიკური გამოცდილებაც, ბუნებრივია, ნაკლებია, როგორც სახელმწიფოებრივი მართვის თვალსაზრისით, ისე ცალკეული პარტიების და საზოგადოების პოლიტიკური სიმწიფის თვალსაზრისით.

პოლიტიკური აზროვნება, ცოდნა და საქმიანობა, როგორც წესი, მკვიდრდება საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში და პოლიტიკური გამოცდილების უქონლობა, რა თქმა უნდა, მოქმედებს ქვეყანაში, საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვანი პრობლემების გადაწყვეტის ხარისხზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ერთის მხრივ, ქალთა პოტენციალის უფრო ფართოდ გამოყენების აუცილებლობა ქვეყნის განვითარებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, ზრუნვა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

**რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვაყენებთ ქვეყნის განვითარების, მისი კეთილდღეობის საკითხს. თუ ეს პრობლემა ვერ მოგვარდა, მაშინ ზედმეტია ქალთა მდგომარეობის რაიმე გაუმჯობესებაზე ანდა საერთოდ ქალთა დაცვის შესახებ რაიმეზე სერიოზული საუბარი.**

მთავარი პრობლემა ქალებთან დაკავშირებით არის ის, რომ მათი რეალური მდგომარეობა ადეკვატური არ არის მათი როლისა საზოგადოებაში, ანუ საზოგადოება ვერ იყენებს ქალთა პოტენციალს, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, თუნდაც პოლიტიკაში ან ბიზნესში.

რით არის ეს გამოწვეული?

მიგვაჩნია, რომ ეს რეალობა — ქალთა შესაძლებლობები, მათი პოტენციალი არ არის გათვითცნობიერებული საზოგადოებისა და ხელისუფლების მიერ. გადის წლები და ამ პრობლემას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

მეორე მიზეზია ხელისუფლების მხრიდან სრულიად არასაკმარისი ზრუნვა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

**ის, თუ როგორია ქალთა მდგომარეობა საზოგადოებაში, როგორია ქალების განვითარების პოტენციალი, უშუალოდ მიუთითებს ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის, რაიონის, სოფლის განვითარების დონეს.**

**ქალი, როგორც თვითგამრავლებისა და სიცოცხლის წყარო თაობების აღმზრდელი, ადამიანების მოქალაქეებად, პატრიოტებად ჩამომყალიბების ძირითადი ძალაა მამაკაცებთან ერთად.**

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ **თანამედროვე განვითარება ფართო გაგებით, ძირითადად განპირობებულია ინტელექტუალური პოტენციალით, ცოდნის ხარისხით და თუ კი ქვეყანა ქალთა დიდი ნაწილის ანუ მოსახლეობის ნახევრის, ინტელექტუალურ პოტენციალს ვერ იყენებს, ცხადია, ქვეყანაში განვითარება ფერხდება.**

საქართველოსათვის ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ჩვენ ისედაც მცირერიცხოვანი ერი ვართ, ამიტომ თუკი მისი ნახევარი — ქალთა ინტელექტუალური პოტენციალის სახით სუსტად იქნება გამოყენებული, ცხადია, ქვეყნის განვითარება ძალიან შეფერხდება.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალი ჩამოშორდეს თავის ძირითად და ტრადიციულ ფუნქციას, ჩამოშორდეს ოჯახს და თავი გაანებოს ბავშვების აღზრდას, პირიქით, თანამედროვე პირობებში **რაც უფრო ინტელექტუალურად მაღალგანვითარებულია ქალი, რაც უფრო პრესტიჟულია მისი მდგომარეობა საზოგადოებაში, რაც უფრო მაღალია მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის ხარისხი, მით უფრო მტკიცეა ოჯახი, მით უფრო სრულფასოვანი ახალგაზრდობა ეზრდება ქვეყანას ძლიერი მამაკაცისა და ძლიერი ქალის საზოგადოებაში მაღალი პრესტიჟის მაგალითზე.** აქედან ჩანს, რომ ქალის მაღალი პრესტიჟის აღიარება და უზრუნველყოფა ახალგაზრდობის აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და მოძველებულია ის შეხედულება, თითქოს ქალს არაფერი ესაქმება პოლიტიკაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში და იგი მხოლოდ საოჯახო საქმიანობის ჩარჩოებში უნდა იყოს შემოფარგლული. ამიტომ აუცილებელია ამ ინერციის დაძლევა და ხელისუფლების, მთელი საზოგადოების ყურადღება უნდა იქნეს კონცენტრირებული ქალის პრესტიჟის რეალური ამაღლებისა და მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. **ეს პირველ რიგში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის და ხელისუფლების საზრუნავია.**

ქალთა საკითხზე ჩვენ მომავალშიც არაერთხელ ვისაუბრებთ.

* * *

გაზეთ „საქართველოს“ 22-ე ნომერში გაგაცანით მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ქალი, ინდოეთის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილი, ინდირა განდი.

**მკვლევარების და ანალიტიკოსების მიერ საუკუნის მიწურულს მე-20 საუკუნე უკვე მოხსენებულია არა მარტო უდიდესი მიღწევების საუკუნედ, არამედ, როგორც უდიდესი გარღვევის, ანუ პოლიტიკაში, ეკონომიკაში თუ საზოგადოების ყველა სფეროში ქალების აქტიური მონაწილეობის ხანად.**

სწორედ ამ გარღვევის ხანად უნდა იქნეს აღქმული **მარგარეტ ტეტჩერის** მოღვაწეობაც.

### მარგარეტ ტეტჩერი

**„მსხვერპლისა და დანაკარგის გარეშე მიზანი არ მიიღწევა“, „მაღაზიის მეპატრონის ქალიშვილმა მოძველებული ეკონომიკა თავდაყირა დააყენა“.**

დიდი ბრიტანეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, მარგარეტ ტეტჩერის მოღვაწეობა პოლიტოლოგების და ეკონომისტების ყურადღების ცენტრში იყო „ტეტჩერის ერის“, „ტეტჩერის ათწლეულის“ და არის „პოსტტეტჩერულ“ პერიოდშიც. დასავლეთის ლიტერატურაში გავრცელებული თვით ასეთი ტერმინებიც კი მიუთითებენ, თუ რამდენ მაღალ შეფასებას აძლევენ სპეციალისტები „რკინის ლედის“ მოღვაწეობას.

მარგარეტ ჰილდა რობინსონი (ქალიშვილობის გვარი) დაიბადა 1925 წლის 13 ოქტომბერს. იგი ბავშვობიდან გამოირჩეოდა ხასიათის სიმტკიცით და საკუთარი თავის რწმენით. ხასიათის ასეთი თვისებების ჩამოყალიბებაში მას ხელი მამამ შეუწყო, რომელიც ჯერ სასურსათო მაღაზიის მესაკუთრე იყო, ხოლო შემდეგში იგი ქალაქის მერი გახდა. ბავშვობაში ჩამოყალიბებული ხასიათის შემწეობით მარგარეტ ტეტჩერი — უკვე მტკიცე კონსერვატორი — ვერ ეგუებოდა მათ, ვისი მიზნები, იდეალები და ამბიციები აბსოლუტურად განსხვავდებოდა მისი შეხედულებებისაგან.

ნიჭიერმა მარგარეტმა განათლება მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც სტიპენდიასაც ღებულობდა. იგი შედის კონსერვატიულ პარტიაში, სადაც თავიდანვე წინაურდება. 1951 წელს მარგარეტი თხოვდება თავის თანამოაზრეზე, წარმატებულ ბიზნესმენსა და გოლფის დიდად მოყვარულ დენი ტეტჩერზე. „მე სწორი არჩევანი გავაკეთე“ — თქვა მარგარეტმა თავისი ქორწინების შესახებ.

მარგარეტ ტეტჩერმა — როგორც ბრწყინვალე ორატორმა — 1959 წელს მკაცრად გააკრიტიკა თემთა პალატა და იგი პირველად აირჩიეს პარლამენტის წევრად კონსერვატიული პარტიიდან. 1961-64 წლებში იგი პენსიებისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს საპარლამენტო მდივანია, 1970-74 წლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ე. ჰითის მთავრობაში, ხოლო 1975 წლის თებერვლიდან კონსერვატიული პარტიის ლიდერი.

1979 წელს ტეტჩერი გახდა ბრიტანეთის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი. მარგარეტი თვითონ კარგად იყენებდა ქალურ ეშმაკობებს და ამავე დროს არად აგდება ფემინისტურ პრობლემებს. იგი იყო მტკიცე ანტიკომუნისტი, რის გამოც მას უწოდეს „რკინის ლედი“.

სწორედ რკინის ნებისყოფით მან „მოათვინიერა“ პროფკავშირები, შეაჩერა ინფლაცია, მოახდინა მრეწველობის პრივატიზაცია და გააუქმა სოცუზრუნველყოფის სისტემა. ამას მოყვა უმუშევართა რაოდენობის გაზრდა, რამაც გამოიწვია საპროტესტო აქციები. 1990 წელს თავისივე არაპოპულარულმა საგადასახადო პოლიტიკამ მარგარეტ ტეტჩერი აიძულა გადამდგარიყო.

„რკინის ლედის“ მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი შედეგები და შეფასებანი ძირითადად შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1) „ტეტჩერის ერა“ დღეს, „პოსტტეტჩერულ პერიოდში“, ხასიათდება, **როგორც რევოლუციური, გარდამტეხი პერიოდი ინგლისის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.** ასეთი დასკვნა სპეციალისტებს გამოაქვთ არა მხოლოდ ანალიზის საფუძველზე. ამ დებულების დასაბუთება ასეთია: სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა **თვისობრივი გარდაქმნები დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დ ეკონომიკურ განვითარებაში.**

2) აღინიშნება, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ასპექტში პრინციპულად შეიცვალა ქვეყნის განვითარების სიღრმისეული მამოძრავებელი ძალები და მექანიზმები.



ბრიტანეთში XX საუკუნეში ჩამოყალიბდა არაფორმალური პოლიტიკური სისტემა, დაფუძნებული მთავრობის, ორგანიზებულ ინტერესებსა (ბიზნესი, პროფკავშირები) და საზოგადოებას შორის ურთიერთობაზე. ეს არაფორმალური სისტემა ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ფორმალური პარტიული საპარლამენტო სისტემა და გულისხმობდა კონსენსუსის, შეთანხმების, „სოციალური კონტრაქტის“ მიღწევას სამივე ურთიერთმომქმედ ძალას შორის და განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ განვითარების ხასიათსა და დინამიკას. მაგრამ სწორედ ამ პერიოდში ბრიტანეთმა დათმო თავისი პოზიციები კონკურენტებთან ბრძოლაში, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში, მისი განვითარება ამ პერიოდში ხასიათდება მცირე ეფექტიანობით, დაბალი ტემპებით, სტრუქტურული გარდაქმნების მდორედ მიმდინარეობით. თუმცა დასაქმების მხრივ მოწინავე პოზიციები ეკავა თავის მეტოქეებს შორის. ტეტჩერმა თავიდანვე განახორციელა **„პოსტკორპორატიული სტრატეგია“, სამმხრივი ურთიერთმოქმედების დემონტაჟი და უარყო კონსენსუსის პოლიტიკა. ამით მან სრულიად შეცვალა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ტრადიციული წესი, მისი ძირითადი მონაწილეების როლი და მათი ურთიერმოქმედების მეთოდები.** თუმცა ზოგჯერ მარგარეტ ტეტჩერი სამმაგის ნაცვლად ორმხრივი კონსენსუსის განხორცილებას არ უარყოფდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ტრადიციული ბალანსი მაინც მკვეთრად დაირღვა, რადგანაც ტეტჩერის მთავრობამ აშკარად ბიზნესის მხარდაჭერის პოზიცია დაიკავა.

მარგარეტ ტეტჩერის მოღვაწეობის პერიოდში განმტკიცდა კავშირი ლონდონის სიტის ფინანსურ წრეებთან, არაფორმალური ურთიერთობები სახელმწიფო აპარატსა და უმსხვილეს კორპორაციებს შორის. ამავე დროს ამ პერიოდში მოხდა ბრიტანეთის ეკონომიკის მკვეთრი დარეგულირება, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მინიმუმამდე დაყვანა ეკონომიკაში, სახელმწიფო სექტორის შემცირება მისი დიდი ნაწილის პრივატიზაციის შედეგად. ტეტჩერი, ისევე როგორც რეიგანი, თუმცა, ალბათ, უფრო მტკიცედ, ვიდრე რეიგანი, ეკონომიკაში ახორციელებდა მონეტარისტულ პოლიტიკას.

3) ტეტჩერის პოლიტიკის, ისევე როგორც საერთოდ მონეტარისტული პოლიტიკის ძირითადი ელემენტებია: თავისუფალი საბაზრო მექანიზმების მოქმედების გაძლიერება და სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა ეკონომიკაში; ანტიინფლაციური პოლიტიკა; ბიუჯეტის წონასწორობა, საგადასახადო ბალანსის წონასწორობა; სოციალური პრობლემების გადაწყვეტა უპირატესად საბაზრო მექანიზმების მეშვეობით. სახელმწიფო მხოლოდ უმუშევრებისათვის დროებითი დახმარების გარანტიით ერეოდა დასაქმების სფეროში, რამაც ქვეყანაში უმუშევრობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ასეთმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა:

**ეკონომიკის საბაზრო მექანიზმზე დაფუძნებული სტრუქტურული და ტექნოლოგიური გარდაქმნების საფუძველზე საგრძნობლად გამოსწორდა ბრიტანული საქონლის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზრებზე;**

**მიღწეული იქნა შრომის მწარმოებლობის ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი ამაღლება.**

**მკვეთრად შემცირდა ინფლაციის დონე;**

**თვისობრივად შეიცვალა მენეჯმენტის მენტალიტეტი, მათი პროფესიონალიზმი;**

**ამაღლდა ბრიტანეთის ფირმების კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზრებზე;**

ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ სხვა პოლიტიკის შემთხვევაში ბრიტანეთის ეკონომიკის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდებოდა.

ამგვარად, **მარგარეტ ტეტჩერის პერიოდის ფუნდამენტურ მიღწევად ეკონომიკაში ითვლება ბიზნესისა და პროფკავშირების ორიენტაცია სახელმწიფოსთან ერთად ისეთ პრიორიტეტულ პრობლემებზე, როგორიც არის ინფლაციასთან ბრძოლა, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, შრომის მწარმოებლობის, ხარისხის, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, თანამედროვე მენეჯმენტის დანერგვა.**

და ბოლოს, თუ კი მარგარეტ ტეტჩერის საკანონმდებლო მოღვაწეობას რაიმე ხინჯი გააჩნია, სამაგიეროდ მისი საერთო მიღწევები ეჭვსგარეშეა.

**„მე მომწონს უკომპრომისო ადამიანები, ვინც ერთი ნაბიჯითაც კი უკან არ იხევს“** — თქვა მარგარეტ ტეტჩერმა 1978 წელს კონსერვატიული პარტიის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში და დაამატა: **„მე ვერ ვიტან სუსტ, მერყევ ადამიანებს“.**

**ნარგიზი გვალია**

*(გაგრძელება იქნება)*

მეოთხე გვერდიდან

## ვახტანგ ცაგარეიშვილი:

# თავის დროზე ასლან აბაშიძემაც „მრგვალი მაგიდიდან" იყარა კენჭი

კი შეუძლებელი იყო არა გამარჯვებაზე საუბარი, არამედ იმაზეც, რომ რამდენიმე კაცი მოგვეხვედრებინა პარლამენტში. დღეს კი სხვა სურათია.

ყველა, ვინც თავისუფლებისთვის, სახელმწიფოებრიობისთვის იბრძვის, ჩვენი მოკავშირეა მიუხედავად იმისა, მივაჩნივართ თუ არა მას მოკავშირედ. უნდა, თუ არ უნდა, უნებლიეთ ჩვენს საქმეს აკეთებს და ყველა ის, ვინც ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს ან შიმშილობს ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით, ვიმეორებ, „მრგვალი მაგიდის" მოკავშირეები არიან.

**— ისევ მოკავშირეებისა და გაერთიანებების საკითხს დავუბრუნდეთ. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თენგიზ კიკაჩეიშვილი ედპ-სთან აწარმოებდა გარკვეულ მოლაპარაკებებს...**

— არა, არა, ედპ-სთან, „მოქალაქეებთან" და კიდევ ბევრ სხვასთან ალიანსი გამორიცხულია.

**— ვახტანგ ბოჭორიშვილის ინფორმაციით, თენგიზ კიკაჩეიშვილი ირაკლი წერეთელთან ერთად მიდის არჩევნებზე.**

— უხუმრია ბატონ ვახტანგს. როგორც სხვა, ესეც კატეგორიულადაა გამორიცხული.

**— კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება ეროვნული ძალების გაერთიანების მომხრეა. მაგრამ რა ფორმით შეიძლება ორი ზვიადისტური ფრთის გაერთიანება, ბოჭორიშვილი და კიკაჩეიშვილი ვერ შეთანხმდნენ. ხმა გავრცელდა, ბატონი თენგიზი კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებას მასთან გაერთიანებას სთხოვს. ბოჭორიშვილი კი ამ ორი პარტიის შერწყმის და სახელის გადარქმევის მომხრეა. რჩება შთაბეჭდილებას, რომ მხოლოდ პიროვნული ამბიციებია წინა პლანზე და არა ერთი ინტერესისთვის, საერთო მიზნების მიღწევისათვის ბრძოლა.**

**ერთიდაიგივე დასახელების რამდენიმე პოლიტიკური პარტიის არსებობაც ამის დასტურია, გაუგებრობა და არეულობა უფრო სჭარბობს, ვიდრე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისკენ სწრაფვა.**

— ისინი მოლაპარაკებას მართლაც აწარმოებდნენ, ბატონმა თენგიზმა ბატონ ვახტანგს სთხოვა შემოსულიყვნენ „მრგვალ მაგიდაში". „მრგვალი მაგიდა" თენგიზ კიკაჩეიშვილს არ ეკუთვნის, ის არის ქართველი ერის საკუთრება-მეთქი გითხარით და ამას ადასტურებს 90 წლის არჩევნები, სადაც გაუგონარი პროცენტით — 54% აირჩიეს იგი ხალხში. დღევანდელი მოქკავშირი 23%-ით არის არჩეული. „მრგვალი მაგიდა" არის პოლიტიკური ბლოკი, ბლოკის შესვლა სხვა ბლოკში შეუძლებელია. კანონი ნახეთ თუ გნებავთ, ბლოკის რეგისტრაცია ხდება ცსკ-ში, ბლოკების გაერთიანება შეუძლებელია, ჩვენ სახელს ვერ გადავარქმევთ „მრგვალ მაგიდას". ეს რომ ჩვენი შექმნილი ორგანიზაცია ყოფილიყო, მაშინ თავისუფლად შეიძლებოდა სახელის გადარქმევა, მაგრამ „მრგვალი მაგიდა" ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დაარქვა. ამ ორგანიზაციას აქვს თავისი დასაწყისი, თავისი ისტორიული გზა, უდიდესი დამსახურება ქართველი ერის წინაშე და ამ სახელის გადარქმევა შეუძლებელია.

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება რომ შემოსულიყო „მრგვალ მაგიდაში", ეს მისი მხრიდან არ იქნებოდა კომპრომისი. 1993 წლის 14 იანვრის წერილში ბატონი ზვიადი როცა ითხოვდა „მრგვალი მაგიდის" აღდგენას საქართველოში, უნდოდა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებაც შემოსულიყო. თენგიზ კიკაჩეიშვილის დასმული საკითხი ბატონმა ვახტანგმა არასწორად გაიგო. ის უნდა შემოსულიყო „მრგვალ მაგიდაში" და ეს ორგანიზაცია თანაბრად იქნებოდა ბატონი ვახტანგისაც, ბატონი თენგიზისაც და სხვებისაც. „მრგვალი მაგიდის" პრინციპი პირველ რიგში გახლავთ თანაბრობის პრინციპი.

რაც შეეხება მსგავსი დასახელების რამდენიმე პარტიის არსებობას, არა მარტო ბევრი „მრგვალი მაგიდა" შეიქმნა, არამედ ბევრი ჰელსინკის კავშირი და ბევრი ილია მართლის საზოგადოებაც არის. თქვენ ვერ დამისახელებთ მეორე მოქალაქეთა კავშირს, ვერც მეორე ედპ-ს. რაც კეთდება სპეცსამსახურების ცნობილი გეგმაა და პირველად არ აკეთებენ, რომ აურიონ ელექტორატი ვინმეს. ორ კაცს ერთი და იგივე სახელი და გვარი თუ აქვს, უბრალოდ ხომ აგერევა ერთმანეთში. ასე უფრო მარტივია ყველაფერი, მაგრამ როცა ამ პრინციპით სპეცსამსახურები მუშაობენ და ამაში ხალხი ხელფასს იღებს და მთელი გეგმები დგება, მათი საწადელის მიღწევა გაცილებით ადვილია.

როცა ეროვნული მოძრაობები დაიწყო სსრკ-ში, ბალტიისპირეთში, იყო სახალხო ფრონტები, რომელსაც დაუპირისპირეს ინტერფრონტი, ამას ჰქვია დაპარელელება. პარალელურ სტრუქტურებს ცნობილია, რომ სუკი ჰქმნის. ვინ არის ნამდვილი „მრგვალი მაგიდა", — ამას პასუხი ადვილად შეიძლება გაეცეს. ორი წლის წინ არცერთი „მრგვალი მაგიდა" არ იყო გარდა ჩვენისა.

**— ცოტა ხნის წინ საზოგადოება „ჭყონდიდელი" „მრგვალ მაგიდას" გამოეყო და ბლოკ XXI-ში გადაბარგდა. რა იყო განხეთქილების მიზეზი?**

— „ჭყონდიდელი" შარშან შემოდგომაზე გაირიცხა „მრგვალი მაგიდიდან". პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელი" დღეს ფიქსირდება ბატონ ასლან აბაშიძესთან. ცდილობენ ერთ ბლოკში გაერთიანდნენ, „ჭყონდიდელის" მმართველ ჯგუფს თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული, რომ „მრგვალი მაგიდაც" მოეხვედრებინა „აღორძინების" ბანაკში, როცა მიხვდნენ, რომ არ მოხდებოდა ეს, რადგან „მრგვალმა მაგიდამ" მხოლოდ დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდა გაატაროს, ამის შემდეგ დაიწყეს დესტრუქციული ქმედებები „მრგვალი მაგიდის" შიგნით, რის გამოც გაირიცხნენ. თვითონ ასლან აბაშიძე თავის დროზე „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოდან" იყო არჩეული დეპუტატად. „მრგვალი მაგიდა" ჩვენი კუთვნილება არ არის, „აღორძინება" უნდა შემოსულიყო „მრგვალ მაგიდაში", ჩვენი შესვლა „აღორძინებაში" ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ უნდა გადავსულიყავით იმ პოლიტიკურ პოზიციაზე, რომელიც იმათ აქვს.

**— რატომ არ მოგწონთ „აღორძინების" კავშირი?**

— ჯერ ერთი, შეიძლება აშკარად, გამოკვეთილად არა, მაგრამ მაინც, ის პრორუსული ორიენტაციის გახლავთ, და მეორეც, თვითონ მისი შემადგენლობა წარმოადგენს პრობლემას, მეორე პირი არის ვახტანგ რაზმაძე, ეს გახლავთ ის პიროვნება, რომელიც იყო სამხედრო საბჭოს მიერ დანიშნული რესპუბლიკის პროკურორი, რომელმაც აღძრა სისხლის სამართლის საქმე ზვიად გამსახურდიაზე და მიმართა მთელი მსოფლიოს ქვეყნებს, რომ მან მონაწილეობა მიიღო ოსების გენოციდში და მოითხოვდა საქართველოსთვის გადმოეცათ. რაზმაძის სანქციით დაპატიმრებულნი არიან ის ხალხი, ვინც იცავდა კანონიერ ხელისუფლებას, რასაც კანონი აიძულებდათ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. ყველა დაპატიმრებულია სამშობლოს ღალატის მოტივით, გასამართლებულნი არიან ბანდიტიზმის მოტივით; ზოგიერთი გამოუშვეს, მაგრამ ჯერ კიდევ მრავლად არიან ახალგაზრდები, რომლებიც 18 წლისანი გაწვეულნი იყვნენ ჯარში და მაშინ დაპატიმრების შემდეგ ჯერ ისევ ციხეში არიან. ამით არ ამოიწურება მისი დანაშაულებები, კიდევ უფრო უარესი აქვს გაკეთებული. 1991 წლის 26 დეკემბერს, როცა ომი წააგეს ქალაქში, კიტოვანი გარბოდა, თბილისის ციხეში მოვიდა რამდენიმე შეიარაღებული პირი, გააღებინეს კარები, შევიდნენ, შეიტანეს სია პატიმრებისა, რომლის გათავისუფლების უფლება იშვიათად რომ ვინმეს ჰქონდეს და 240 კაცი გაათავისუფლეს იმ ღამეს, შეაიარაღეს და აბრძოლეს ჩვენს წინააღმდეგ, კანონიერი ხელისუფლების დასამხობად და მათ ყველას დანაშაული აპატია ვახტანგ რაზმაძემ. აქედან გამომდინარე, გაარკვიეთ, ეს რაზმაძე რამდენად შეიძლება იყოს ზვიადისტი? ის ბანაკი სავსეა ასეთი საეჭვო რეპუტაციის ხალხით...

**— რა გამოდის, ვახტანგ რაზმაძე „ზვიადისტობანას" თამაშობს?**

— „ზვიადისტობანას" დღეს ბევრი თამაშობს იმიტომ, რომ ძალიან მომგებიანია, ჩვენი ელექტორატის ასაჭრელად მუშაობენ, ზვიადისტები უნდათ წაიყვანონ. ვახტანგ რაზმაძემ რაც არ უნდა „ზვიადისტობანა" ითამაშოს ჩვენ ვერ მოგვატყუებს, მაგაზე მეტი ზვიადისტები საწინააღმდეგო არავის გაუკეთებია.

**მანანა ლოგჯანიძე**



გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №15,18,19,20,22,23

# ჰიტლერის ანდერძი, ანუ „საუბრები ბუნკერში"



ფაშისტური გერმანიის კიდევ ერთ მოკავშირეზე — იაპონიაზეა ლაპარაკი „ანდერძში". ჰიტლერი ძალიან თავშეკავებით და ძუნწსიტყვაობით ახასიათებს იაპონიის პოლიტიკას. ესპანეთისა და იტალიისაგან განსხვავებით, იაპონიის მიმართ ფიურერი უზომო ქებას ავლენს. თუმცა, 18 თებერვლის ჩანაწერი ცხადყოფს, რომ ვერც იაპონელმა მოკავშირემ გაუმართლა იმედები ფიურერს.

იაპონიის ომში ჩაბმამ ჩვენში არავითარი შიში არ გამოიწვია, თუმცა აშკარა იყო, რომ იაპონელებმა რუზველტს მტკიცე საბაბი მისცეს ჩვენს წინააღმდეგ ომში აშშ-ს ჩასაბმელად. ებრაელების მიერ წაქეზებულ რუზველტს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ომში ჩაბმა, ნაციონალ-სოციალიზმის მოსპობა და ამისთვის არც რაიმე საბაბი ესაჭიროებოდა. იზოლაციონისტების წინააღმდეგობის გადასალახავად აუცილებელი საბაბი მას თვითონ შეეძლო გამოენახა. ამგვარ პატარა თაღლითობაზე იგი სულაც არ შეყოვნდებოდა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ პერლ-ჰარბორში მომხდარმა უზარმაზარმა კატასტროფამ მის სულს ბალზამი მოსცხო. სწორედ ეს სჭირდებოდა მას იმისათვის, რომ თავისი თანამემამულენი ჩაეთრია ტოტალურ ომში და მოესპო წინააღმდეგობების ნარჩენები ქვეყანაში. იაპონელების საპროვოკაციოდ მან ყველა ღონე იხმარა. ეს იყო, თუმცა შედარებით დიდ მასშტაბებში, იმ ტაქტიკის გამეორება, რომელიც ესოდენ წარმატებით გამოიყენა ვილსონმა პირველი მსოფლიო ომის დროს. გრძნეულის ოსტატობით პროვოცირებულმა „ლუზიტანიის" ტორპედირნებამ ამერიკელები ფსიქოლოგიურად მოამზადა მათი ქვეყნის გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩასაბმელად. რამდენადაც 1917 წელს ვერ მოხერხდა აშშ-ს ომში ჩაბმის თავიდან აცილება, ამდენად სავსებით ნათელია, რომ მათი ახლანდელი ოცდახუთი წლის შემდგომი ჩარევა ომში სავსებით ლოგიკური და გარდუვალი იყო.

იმ დროს, მხოლოდ 1915 წელს გადაწყვიტა მსოფლიო ებრაელობამ მთელი თავისი რესურსები ანტანტისთვის ებოძებინა. თუმცა ჩვენს შემთხვევაში, ებრაელებმა გადაწყვიტეს უკვე 1933 წლისათვის, რეიხის დაბადების წლისათვის, ჩუმად გამოეცხადებინათ ჩვენთვის ომი, უფრო მეტიც, ებრაელების მიერ შეძენილი გავლენა აშშ-ში ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე თანმიმდევრულად და განუხრელად იზრდებოდა. რამდენადაც გარდუვალი იყო აშშ-ს ომში ჩაბმა, ამდენად ბედი გვეწია, როდესაც ჩვენს მხარეზე ომში ჩაბმული აღმოჩნდა ისეთი მოკავშირე, როგორიც იაპონიაა. მაგრამ ესეც ებრაელების მონაპოვარი გამოდგა. მათ ჰპოვეს საბაბი, რომელსაც ასე დიდხანს ეძებდნენ იმისათვის, რომ აშშ პირდაპირ ჩაებათ კონფლიქტში და ოსტატურად მიაღწიეს წარმატებას, როდესაც ამერიკელები ერთსულოვნად და ენთუზიაზმით შთაინთქნენ ომის მორევში. ახსოვდათ რა 1919 წლის იმედგაცრუება, ამერიკელებს არანაირად არ უნდოდათ ევროპაში ომში მონაწილეობა. მეორეს მხრივ, ისინი უფრო მეტად, ვიდრე არასდროს, შეპყრობილნი იყვნენ ყვითელი საფრთხის იდეებით. ეცადო ასწავლო ებრაელს ეშმაკობა, ეს იგივეა ნახშირი ზიდო ნიუკასლში. დარწ-

გაგრძელება მეცხრე გვერდზე

# ეშმაკი ყველგან შეიძლება გამოჩნდეს, თუ ურწმუნო იქნები



**ინტერვიუ სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვართან დეკანოზ მამა ზაქარია ძინძიბაძესთან**

**— მამა ზაქარია, ეკლესიის და მრევლის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად სიწმიდეების საქართველოდან გასვლის საშიშროება მაინც არსებობს...**

— ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და მის მრევლს ფარხმალი არ დაუყრია, იგი ლოცულობს, უფალს ევედრება, რათა წყალობა გარდამოავლინოს მათზე, ეკლესიაზე, მრევლზე და გონება გაუხსნას იმ ადამიანებს, რომლებმაც არც კი იციან, თუ რას აკეთებენ. საოცარია, ვისაც სიწმინდეების გატანა სურს საქართველოს გარეთ, თვით ამ კულტურის აზრი არ ესმის. ამ კულტურას თავისი შინაგანი წესები გააჩნია, მაგრამ ამ წესებს არ იცავენ, მაშინ რა აზრი აქვს ამ კულტურის აგიტაციას? ამიტომ მოუწოდებს ხალხს ეკლესია გამოფხიზლებისაკენ.

ეკლესია და მრევლი ლოცულობს, შესთხოვენ უფალს ძალა მისცეთ. ამას შეუერთდნენ სტუდენტები. მოშიმშილე სტუდენტები ორ ნაწილად გაიყვნენ, ერთმა პოლიტიკური გზა აირჩია ბრძოლისა, მეორემ ეკლესიური, ეს ნაწილი მრევლს შეუერთდა, რომლებიც სიონის საკათედრო ტაძარში ფსალმუნებს კითხულობენ, რათა ჩვენს გზააბნეულ მეგობრებს გაეხსნათ გონება და ღმერთმა არ გაუშვას სიწმინდეები საქართველოს გარეთ.

**— ცნობილია, რომ 12 ივლისს — პეტრე-პავლობას სიონის საკათედრო ტაძრიდან თქვენი ხელმძღვანელობით გარკვეულ მლოცველთა ჯგუფი ფეხით მიდის სვეტიცხოველში. რა დატვირთვას ატარებს ეს აქცია?**

— ჩვენ ტრადიცია გვაქვს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, როგორც ზაფხულში — 12 მოციქულის ხსენების დღეს, ასევე შემოდგომაზეც ფეხით მივდივართ სვეტიცხოველში, ამჯერად ეს აქცია აქტიურად შესრულდება. ჩვენ შემოგვიერთდნენ განძის გატანის მოწინააღმდეგე სტუდენტები. ყველანი ერთად წავალთ, ერთად შევთხოვთ ღმერთს, წყალობა მოილოს და განგვამტკიცოს რწმენაში, სულიერად ავმაღლდეთ და ტრადიციები, რომლებიც ქართველ ერს, ჩვენს ქვეყანას ჰქონდა, მხოლოდ წიგნებში წასაკითხი და მუზეუმებში სანახავი არ გაგვიხდეს. დღესაც ისე უნდა ვიცხოვროთ, ვილვაწოთ, როგორც ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს ეს და ჩვენივე ფეხით უნდა მივიდეთ უფალთან.

დარწმუნებული ვარ, აქცია დიდი იქნება. 12 ივლისს სიონის საკათედრო ტაძრიდან წირვის შემდეგ ფეხით გავემგზავრებით მცხეთაში, საღამოს ლოცვა ჩატარდება სვეტიცხოველში, სადაც მონაწილეობას მივიღებთ, 13-ში დიდი დღესასწაულია — სვეტიცხოვრობა, წირვის შემდეგ შუადღისას მტკვრის და არაგვის შესართავთან ტრადიციისამებრ ჩატარდება ნათლობა.

ქართველი ხალხი სულ მუდამ დადიოდა სხვადასხვა ქვეყნებში ფეხით, განსაკუთრებით დიდი ტრადიცია იყო იერუსალიმში ჩასვლისა, იქ მოლოცვისა. დღევანდელი პირობები ამის საშუალებას არ გვაძლევს; მაგრამ რაც საქართველოში გვაქვს, იმ დიდი სიწმინდეების — მინდა ნინოს, ანდრია მოციქულის გზის მოლოცვა ხდება. აგრეთვე, ფეხით ჩავდივართ სვეტიცხოველში. ჯერ აქ ვივარჯიშოთ. მცხეთა-თბილისის გზაზე, მერე ღმერთი ინებებს და იერუსალიმშიც ჩავალთ, იმ მიწაზე, სადაც უფალი დადიოდა ფეხით.

**— ბოლო პერიოდში სატანის მომძლავრება აშკარად იგრძნობა. ამასწინათ თბილისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 47-ე სკოლაში კომპიუტერის ეკრანზე ბავშვის სურათის გადაღების შემდეგ ეშმაკი გამოჩნდაო. თქვენთვის თუა ცნობილი ამ ფაქტის შესახებ? რა არის კომპიუტერი? მას ხშირად ეშმაკის მანქანას ეძახიან.**

— საგანი არ შეიძლება იყოს ცუდი ან კარგი. მთავარია, როგორი დამოკიდებულება გვაქვს მასთან. მანქანა ხომ არ შეიძლება იყოს ცუდი, გადაადგილების საშუალებაა. ასევეა დანაც (ხომ შეიძლება კაცმა პური დაჭრას ან ადამიანი მოკლას). კომპიუტერიც, ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ. რაც შეეხება ეშმაკის მომძლავრებას, როცა ერის დიდი ნაწილი ასეთი ალმავლობით მოტრიალდა ეკლესიისკენ, ბოროტს შეშურდა და ვინც ურწმუნო იყო შინაგანად, იმას დაეტაკა და მისი საშუალებით გვებრძვის. ეს ჩვეულებრივი ამბავია. პოლარიზაცია ხდება. სადაც დიდი რწმენაა, იქ დიდი ურწმუნოებაც არის. დღეს როცა ქართულმა გენმა გაიღვიძა, ეკლესიისკენ მოტრიალდა და ფაქტიურად მესამედ ხდება საქართველოს მოქცევა, ცხადია, ბოროტს ეს არ მოსწონს.

თვით იმ ფაქტის შესახებ არაფერი მსმენია, თუმცა ამას არცა აქვს მნიშვნელობა, ეშმაკი ყველაფერში შეიძლება გამოჩნდეს, როცა ურწმუნო იქნები მიუდგები.

**— მამა ზაქარია, ქუჩაში უთვალავი საეკლესიო ნივთი იყიდება. მათ შორის ხატებიც...**

— ადამიანმა უნდა იცოდეს, სად რა იყიდოს. ქუჩაში რომ იყიდო ხორცი, შეიძლება ავადმყოფი ცხოველისა იყოს და მოგწამლოს. რატომ უნდა იყიდოთ ქუჩაში ხატი, როცა ეკლესიაში ნაკურთხია, მადლიანია და თანაც თანხას, რომელსაც მასში გადაიხდით, საეკლესიო საქმეს მოხმარდება. და ვილაცის ჯიბეში არ წავა. ხალხის ამგვარი დაბნეულობით სარგებლობენ სექტანტები და ათას ჯადოს აკეთებენ. ის ჯადო შედის მერე სახლში და ბევრს უკვირს რატომ არ უშველა ხატმა და სანთელმა. როგორ უშველის, როცა მის რწმენასთან შედარებით იქ ჯადოს ძალა მეტია. ადრე არსებობდა კანონი, რომელიც სამწუხაროდ, შემდეგ გაუქმდა, საეკლესიო ნივთების რეალიზაციის უფლება ჰქონდა მხოლოდ ეკლესიას.

**— თქვენი საუბრიდან ირკვევა, რომ ეკლესია ჯადოს არსებობას აღიარებს. როგორ უნდა დაიცვას თავი ადამიანმა?**

— ჯადო იგივე ეშმაკია, განა ეშმაკი არ არსებობს? ჯადოსგან და ეშმაკისგან რომ თავი დავიცვათ, უნდა ვიყოთ მორწმუნენი. ჩვენ ეშმაკს ცოდნით და ეშმაკობით კი ვერ მოვერევით, ღმერთია ის ძალა, რომელიც ეშმაკისაგან დაგვიცავს.

**— არსებობს ისეთი ადამიანი, ვისზეც ჯადო არ ჭრის?**

— რა თქმა უნდა, არცერთ მორწმუნეზე ჯადო არ ჭრის.

**— ე. ი. ვინც ეკლესიში დადის, მასზე არ მოქმედებს?**

— სიარული არაფერს არ ნიშნავს. სტადიონზე რომ ვიარო, ფეხბურთელი ხომ არ ვიქნები. მონაწილეობას როცა მივიღებთ ეკლესიურ ცხოვრებაში, მაშინ ვიქნებით მორწმუნენი.

**— მუზეუმებში დაცული ხატები სასწაულთმოქმედი ძალის მატარებელნი და თანაც უძველესნი არიან, დღესაც იწერება ბევრი ხატი, შესაძლოა, ხელოვნების თვალსაზრისით ფასეული და მნიშვნელოვანი, ისინი ეკლესიური თვალსაზრისითაც დიდი მადლის მატარებელნი იქნებიან?**

— ერთი პერიოდი მეშინოდა, რომ რაღაც წყვეტა იყო ძველსა და ახალ კულტურას, წარსული დროის ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებსა და დღევანდელებს შორის. მადლობა ღმერთს, რომ ის დაფარული მადლი ქართველი კაცის სიყვარულისა ღვთისა და სიწმინდეების მიმართ კვლავ გაიფურჩქნა. დღესაც იქმნება ხატები, რომლებსაც ხელოვნების თვალსაზრისით უდიდესი ღირებულება აქვს, ხოლო ყველა ხატი, რომელიც ეკურთხება, დიდი მადლის და ძალის მატარებელია, ადრე ვფიქრობდი, რომ არ უნდა მეკურთხებინა ქაღალდზე დაბეჭდილი ხატები, ჩემი აზრით, მხოლოდ დახატული უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ ერთ ოჯახში მომიტანეს დაბეჭდილი სურათისგან შექმნილი ხატი, რომელსაც სდიოდა ზეთი. ეს იყო დიდი მადლი. ყველა ხატი, რომელიც კანონიკურად არის შესრულებული, უნდა იკურთხოს. დღეს იქმნება შესანიშნავი ფრესკები, შესანიშნავი ხატები, შეიქმნა რამდენიმე ბარძიმი, რომელიც ღირსეულად დაიჭერდა ადგილს ბედიის ბარძიმის გვერდით თავისი მხატვრული ღირებულებით.

**— უწმინდესი 2000 წლისთვის წმინდა სამების ეკლესიის დასრულებას აპირებდა, ნახევარი წელი რჩება საუკუნის დასასრულამდე, სამების ტაძარი უნდა ყოფილიყო...**

— ეს ტაძარი პატრიარქისა კი არაა, მთელი ერისაა. რატომღაც მიგვაჩნია, რომ ამაზე მხოლოდ პატრიარქმა უნდა იზრუნოს, ეკლესიის მსახურებს მეტი მადლი აქვთ ღვთის წინაშე და ცხონების მეტი საშუალება. ხოლო ვინც არ ცხონდება, მისთვის არის საჭირო, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ მშენებლობაში, იმიტომ კი არ არის ეს ტაძარი, რომ აშენდება, ვუყუროთ, ნაძვის ხესავით ვუაროთ. არა — ამ დიდმა კეთილმა საქმემ რომ მადლი მოიღოს ღვთის წინაშე და ბედნიერები ვიყოთ.

დიდი დავითის საქართველოს რომ შევნატრით, მაშინ უმაღლეს დონეზე იყო ღვთისადმი თაყვანისცემა, პატივისცემა და სიყვარული, თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, ჩვენც გავძლიერდებით, თუ არ გავაკეთებთ და კაზინოებსა და ბორდელებს აშენებს ხალხი, ეს ხალხი ვერ ცხონდება.

ერთ დღეში კაზინოებსა და ბორდელებში იმდენი ფული ტრიალებს, რაც საქართველოს ბიუჯეტია. ნება იბოძოს თითოეულმა კაცმა, ვინც ამას აკეთებს, თითო აგური დასდოს იმ დიდ მშენებლობაში, რითაც თავის ოჯახს სიკეთეს მოუტანს.

**მანანა ლოზაძანიძე.**

## არასამთავრობო ორგანიზაციები

# არასამთავრობო სექტორი პოლიტიკას ემიჯნება?



როგორც ცნობილია, ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს არასამთაერობო ორგანიზაციების კონგრესმა, რომელმაც უკვე გამართა რამდენიმე სხდომა. კონგრესი დროებით მუშაობს ღეთისშეილთა კაეშირის ოფისში (თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 144, საკონტაქტო ელსმ: 94 01 62), კონგრესმენებმა, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიეი ცხოერების ყეელა სფეროში მოქმედ არასამთაერობო ორგანიზაციებს, განიხილეს და ორი მოსმენით დაამტკიცეს კონგრესის რეგლამენტი და კონგრესის სტრუქტურა, დაამტკიცეს კონგრესის ემბლემა, კონგრესის ფონდის წესდება, განიხილეს კონგრესის კომიტეტების (კომისიების) დაკომპლექტებისა და სხეა საკითხები.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის კითხვებს პასუხობს საქართველოს არასამთაერობო ორგანიზაციების კონგრესის აღმასრულებელი მდივანი **ზაზა სიხარულიძე:**

**— ბატონო ზაზა, რამ განაპირობა კონგრესის შექმნა და რა არის მისი საქმიანობის არსი?**

— საქმე ისაა, რომ საქართველოს არასამთავარობო ორგანიზაციების საქმიანობის მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა უკვე დიდი ხანია იდგა დღის წესრიგში, მაგრამ უკანასკნელ დრომდე ამგვარი გაერთიანების დაფუძნებას, როგორც, სამწუხაროდ, ქართველებს გვჩვევია, ხელს უშლიდა არაერთი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი, როგორიცაა, მაგალითად, წრეგადასული პირადი ამბიციები თუ ინტერესები, მაგრამ უმთავრესი დაბრკოლება გახლდათ ის გარემოება, რომ არ იყო შემუშავებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაციისათვის მისაღები ერთობლივი საქმიანობის მექანიზმი და სტრუქტურა. ამასთან, განვლილ პერიოდში უკვე ჩამოყალიბ-

და სპეციფიკური ინტერესების მქონე არასამთავარობო ორგანიზაციათა საკოორდინაციო-საკონსულტაციო ორგანოები (საბჭოები, სათათბიროები და მისთ.). ერთი სიტყვით, მომწიფდა ერთიანი საპარლამენტო ტიპის გაერთიანების ჩამოყალიბების აუცილებლობის პირობები, რომელთანაც, იმედი გვაქვს, ითანამშრომლებენ როგორც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება, ისე უცხოური დონორი, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

კონგრესი თავისი ამოცანების შესასრულებლად კოორდინაციას უწევს თავის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც საერთო, ისე თითოეული მათგანის მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად. ამასთან, კონგრესი დაუშვებლად მიიჩნევს მასში გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიზაციების ავტონომიური უფლებების შეზღუდვასა და მათს საქმიანობაში ჩარევას.

კონგრესის რეგლამენტი და სტრუქტურა აგებულია ჭეშმარიტად თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის, კონსტრუქციული და პარტნიორული თანამშრომლობის, თვითმმართველობისა და დემოკრატიულობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად.

ამ მიზნის მისაღწევად კონგრესის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სახელმწიფოს საზოგადოებრივ მართვაში არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გაზრდა და მათთვის კუთვნილი ადგილის დამკვიდრება, რისთვისაც კონგრესის ყურადღების ცენტრში იქნება ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხები.

კონგრესის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მსოფლიოს თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრირებას საერთაშორისო არასამთავრობო სტრუქტურების მეშვეობით.

კონგრესი თავის წვლილს შეიტანს საზღვარგარეთიდან გრანტების, ინვესტიციებისა და დახმარებების მოზიდვის, მათი მიზნობრივი განკარგვისა და ადრესატამდე მიღწევის საქმეში.

**— უკვე ვინ არის და ვის შეუძლია გახდეს კონგრესის წევრი?**

— კონგრესში უკვე წარმოდგენილია ასზე მეტი სხვადასხვა პროფილის არასამთავრობო ორგანიზაცია. კონგრესის წევრად გახდომა შეუძლია ნებისმიერ რეგისტრირებულ თუ არარეგისტრირებულ არასამთავარობო ორგანიზაციას, რომელსაც საამისო სურვილი გააჩნია.

თუკი რომელიმე ორგანიზაცია მოისურვებს შესწორება-დამატებათა შეტანას კონგრესის რეგლამენტსა და სტრუქტურაში, ეს შეიძლება მოხდეს პროცედურის შესაბამისად. როგორც ცნობილია, კონსტრუქციული და პარტნიორული თანამშრომლობის არა ერთი ფორმა არსებობს. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის მისაღებია არასამთავრობო ორგანიზიციებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი მექანიზმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი არასამთავრობო ორგანიზაციები საჭიროდ ჩათვლიან კონგრესში მოღვაწეობას, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ღვთისშვილთა კავშირის ოფისში, რათა ამთავითვე გაეცნონ კონგრესის დოკუმენტებს და უშუალოდ ჩაებან კონგრესის საორგანიზაციო საკითხების მომზადება-განხილვის და გადაწყვეტის პროცესში.

**— კონგრესი, ალბათ, სათანადო ყურადღებას მიაქცევს ადამიანის უფლებათა დაცვას ...**

— რასაკვირველია, კონგრესის წევრ ორგანიზაციათა უმრავლესობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწეობა წარმოადგენს. კონგრესში უკვე წარმოდგენილია ბავშვთა, ქალთა, ვეტერანთა, ინვალიდთა, დევნილთა (ლტოლვილთა), პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა, მეანაბრეთა და სხვათა ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციები.

**— ჩვენს ქვეყანაში უკვე დაწყებულია წინასაარჩევნო მარათონი. როგორია კონგრესის როლი ამ კონტექსტში?**

— მოკლედ გიპასუხებთ: კონგრესი არაპოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებაა და, ამდენად, წინასაარჩევნო ციებ-ცხელება კონგრესის ფარგლებში გამორიცხული უნდა იყოს.

**ესაუბრა მარი მჭედლური**

## ინტერვიუ

# გიორგი ხოშტარია: ზვიად გამსახურდია ეროვნული პრეზიდენტი იყო, შევარდნაძე კი კოსმოპოლიტია...

**— ბატონო გოგი, რა განსხვავებას ხედავთ 1990 წლის და 1999 წლის წინასაარჩევნო პერიოდებს შორის?**

— უზარმაზარი განსხვავებაა. მაშინ ეროვნული მოძრაობა ალმავლობის გზაზე იდგა. რაც მთავარია, ერი დაჩოქილი არ იყო, ეკონომიკური თვალსაზრისით — ქვეყანა გაჩანაგებული არ იყო.

დღეს დიდი მატერიალური სახსრების გარეშე გამორიცხულია წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება. მაშინ კი ასე არ იყო. ერთ უბრალო მაგალითს გეტყვით: მე რომ წინასაარჩევნო კამპანია ჩავატარე ჩემს უბანში, აბაშის რაიონში, 29 სოფელი ისე შემოვიარე, პრაქტიკულად, ფული არ დამხარჯვია. დღეს ეს გამორიცხულია.

საარჩევნო კანონი 1990 წ. ბევრად უფრო ნორმალური და დემოკრატიული იყო, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაც. ჩემი აზრით, XX საუკუნეში ორი ნორმალური არჩევნები იყო 1918 წ. — სოცდემოკრატების და 1990 წ. ჩატარებული არჩევნები.

**— ამომრჩევლებში რა განსხვავებას ხედავთ?**

— ახლა ხალხი უფრო მატერიალურ მხარეს უყურებს: ვინ რას მოიტანს, ძალა ვის აქვს, ფული ვის აქვს.

**— ორ პრეზიდენტს შორის რა განსხვავებაა?**

— განსხვავება ბევრია. ზვიად გამსახურდია აშკარად ეროვნულია, ედუარდ შევარდნაძე — კოსმოპოლიტია. მან ახლახანს გააკეთა განცხადება: მე გადავარჩინე მსოფლიო. პირველ რიგში პრეზიდენტმა კითხვა უნდა დასვა: რა მოუტანე შენს ქვეყანას. ეროვნული სახელმწიფო არის კაცობრიობის სოციალური ორგანიზების ძირითადი ერთეული. ამას უნდა ემსახურებოდეს პრეზიდენტი.

**— პარლამენტში მყოფ ოპოზიციური პარტიებიდან რომელს შეაფასებდით დადებითად?**

— ერთადერთი, ვინც იდეოლოგიური პოზიციით ჩემთან ახლოსაა, არის „სახალხო“.

**— ცენტრისა და ბათუმის დაპირისპირებას რა შეფასებას მისცემთ?**

— მე ასლან აბაშიძეს პიროვნულად პატივს ვცემ. როცა მქონია ურთიერთობა, მხოლოდ კარგი. გონიერი კაცია, თავისი კუთხის ბედი აწუხებს, საქართველოს ბედი აწუხებს.

ამ დაპირისპირებაში ბევრი რამე ცენტრის ბრალია. ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიტან: რა საჭირო იყო სურმანიძის გადაბირება. მას სპიკერობა ჰქონდა, როგორც „აღორძინების“ წარმომადგენელს. ეს ვითომ პოლიტიკურ მოქნილობაში, მოხერხებულობაში ჩათვალეს. სინამდვილეში, ჩემი აზრით, ბინძური თამაში წავიდა. აჭარა უფრო რომ მოიზიდო და გაუწიო ანგარიში მის ინტერესებს (ხანდახან ზედმეტადაც კი, რადგანაც განსაკუთრებული სტატუსი აქვს), ამის მაგივრად რაღაც ჩხიკინია სულ.

**— არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს?**

— ჩემდა სამწუხაროდ, მე მგონი, ეს ხელისუფლება დარჩება. თუმცა, ძალიან უხეში დარღვევა დასჭირდება, რომ იგივე აბსოლუტური უმრავლესობა შეინარჩუნოს.

**ამირიტა ჯანაშია**

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №18

# საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა

ახლანდელი ტერიტორიული მოწყობით იმერეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა შეადგენს 767,7 ათას კაცს (1989 წლის აღწერით), ხოლო ტერიტორია 6,6 ათას $კმ^2$-ს. ამ ფართში შედის საჩხერის რაიონის კუთვნილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან უკან დაბრუნებული 0,2 ათასი $კმ^2$.

იმერეთის ადმინისტრაციული ერთეულის ჩრდილოეთით კავკასიონის მთების სამხრეთ კალთებზე და მთისწინეთში მდებარეობს ახლანდელი რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული ერთეული, რომლის მოსახლეობა შეადგენს 60,5 ათას კაცს (1989 წლის აღწერით), ხოლო ტერიტორია 4,9 ათას $კმ^2$-ს. ამ ფართში შედის ონის რაიონის კუთვნილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიდან უკან დაბრუნებული 0, 4 ათასი $კმ^2$.

ადმინისტრაციულ ერთეულში შედის ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონები. ოთხივე რაიონი გამოირჩევა მოსახლეობის ინტენსიური შემცირებით და შესაბამისად დაბერებით. ადმინისტრაციული ერთეულის სუსტი ეკონომიკა და სატრანსპორტო არტერიები მთლიანად არის მიბმული იმერეთის რეგიონზე. ფაქტობრივად ეს ორი ადმინისტრაციული ერთეული ამ თვალსაზრისით ერთიანი განუყოფელი არეალია. ასეთი მიბმა, კავკასიონის მთის, მთისწინეთის ზოლის და მიმდებარე ბარის, როგორც ეკონომიკური, ასევე სატრანსპორტო, შრომითი რესურსების და სხვა თვალსაზრისით ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა საქართველოს ამ ნაწილში.

ამასთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულად ამ ორი რეგიონის მოწყობა, მთლიანად ეფუძნება ზემოთაღნიშნულ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის არსის განმსაზღვრელ ძირითად პრინციპებს. კერძოდ, კავკასიონის სამხრეთი ფერდობი მიმდებარე ბარს უკავშირდება ხეობების საშუალებით, ხოლო საქართველოს გამჭოლი ძირითადი სატრანსპორტო არტერია გადის ხეობების ბოლოში — ბარში, რომელზეც აგებულია მთელი სატრანსპორტო კავშირები და შესაბამისად ეკონომიკა. ასევე სხვა ყველანაირი ურთიერთობები, მათ შორის შრომითი რესურსების გადაადგილებაც.

ამდენად, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის დღევანდელი ადმინისტრაციული ერთეულები მხოლოდ ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულად უნდა იქნეს მოწყობილი, რომელსაც დაერქმევა ქუთაისის რეგიონი (საერისთავო) ან სხვა სახელი. ეს ცალკე განხილვის საკითხია. ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა იქნება 828,8 ათასი კაცი (1989 წლის აღწერით), ხოლო ტერიტორია 11,5 ათასი კმ2, რომელშიც შევა იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. მისი დაყოფა რაიონებად (ან სათავადოებად) ასევე რეორგანიზაციას მოითხოვს გამსხვილებების თვალსაზრისით, ძირითადად ეკონომიკურ და სატრანსპორტო საფუძვლებზე დაყრდნობით, რაც შეამცირებს (ისევე როგორც დღეს არსებული ორი ადმინისტრაციული ერთეულის შეერთება) მმართველობით ხარჯებს.

ასეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა საშუალებას იძლევა, ბიუჯეტის (როგორც რაიონული, ასევე რეგიონალური) აკუმულირებას და მის მიმართვას კონკრეტული მიზნების განხორციელებისათვის. ამასთან, არ იარსებებს დოტაციური, ეკონომიკურად გაუმართლებელი რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული ერთეული.

ანალოგიურად შეგვიძლია განვიხილოთ მცხეთა-თიანეთისა და შიდა ქართლის ადმინისტრაციული ერთეულები, აგრეთვე ე. წ. სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკა“ (დღევანდელი ფაქტობრივი ტერიტორიით, სადაც ჯერჯერობით საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება). ეს ადმინისტრაციული ერთეულები ფაქტობრივად ერთი ეკონომიკური და სატრანსპორტო არეალია, რომლის ერთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად მოწყობა ყველაზე ოპტიმალურია. ეს რეგიონი შედგება კავკასიონის ჩრდილო და სამხრეთ კალთებით, მთის წინა მიწებით და შიდა ქართლის ბარით, რომელიც ქმნის ერთიან სატრანსპორტო-ეკონომიკურ არეალს.

აქაც მცხეთა-თიანეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონები მიბმულია სატრანსპორტო-ეკონომიკური თვალსაზრისით შიდა ქართლის ამჟამინდელ ადმინისტრაციულ ერთეულზე. ეს კავშირები ჩამოყალიბდა ისტორიულად საუკუნეების მანძილზე. ამასთან, ემყარება ასევე პრინციპს, რომ კავკასიონის ქედი მის მიმდებარე ბარს უკავშირდება ხეობების საშუალებით, რომელთა ბოლოში გადის საქართველოს გამჭოლი ძირითადი სატრანსპორტო არტერია, რომელზეც არის აწყობილი სატრანსპორტო კავშირები (ხეობების გაყოლებით) და შესაბამისად მთელი ეკონომიკა; ეს იქნება ერთიანი შიდა ქართლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული



ერთეული, რომლის ფარგლებში, ამ ეტაპზე შესაძლებელია ოსებს (ცხინვალსა და ჯავაში) მიეცეს პოლიტიკოსების მიერ განსაზღვრული კულტურული ავტონომია.

ამჟამად არსებული შიდა ქართლის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია შეადგენს 3,4 ათას $კმ^2$-ს, ხოლო მოსახლეობა 321,6 ათას კაცს. მასში შედის ხაშურის, ქარელის, კასპის და გორის რაიონები. მცხეთა-თიანეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია შეადგენს 6,8 ათას $კმ^2$, ხოლო მოსახლეობა 133,8 ათას კაცს. მასში შედის მცხეთის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის და ახალგორის რაიონები. ამჟამად ცხინვალის ადმინისტრაციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაში შედის ცხინვალის, ჯავისა და ყორნისის რაიონები, რომელთა ტერიტორია შეადგენს 2,2 ათას $კმ^2$-ს, ხოლო მოსახლეობა 84,0 ათას კაცს (ფაქტობრივად, დღეისათვის გაცილებით ნაკლებია).

ერთიანი შიდა ქართლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია იქნება 12,5 ათასი $კმ^2$, ხოლო მოსახლეობა 539,4 ათასი კაცი (1989 წლის აღწერით). ისტორიულად ეს რეგიონი მოიცავს შიდა ქართლს, ხევსურეთს, ფშავს, მთიულეთს, ხევსა და ერწო-თიანეთს. სასურველია, ამ ადმინისტრაციულ ერთეულს დაერქვას გორის რეგიონი (საერისთავო) ან სხვა სახელი.

რეორგანიზაციის შემდეგ გორის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მოიცავს დღევანდელ სამ ადმინისტრაციულ ერთეულს, რაც ერთის მხრივ შეამცირებს მმართველობით აპარატს, მეორეს მხრივ შიდა ქართლის მიმდებარე კავკასიონის ხეობების ეკონომიკური აღორძინება დაეფუძნება შიდა ქართლის ბარის შედარებით განვითარებულ ეკონომიკას, რაც ამასთან მთის დაცარიელებას შეაჩერებს.

საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებში კახეთის, ქვემო ქართლის და სამეგრელო-ზ/სვანეთის დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ოპტიმალურია, სატრანსპორტო, ეკონომიკური, ისტორიული და სხვა თვალსაზრისით.

კახეთის (თელავის) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია შეადგენს 11,3 ათას $კმ^2$, ხოლო მოსახლეობა 441,1 ათას კაცს. მოიცავს კახეთს, თუშეთს და ისტორიული ჰერეთის ნაწილს.

ქვემო ქართლის (რუსთავის) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია შეადგენს 6,8 ათას $კმ^2$, ხოლო მოსახლეობა 608,4 ათას კაცს. მოიცავს ისტორიული ქვემო ქართლის ნაწილსა და თრიალეთს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის (ზუგდიდის) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია შეადგენს 7,4 ათას $კმ^2$, მოსახლეობა 374,1 ათას კაცს. მოიცავს ისტორიული სამეგრელოს დიდ ნაწილს და ზემო სვანეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ადმინისტრაციულ ერთეულში სასურველია რაიონების გამსხვილება, განსაკუთრებით სამეგრელოში.

აფხაზეთის, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სუბიექტის ტერიტორია შეადგენს 8,7 ათას $კმ^2$, ხოლო მოსახლეობა 1989 წლის აღწერით 525,1 ათას კაცს. ამჟამად მიახლოებითი შეფასებით აფხაზეთში ცხოვრობს ომამდელი მოსახლეობის 40-50%; დღესდღეობით აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, ხოლო მისი, როგორც საქართველოს ტერიტორიული სუბიექტის სტატუსი პოლიტიკოსების განსასაზღვრავია.

მესხეთ-ჯავახეთის ადმინისტრაციული ერთეულის (ბორჯომის რაიონის ჩათვლით) ტერიტორია შეადგენს 6,4 ათას $კმ^2$, ხოლო მოსახლეობა 235,5 ათას კაცს. მოიცავს ისტორიული მესხეთის და ჯავახეთის ნაწილს და თორს.

აჭარის, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სუბიექტის ტერიტორია შეადგენს 2,9 ათას $კმ^2$, მოსახლეობა 392,4 ათას კაცს, ხოლო ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია შეადგენს 2,0 ათას $კმ^2$, მოსახლეობა 158,9 ათას კაცს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური, სატრანსპორტო, ისტორიული თუ სხვა ასპექტებით გურია-აჭარა ერთიანი არეალია და რომ არა არსებული პოლიტიკური წინააღმდეგობები, მართებულია მათი ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად მოწყობა, რომლის ტერიტორია იქნება 4,9 ათასი $კმ^2$, ხოლო მოსახლეობა 550,4 ათასი კაცი. გურია-აჭარის ადმინისტრაციულ ერთეულს შეიძლება დაერქვას ბათუმის რეგიონი (საერისთავო) ან სხვა.

ამ ეტაპზე საინტერესოა წარმოვიდგინოთ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ერთდროულად პრეზიდენტის რწმუნებულად გურიაში.

პერსპექტივაში, გამომდინარე იქიდან, რომ აჭარის ავტონომია ანაქრონიზმია დღევანდელ საქართველოში (ყოფილ საბჭოთა კავშირში აჭარა ერთადერთი ავტონომია იყო რელიგიური ნიშნით შექმნილი, ამასთან ის შეიქმნა და არსებობს გარე ძალების ინტერესებით) და მან ფაქტობრივად თავისი თავი ამოწურა, საქართველოს ობიექტურად განვითარების შემთხვევაში ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მისი სტატუსი ისეთივე იქნება, როგორც საქართველოს სხვა მხარეებისა, ხოლო აჭარა-გურიის რეგიონების ერთ სუბიექტად შერწყმა ყველაზე ოპტიმალურია სატრანსპორტო და ეკონომიკური თვალსაზრისით. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ რეგიონს (აჭარას), მის მიმართ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პოზიციას აკვირდება გარე პოლიტიკური ძალები და რაც მთავარია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქართველი მუსლიმანები, განსაკუთრებით თურქეთის ქართველები. ბათუმი წარმოგვიდგენია ქართველ მუსლიმანთა კულტურულ ცენტრად, რომლის გავლენა უნდა ვრცელდებოდეს თურქეთის და ირანის მუსლიმან ქართველებზე.

თბილისისა და ფოთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად განხილვით საქართველო დღევანდელ საზღვრებში წარმოდგება 10 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სუბიექტად, ნაცვლად ამჟამინდელი 14 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სუბიექტისა.

საქართველოს უკეთესი მომავლის პირობებში 25-30 წლის შემდეგ (როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა საბოლოოდ იქნება განმტკიცებული, ეკონომიკურად მაღალ საფეხურზე ასული, დემოგრაფიული პრობლემები მოგვარებული, სამხედრო პოტენციალით კავკასიის ყველა სახელმწიფოზე ძლიერი) უნდა მოხდეს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ნაწილობრივ შეცვლა, რათა მან მიიღოს ბუნებრივი, ოპტიმალური სახე, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო უნდა იყოს უნიტარული სახელმწიფო მისი ადმინისტრაციული ერთეულების დეცენტრალიზებული მართვით, ხოლო ადმინისტრაციული ერთეულები უნდა შეიქმნას ჩვენს მიერ განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ემყარება ძირითადად სატრანსპორტო-ეკონომიკურ ბაზისს.

კერძოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთის (ზუგდიდის) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს უნდა შეუერთდეს გალის, ოჩამჩირის და გულრიფშის რაიონები, რის შემდეგაც ადმინისტრაციული ერთეულის ფართი გახდება 12,1 ათასი კმ2 (ხოლო აფხაზეთის ფართი იმ ეტაპზე გახდება 4,0 ათასი $კმ^2$).

მესხეთ-ჯავახეთის (ახალციხის) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს უნდა შეუერთდეს აჭარა-გურიის (ბათუმის) ადმინისტრაციული ერთეულიდან ქვაბლიანის ხეობა, ხოლო მოაკლდება ბორჯომის რაიონი (ისტორიული თორი), რომელიც შეუერთდება გორის ადმინისტრაციულ ერთეულს.

შემეცნებითი თვალსაზრისით საინტერესოა ერთა ლიგის მიერ ცნობილი მენშევიკური საქართველოს ტერიტორიის და საქართველოს ისტორიული მიწების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ზემოთ აღნიშნული პრინციპების საფუძველზე. საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეს იქნება ისტორიულად, ეკონომიკურად დაუჩეხავი, მთლიანი ქართული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, რაც საფუძველია საქართველოს მაქსიმალური განვითარებისა, როგორც ეკონომიკურად და პოლიტიკურად, აგრეთვე სულიერად, მაგრამ ამ სტატიაში აღნიშნული საკითხის ამ მიმართულებით განხილვა ამჯერად მიზნად არ დაგვისახავს.

**თამაზ ტეტუნაშვილი**



# რატომ წვავენ ეკლესიებს ამერიკაში?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქრისტიანულ ეკლესიებს წვავენ. 1990 წლიდან 80-ზე მეტი ეკლესია დაწვეს აშშ-ს სხვადასხვა შტატში: ჯორჯიის, ჩრდილო კაროლინის, სამხრეთ კაროლინის, ალაბამის, არკანზასის (აშშ-ს პრეზიდენტი ქლინთონი იქაურია), ტენესის, მისისიპის, ლუიზიანის, ვირჯინიის...

ეკლესიათა ეროვნულმა საბჭომ, ქრისტეს გაერთიანებულმა ეკლესიამ, აშშ-ს კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრმა, აშშ-ს დემოკრატიული აღმშენებლობის ცენტრმა ყურადღება მიაპყრეს ამ საკითხს. ისინი ფინანსურად, იურიდიულად ეხმარებიან დაზარალებულ ეკლესიებს.

პირველ ხანებში მთავრობა მაინცდამაინც დიდ ძალისხმევას არ იჩენდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ბოლო ხანს ვითარება შეიცვალა: ამ საკითხის შესასწავლად მთავრობამ შექმნა საგანგებო საბჭო, გამოცხადდა ტელეფონი (888-8555000), რომელზეც ნებისმიერ პირს, რომელიც ამგვარი დანაშაულის მცდელობას შეამჩნევს, სთხოვენ, დარეკოს. დაწვრილებითით ცნობებისათვის სთხოვენ, მიმართონ აშშ იუსტიციის დეპარტამენტს.

1996 წლის იანვრიდან ივნისამდე 28 ეკლესია გადაწვეს. იყენებენ ცეცხლგამჩენ ყუმბარებს. ინტერნეტით გამოქვეყნდა გადამწვარი ეკლესიების სია:

1. 5 იანვარი, 1990წ. აპოსტოლური რწმენის ეკლესია ლუისვილში;
2. 6 იანვარი, 1990წ. ოსბერის ეკლესია ლუისვილში;
3. 11 აგვისტო, 1991წ. ობოლთა თავშესაფარი თორნსუელში;

№ 72.

ამ ინფორმაციის ავტორები სთხოვენ მსოფლიოს ნებისმიერ ადამიანს, მისწეროს ქლინთონს, აშშ პრეზიდენტს, რომ ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს. ამასთან გვთხოვენ მივწეროთ ქლინთონს, არ დაუშვას ინტერნეტის ცენზურა, რისკენაც ბევრი ადამიანი მოუწოდებს.

პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ მართლაც უნდა ვთხოვოთ აშშ პრეზიდენტს, რომ აუცილებლად შემოიღოს ცენზურა უხამსი, ადამიანისათვის დამამცირებელი ვიდეო-მასალის ასაკვეთად ინტერნეტში. მასში არიან ცნობილი ადამიანები — გაშიშვლებულები.

**ნათელა ფოფხაძე**



# დემოკრატია თუ დემაგოკრატია?!

რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თვისტომისმკვლელი ქართველის შეჩვენება ბრძანა, რაც, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება და რასაც, სხვათა შორის, აფხაზებმა კუდი გამოაბეს და კათოლიკოს-პატრიარქს უკადრისი აკადრეს.

მე უფრო გადაჭრით ვიტყოდი: სხვისი სიცოცხლის განზრახ ხელმყოფი, სიცოცხლის ღირსი არ არის, მაგრამ ვაი, რომ იძულებული ვართ ვიღაცას თავი მოვაწონოთ. მით უმეტეს, დაუშვებელი და დამღუპველია სისხლიანი გადატრიალება. გამსახურდიასათვის ნასროლი ტყვია, როგორი პრეზიდენტიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მთელ საქართველოს მოხვდა და საბედისწეროდ ჩაბუმერანგდა მავანთა ცნობიერებაში.

გაჭირვება, თავისთავად, ტერორიზმს არ ბადებს, თუ მას ახსნა აქვს და მაშასადამე, თუ იგი საყოველთაოა. პირიქით, ერთცუდბედქვეშობა უფრო ადუღაბებს და წმენდს საზოგადოებას. ისტორიას მრავლად ახსოვს „ლამაზად მოშიმშილე ადამიანები", რომლებიც მაღალ ზნეობრივ იდეალებს და სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ქმნიდნენ, მაგრამ როცა საშემოდგომოებით სკოლადამთავრებული მისალებ გამოცდებზე უკან იტოვებს თავის ფრიადოსან თანაკლასელს და ბოლოს მისი ბოსი ხდება, როცა ხულიგანი მინისტრდება, როცა ლოთი და მაფიოზი დესპანია, როცა ელიტის დანაშაულის უმაღლესი სასჯელი სამსახურიდან გადაყენებაა, ციხეები კი მეისრეებს ვერ იტევს, როცა 2 მილიარდიანი კრედიტის მე მხოლოდ გადახდა მეკითხება, როცა ჩემი უფლებამოსილება „წერე და იკითხეს" ფარგლებს არ სცილდება, როცა შენი შვილი საზღვარგარეთ ეუფლება შენს სამემკვიდრეო განათლებას, ჩემსას კი პური და წამალი უჭირს, მოკლედ, როცა მტკიცედაა დადგენილი, ვინ უნდა იყოს ელჩი და ვინ ამ ცხოვრების ლენჩი, როგორღა გინდათ დამარწმუნოთ, რომ ეს ქვეყანა ჩემიცაა, ან რომ კანონის მორჩილება მარტო ჩემი ვალდებულებაა?!

ასე რომ, სწორედ ეს ზემოდან მომდინარე უსამართლობა და განუკითხაობა ამკვიდრებს საზოგადოებაში ძალადობას, როგორც მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებას და ქმნის ნიადაგს ხელი აღმართონ პრეზიდენტზე და თავზე დაგვამხონ სიმწრით მოპოვებული სახელმწიფოებრიობა, რომლის ღირსიც, გამოდის, არ ვყოფილვართ!

უსაშველო მხოლოდ სიკვდილია, მაგრამ დღევანდელი კვერცხი არ უნდა ვარჩიოთ ხვალინდელ ქათამს და ეს ქათამი დამსახურებისდა მიხედვით ყველას უნდა შეხვდეს, „სხვისი პრობლემები", „სხვისი შვილები" ქვეყანაში არ უნდა არსებობდნენ!

ხომ სავსებით კანონზომიერია, რომ ისეთი ნიჭიერი და პოლიტიკურ ორომტრიალებში გამოწრთობილი კაცის შვილი, როგორიც ჩვენი პრეზიდენტია, „გვარზე ხტოდეს", მაგრამ „გახსენით გული", ბატონო პრეზიდენტო და ბრძანეთ, გამორიცხული იყო იუნესკოს კონკურსში არგამარჯვება,თქვენ რომ თქვენ არ ბრძანებულიყავით?

დღეს აღარავინ სთხოვს ვინმეს სააკაძეობასა და სტალინობას, მაგრამ აუცილებელია მოვერიოთ ჩვენს მთავარ მოსისხლე მტერს „ჩანყობას" და ყველას მივცეთ თავისი თავის რეალიზების საშუალება.

მე რომ მეკითხებოდეს, სპეციალურ გადასახადს დავაწესებდი და ყველა ბავშვს ერთნაირ საბაზო სწავლა-განათლებას მივცემდი, სადაცვე დადგინდებოდა თითოეულის შესაძლებლობები, მიდრეკილებები და ყველა თავისი გზით განწესდებოდა — ვინ, ყოველგვარი მისალები გამოცდების გარეშე უმაღლესში და ვინ — შესაფერის პროფესიულ სასწავლებელში.

თუ დემოკრატიული, ღია საზოგადოება ვართ, უნდა დაარსდეს სამთავრობო გაზეთი, სადაც

1. უკანასკნელ თეთრამდე დაიბეჭდება თუ რა, რა სახით და რა პირობებით შემოდის ქვეყანაში და რას ხმარდება იგი. თურქმენეთის ვალი ათასნაირად ტრიალებდა გაზეთებში და ისიც დაიწერა, არავითარი ვალი არა გვაქვსო, ახლა კი აღმოჩნდა, რომ იგი საკმაოდ მძიმედ გვაწევს კისერზე. სხვათა შორის, რუსთაველის თეატრზეც ითქვა, თანხა გამოინახა და დანგრევა აღარ ემუქრებაო, ახლა კი კვლავ ცხადდება, გვიშველეთ, ვიღუპებითო. რაშია საქმე? ანგარიში გვეშლება თუ მეხსიერება გვაღალატობს?

2. ხშირად გვესმის, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ვმონინავეობთო. სინამდვილეში პირველები ჩვენ, თანაც მთელ მსოფლიოში, ეკონომიკის დაცემის ტემპით ვყოფილვართ და წყლის ენერგო-რესურსებით, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს ვიყენებთ. ამიტომ შეუფარდებელია ჩვენი და მათი შემოსავლები მოსახლეობის კატეგორიებისდა მიხედვით, პრეზიდენტიდან დაწყებული ყველაზე დაბალი მოხელით დამთავრებული; და თანაც როგორია მმართველი აპარატის პროცენტული შეფარდება მოსახლეობასთან.

3. ხალხი უფლებამოსილია იცნობდეს მაღალი თანამდებობის პირთა დეკლარაციებს და მათი ოჯახის წევრთა საქმიანობას.

4. საზოგადოებას აგრეთვე დააინტერესებს, ვინ ეუფლება საზღვარგარეთ განათლებას და როგორ მოხვდნენ ისინი იქ.

აი, ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები და ბუნებრივია, ჩვენთვის სულერთი როდია, ვინ დაგეგმავს ჩვენს შემდგომ სვლა-გეზს, მაგრამ შეუძლია კი თოხსა და დაზგას მიჯაჭვულ, ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფ გლეხსა და მუშას, [illegible] არჩევანის გაკეთება? [illegible] უფრო მართებული და [illegible] იქნებოდა ეს არჩევანი მიგვენდო საკრებულოებისათვის, რომლებიც თავისივე მეზობლების მიერ არიან არჩეული და რომლებიც სამსახურეობრივად ბევრად უკეთ არიან გაცნობიერებული რაიონისა თუ ქალაქის მასშტაბით? თანაც არჩევანი უნდა გაკეთდეს არა შპარგალკით, გინდა თუ არა ან ეს აირჩიე ან ისო, არამედ ამომრჩევლების რაოდენობაზე ზუსტად დაბეჭდილი, დანომრილი და ბეჭედდასმული ბიულეტენებიდან. საგამოცდო ბილეთივით აღებულ მათგანში თითოეულმა ამომრჩეველმა თვითონ უნდა შეიტანოს თავისი სასურველი კანდიდატურა. აირჩევა ის, ვინც ყველაზე მეტ ხმებს დააგროვებს.

ახალი ველოსიპედია? — მერე რა. მით უმეტეს, ჩვენი გზების პირობებში.

**აკაკი მუშლაძე,**
**სოხუმელი პედაგოგი**



# ჭეშმარიტება, რომლის დამტკიცება ჯერჯერობით ვერავინ შესძლო

1600 წელს იტალიელმა მეცნიერმა ჯორდანო ბრუნომ დედამიწელთათვის „შეურაცხმყოფელი" აზრი გამოთქვა — „მხოლოდ აბსოლუტურ სულელს შეუძლია მიაჩნდეს, რომ უსასრულო სამყაროში სიცოცხლე და გონიერი არსებები მარტო ჩვენთან, დედამიწაზეა. უაზრობაა იმის გაფიქრებაც კი, რომ ჩვენს ირგვლივ შემოჯარულ ურიცხვ ვარსკვლავთა სისტემებში თუნდაც სხვანაირი ცოცხალი არსებები, სხვაგვარი გონება, აზროვნება არ არსებობდეს".

ამ „მკრეხელური" აზრის საჯაროდ განცხადებისათვის 52 წლის მოაზროვნე რომის პაპის ბრძანებით ინკვიზიტორებმა კოცონზე დაწვეს.

ჩვენი წელთაღრიცხვით მე-2 საუკუნეში ალექსანდრიელმა სწავლულმა კლავდიუს პტოლემეოსმა სამყაროს აგებულების გეოცენტრული სისტემა ჩამოაყალიბა. მისი იდეის მიხედვით დედამიწა (ბერძ. „გეო") სამყაროს ცენტრია, რომლის ირგვლივ მზე, მთვარე, მახლობელი პლანეტები და შორეული მნათობები მიმოიქცევიან.

ჯორდანო ბრუნომდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე პოლონელმა ნიკოლაი კოპერნიკმა გეოცენტრული სისტემა უარყო და ახალი, ჰელიოცენტრული (ბერძ. „ჰელიოს" — მზე) სისტემა ჩამოაყალიბა, სამყაროს ცენტრად მზე მიიჩნია. ღვთის მსახურებმა ახალი მოძღვრების შემქმნელს მხოლოდ სასტიკი წამება აკმარეს.

ჯორდანო ბრუნოს საჯაროდ დასჯიდან ორმოცი წლის შემდეგ — მექანიკის დამაარსებლად წოდებულმა, მათემატიკოსმა, ფიზიკოსმა და ასტრონომმა, სხეულთა ვარდნის, ქანქარის რხევის, სიჩქარეთა შეერთების კანონების აღმომჩენმა გალილეო გალილეიმ მიდელბურგში მცხოვრები ჰოლანდიელი ოპტიკოსის ზაპარიუს იანსენის მიერ 1600 წელს შექმნილი სამზერი მილით — ტელესკოპით დაინტერესებულმა კოპერნიკის თეორიის დამადასტურებელი ფაქტები თვალნათლივ დაინახა და მეცნიერთა საბჭოს ამცნო. ინკვიზიციამ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერიც არ დაინდო და „უმეცრების მქადაგებელი" სასტიკად აწამეს.

დრო გადიოდა. ხალხთა შორის ეკონომიკური ურთიერთობა და ვაჭრობა ვითარდებოდა. ჩაისახა და ზრდა იწყო ბურჟუაზიულმა კლასმა, რომელიც ახალი ქვეყნებით დაინტერესდა. ნედლეულის ახალ კერებს და გასაღების ახალ ბაზრებს დაუწყო ძიება. დაიწყო შორეული მოგზაურობანი, რასაც ამერიკის აღმოჩენა, ინდოეთისაკენ საზღვაო გზის დადგენა, დედამიწის გარშემო პირველი მოგზაურობა მოჰყვა. ზღვაოსნობისათვის აუცილებელი იყო ადგილმდებარეობის განსაზღვრის ხერხების დაზუსტება. ამან ყველა მეთოდების და ხელსაწყოების გაუმჯობესება, ახლის გამოგონება გამოიწვია.

ერთ-ერთი უძველესი, ჭეშმარიტი მეცნიერება — ასტრონომია ხელახლად აღორძინდა. პრაქტიკული, გამოყენებითი გახდა. იოჰან კეპლერის, ისააკ ნიუტონის, მიხაილო ლომონოსოვისა და სხვა საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერთა გაბედულმა მოქმედებამ — მზის სისტემასა და დიდი კოსმოსის ურთიერთკავშირდამოკიდებულების ფაქტებით დამტკიცებამ ახალი აღმოჩენები გახადა შესაძლებელი. ოპტიკური ხელსაწყოდანადგარების სწრაფმა განვითარება-გაუმჯობესებამ ასტრონომებს საშუალება მისცა კოსმოსელი მეზობლები, მათი ზნე-ჩვეულებანი უფრო კარგად შეესწავლათ. თითქმის 400 წლის წინ დაწყებულ და დღემდე ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად დადგინდა, რომ უკიდეგანო სივრცეში 100 მილიარდი კვარდილიონი ვარსკვლავია. მილიარდი ათას მილიონს უდრის, კვარდილიონი — მილიარდ მილიონს.



ასტრონომების გამოთვლებით ამ განსაცვიფრებელი რაოდენობით არსებულ ვარსკვლავთა მეხუთედს პლანეტათა სისტემები გააჩნიათ. თითოეულ პლანეტათა სისტემაში სავარაუდოდ სასიცოცხლო პირობები ერთზე მაინც არსებობს.

კოსმოსის მტვერსა და მეტეორიტებში ორგანული მოლეკულების დიდი რაოდენობა იქნა აღმოჩენილი. აქედან გამომდინარე, მეცნიერთა აზრით, სამყაროში სიცოცხლის თვითდაბადება კანონზომიერი პროცესია. სამყაროს არსებობის მრავალი მილიარდი წლის მანძილზე სხვადასხვა ფორმის სიცოცხლე მრავალგზის აღმოცენდა და კვლავ აღმოცენდება. ისევე, როგორც დედამიწაზე ადამიანები, სამყაროშიც ყოველ წუთს რომელიღაც პლანეტაზე სიცოცხლე იბადება, მილიონობით წლებით ცოცხლობს, ბერდება და კვდება, ისპობა. ესტაფეტას სხვა პლანეტა სხვა ფორმით ღებულობს და ა. შ.

თუ ჩავთვლით, რომ თითოეული ყოველნაირი სახეობის ცივილიზაცია 1-დან 100 მილიონამდე წელს ცოცხლობს, მარტო ჩვენ გალაქტიკაში რამდენიმე მილიონამდე წლოვანებისა და სხვადასხვაგვარი ცივილიზაცია არსებობს.

1962 წელს გრინ-ბენკში გამართულ სიმპოზიუმზე ამერიკელი ასტრონომები და ასტროფიზიკოსები ჩვენს გალაქტიკაში 50 მილიონი ცივილიზაციის არსებობას იმედოვნებდნენ. მკვლევარ მ. ხარტის მოხსენებით — „ჩვენს, მზის სისტემაში სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობები ამჟამად მხოლოდ დედამიწაზეა. შორეულ წარსულში, მრავალი მილიარდი წლის წინ შესაძლოა სიცოცხლე მარსზე, იუპიტერზე და სხვა პლანეტებზეც არსებობდა. კოსმოსის კანონის თანახმად პლანეტები მზეს განეზიდებიან, შორდებიან, ცივდებიან და სახესხვაობას განიცდიან. რომელიღაც მომენტში ცენტრიდანული ძალები სუსტდება და უკუქცევით — ცენტრისკენული ძალები იწყებენ მოქმედებას. პლანეტები მზისაკენ მიიზიდებიან. ეს [illegible] დედამიწის ორბიტა მზეს 5%-ით დაუახლოვდეს, რომ 3,7 მილიარდი წლის შემდეგ ე. წ. სათბურის ეფექტის შედეგად მასზე ნახშირბადის ორჟანგით გაჯერებული გახურებული ატმოსფერო წარმოიშვას, ისეთივე, როგორიც პლანეტა ვენერაზეა და ტემპერატურამ 400 გრადუსს მიაღწიოს, ყოფილი ცოცხალი პლანეტა ლავად აქციოს. ანდა თუ დედამიწის ორბიტა მზეს 1%-ით დაშორდება (რაც გარდაუვალია 1,7 მილიარდი წლის შემდეგ), ატმოსფერო ისევე გაცივდეს, როგორც მარსზეა. ორთავე შემთხვევაში დედამიწაზე ბიოლოგიური სიცოცხლე მოისპობა, ჩვენთვის უცნობ ფორმად გადაიქცევა. სხვა მზეთა სისტემებშიც სავარაუდოა მნათობსა და ცოცხალ პლანეტას შორის ამგვარი დისტანციები არსებობდეს. ბუნების კანონების თანახმად მზეები და პლანეტები მათი ზომების მიუხედავად მიზიდულობის ძალით ერთმანეთის მიმართ გარკვეული მანძილებით არიან დაშორებულნი. ყოველ მათგანზე სხვადასხვა სახეობის ფორმების არსებები ცხოვრობენ".

ცნობილი იყო, რომ უძველესი ჟამთააღმწერლები თავიანთი ეპოქის ისტორიულ მოვლენებს დეტალურად აღწუსხავდნენ და საგულდაგულოდ ინახავდნენ, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. იმის გასარკვევად, მრავალ ათას საუკუნეთა მიღმა ვარსკვლავთ სისტემების შესახებ რაიმე ინფორმაცია თუ არსებობდა, მეცნიერები აქა-იქ შემორჩენილ, შემთხვევით გადარჩენილ დანატოვარს ჩაუღრმავდნენ.

სხვადასხვა უძველესი ქვეყნების ხელთნაწერების გაცნობისას უცნაური, სხვადასხვა სახის, მაგრამ თითქმის ერთნაირი მოვლენების აღწერები აღმოაჩინეს. დედამიწას ციდან პერიოდულად, დროის რაღაც მონაკვეთებით სფეროს, ელიპსის, სამკუთხა, მოგრძო კვერცხისა და სხვადასხვა ფორმის მბრწყინავი რაღაცეები სტუმრობდნენ. ცაზე სწრაფად დასრიალებდნენ, უცნობ გეომეტრიულ ნახაზებს ასრულებდნენ და უხმაუროდ, უკვალოდ ქრებოდნენ.

ვარსკვლავთ სისტემების ბედით დაინტერესებულმა მეცნიერებმა წარსულ დროში აღწერილი სხვადასხვა ფორმის ციური სტუმრების დროდადრო გამოჩენები მითოლოგიის ერთ-ერთ ჟანრად მიიჩნიეს და მიივიწყეს.

XX საუკუნის პირველ ნახევარში „მითოლოგიურმა სიუჟეტებმა" დედამიწელებს თავი კვლავ შეახსენეს. ე. წ. კურსკის რკალზე გადამწყვეტი, სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლები მიმდინარეობდა. ერთ დღეს, განთიადისას მოწინააღმდეგე მხარეების არტმომზადება არ შედგა, რადგან ფრონტის ხაზს ზემოთ ჰაერში საიდანღაც მანათობელი სფეროები გამოჩნდნენ და მებრძოლების თვალიერებას შეუდგნენ. თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში „დამკვირვებლები" ჰაერში უძრავად ეკიდნენ, ციმციმებდნენ და მოწინააღმდეგეთა შერკინებას მოთმინებით უცდიდნენ. ორთავე, საბჭოთა და გერმანიის არმიების სარდლები თავთავიანთ მთავარსარდლებს თითქმის ერთი და იმავე შემაშფოთებელი შეკითხვებით სასწრაფოდ დაუკავშირდნენ — „მოწინააღმდეგემ რაღაც უცნობი იარაღი გამოიყენა. როგორ მოვიქცეთ"-ჰიტლერმა ცოფები ჰყარა და საგონებელში ჩავარდა. ი. სტალინმა მცირე ფიქრის შემდეგ ყველა ფრონტის სარდალს უბრძანა, საიდუმლოება — „სსრკ-მ უახლესი უცნობი ტექნიკა გამოიყენაო" — ეთერში ღიად გაეშვათ. იმ დღიდან ომის ბედი სსრკ-ს სასარგებლოდ შემობრუნდა. კურსკიდან მოყოლებული საბჭოთა არმიამ ფაშისტებს გერმანიამდე სდია.

1942 წლის 25 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტს. ფბრ-ის დირექტორმა ედგარ ჰუვერმა მოახსენა — „ლოს-ანჟელესის ცაზე რაღაც უცნობი მფრინავი ობიექტები გამოჩდნენ, რომლებსაც 1430 საზენიტო ჭურვი ამაოდ მივახარჯეთ"-ო. ამერიკამ საბჭოთა კავშირს ახსნა-განმარტება მოსთხოვა. სსრკ-ს ვიცე-კონსულმა „ულვაშა ჯო"-ს მითითებით შეერთებული შტატების პრეზიდენტს განუცხადა — „საბჭოთა კავშირი ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტს პატივს სცემს. იმის წარმოდგენაც კი, რომ სხვა სახელმწიფოების ტერიტორია საცდელ პოლიგონად გამოიყენოს, დაუჯერებელია, რადგან სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის საკუთარი ტერიტორიებიც საკმაოდ გააჩნია"-ო.

ციური სტუმრების ვიზიტები მიწიერმა მასპინძლებმა სხვადასხვაგვარად აღიქვეს და გამოიყენეს.

1947 წელს ამერიკელმა ბიზნესმენმა არნოლდმა ფოტოაპარატით ჰაერში უხმოდ მფრინავი უცნაური ობიექტი დააფიქსირა, რომელიც თავისი ფორმით ორ, ერთმანეთზე დაპირქვავებულ თეფშს წააგავდა. ნათლიამ თავის აღმოჩენას „მფრინავი თეფში" უწოდა. გამოგონილ სენსაციებში გათვითცნობიერებულმა ამერიკელთა უმრავლესობამ არნოლდის აღმოჩენა მორიგ ბლეფად მიიჩნია. მთავრობამ, პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა უცნობი ობიექტი სსრკ-ს ნახელავად აღიქვეს და მორიგი სიურპრიზის მოლოდინში თავდაცვითი ზღუდეები გააძლიერეს.

1952 წელს ვაშინგტონის ცას უწყინარი „ციცინათელები" ეწვივნენ და მთელი ღამის განმავლობაში ქაოსურად დასრიალებდნენ. სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები მოუხელთებლებს ამაოდ დასდევდნენ. აშშ-ს მთავრობის ბრძანებით 10 ათასი დოლარი ჯარიმითა და 10 წლის თავისუფლების აღკვეთით დაისჯებოდა ის, ვინც ამოუცნობი მფრინავი ობიექტის შესახებ რაიმეს იტყოდა. ქვეყნის მეცნიერთა თავკაცები მენსოლი და კონდი, რომლებმაც ვერაფერი გაარკვიეს, დასამშვიდებლად საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ ციდან მოვლენილი უცნაურობანი მირაჟების, ღრუბელთა ანარეკლებისა და სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენების ოინებიაო.

1966 წელს პროფესორმა ხაინეკმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ — „მფრინავი ობიექტები საპლანეტთაშორისო საფრენი აპარატებია"-ო. მისივე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1974 წელს ამო-ს შემსწავლელი ცენტრი შეიქმნა. მისი ლაბორატორიები ამო-ს დამაფიქსირებელი, მასზე დამკვირვებელი მიმღებ-გადამცემი აპარატურებით აღჭურვეს. წარმოიშვა მეცნიერების ახალი დარგი უფოლოგია. ცენტრმა, რომელსაც ქვეყნის ყველა უნივერსიტეტები, სამხედრო-საჰაერო ძალები, საჰაერო თავდაცვა, სამხედრო და სამოქალაქო ავიაცია, პოლიცია და თვით ფბრ-ც ექვემდებარებიან, 80000-მდე ამო დააფიქსირა. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების, მათი მასალის, შემადგენლობის, დამზადების ტექნოლოგიისა და სხვა პარამეტრების შესასწავლად აშშ-ს მთავრობამ საიდუმლო „შავი პროგრამა" შეადგინა.

ლას-ვეგასიდან 190 კმ-ით დაშორებულ უდაბნო ნევადას ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ზესაიდუმლო „51 ზონა" ფუნქციონირებს. მავთულხლართებით შემოვლებული უზარმაზარი ტერიტორიის შიგნით საშუალო ზომის თანამედროვე სტილის ქალაქია გაშენებული. ტერიტორიის ირგვლივ ყოველ მესამე კილომეტრზე უკანასკნელი ტექნიკით აღჭურვილი სადარაჯო კოშკებია აღმართული. მათი მომსახურე პერსონალი 24 საათის განმავლობაში უსახელო ქალაქს, უმაღლესი ხარისხის რკინა-ბეტონის მასიური ფილებით დაგებულ 9,5 კმ სიგრძის საფრენ ზოლსა და ტბა პეიპოუზის ქვეშ მოთავსებულ გარეშე თვალთათვის მალალოსტატურად შენიღბულ პოლიგონ „ს-"4"-ს საიმედოდ დარაჯობენ. ტბის ირგვლივ შემორტყმული ხრიოკი გორაკების ქვეშ ზეთანამედროვე ხელსაწყოებით დამონტაჟებული ლაბორატორიებია განლაგებული.

„51 ზონა" ამერიკის შეერთებულ შტატებს ყოველწლიურად 35 მილიარდი დოლარი უჯდება.

**გია ტორიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კურიოზები ... კურიოზები ...



**„მერაბ სეფაშვილი რომ გამხდარია, ნაწილობრივ ჩემი ბრალია“ — აღიარებს ესტრადის მომღერალი გენო ონაშვილი.**

## ჩავვარდით ...

„რეროში“ ერთად ვმოღვაწეობდით (ვმღეროდით) მე და ქალბატონი ჯულიეტა მურადელი — ცნობილი მომღერალი, ჩვენი საყვარელი და საამაყო მომღერლის — მერაბ სეფაშვილის დედა.

მერაბი იმ პერიოდში 3-4 წლის თუ იქნებოდა. დედას არ შორდებოდა, კონცერტები შინ გვქონდა თუ საზღვრებს გარეთ, სულ ჩვენთან იყო. რატომღაც მაშინ არ მღეროდა და მოთმინებით გვიცდიდა კულისებში.

როგორც ყველა ბავშვს (მერაბი ვისზე ნაკლები ბავშვი გახლდათ?) კარაქიანი პური სასტიკად ეჯავრებოდა. არადა (ბედის საქმეა), ჯულიეტა მაინცდამაინც იმ „საზიზღარ“ მასას სქლად გადაუსვამდა პურის ნაჭერზე და ... მიდი, საწყალო მერაბი ... მისი ცოდვით მაღლა ცა ინვოდა, დაბლა დედამიწა და შუაში მე ...

— აი, დედიკო, ამ კარაქიან პურს თუ შეჭამ, ხვალ ველოსიპედს გიყიდი — აიმედებდა ჯულიეტა ბავშვს. მერაბის მაინცდამაინც „მერსედესი“ უნდოდა, მაგრამ დედა ამ აზრისაგან თავს შორს იჭერდა და კონსენსუსი საეჭვოდ იგვიანებდა.

... გასტროლებზე ვართ უკრაინაში. მერაბი უნიათოდ ატრიალებს კარაქიან პურს, ჯულიეტას სოლო ნომერი გამოაცხადეს.

— აბა, დედიკო, სანამ ვიმღერებ და მოვბრუნდები, ეს პური (კარაქს არ ახსენებს) შეჭმული უნდა იყოს, ხომ?!

— ქომ! — ეთანხმება ესეც.

ჯულია გავიდა სცენაზე.

ვიწვი მერაბის საცოდაობით და მეწვება კუჭი შიმშილით, აზრი უმალ დაიბადა.

— მომეცი ეგ პური აქ ... — ვეუბნები.

— ლადო? — დაეჭვდა მერაბი.

— ლადო კი არა, სოსეცი ... — მოვუმატე ხმას. უხმოდ გადმომილოცა. სამი გვარიანი ლუკმა და ორი კურდღელი დაჭერილია. კარაქიანი პური სასიამოვნოდ მისრიალებს ჩემი დამშეული კუჭისკენ.

— რა ქენი მერაბი? შეჭამე, შვილო? — შემოვიდა ჯულია.

მერაბი თავისუფალ ხელებს აჩვენებს. (რატომ არ აჩვენებს, რა?!)

— ყოჩაღ, დედიკო, ყოჩაღ!!!

ასე გაგრძელდა .. მე და მერაბი დაუწერელი კანონით „დავკონტრაქტდით“. ყველა კმაყოფილია. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“

ერთხელაც ჯულიეტას ნომერი რომ გამოაცხადეს, ჯულიეტა რომ მიკროფონს ეცა, მე რომ მერაბის კარაქიან პურს ვეცი ... გამოირთო შუქი. ჩაიშალა ჯელიეტას ნომერი დროებით. აინთო სათადარიგო შუქი კულისებში და შემობრუნებულმა ჯულიეტამ შემოგვისწრო, ნახევარი პური ისევ ხელში მიჭირავს ...

„ვაი“ კი ვთქვი, მაგრამ „მე“ ვეღარ მოვასწარი.

— შე საზიზღარო, — დამაცხრა, — ღვინის სმა არ მოგწყინდა, კარაქიანი პურიც დაიგემოვნე?!



„ადუღდა“ და როგორ. შუქის ჩართვამდე მლანძღა. ორი კვირა ხმას არ მცემდა, ბოლოს სამი კილოგრამი კარაქი ვუყიდე და ...ძლივს შევირიგე.

## „დავაი, და!!!“

გაგანია ომია თათრებსა და სომხებს შორის ყარაბაღისათვის, ის პერიოდია.

ჩემი მეგობრის მანქანით ერევანში მივდივართ იქაური მეგობრის ქორწილში. ვართ ოთხი კაცი მანქანაში. მაგრამ არც ერთს არ გვიგრძვნია, როგორ აგვერია გზა. პირდაპირ თათრების „შლაგბაუმს“ მივადექით. შარი თუ გინდა, ესაა...

მოცვივდნენ ავტომატიანი აზერბაიჯანელები. ვიკადრეთ ძირს გადმოსვლა (არ იკადრებ და შენი აჯობებს), თვალისდახამხამებაში გაგვჩხრიკეს.

წაიკითხეს ჩემი გვარი პასპორტში — ონაშვილი.

— ბიჩო, შენე სომეხი ხომ არ არი? — მეკითხება იმათი მეთაური, ქართული რომ იცოდა „საყველპურო“.

— არა, რას ამბობთ ... პაპანაქება ქართველი ვარ.

— გვარი გადაქეთებულია ... ონიოიან!

— არა, არა, ნამდვილად ქართველი ვარ! — ამოვიკნავლე როგორც შევძელი.

— აბა, თქვი ქართულად დედა როგორ არი, ბიჩო?

— რა უშავს, ცოტა წნევა აწუხებს, ისე რა უჭირს-მეთქი. სულ გაგიუდა.

— ქუდა იედიწე? — გადავიდა რუსულზე (ქართულს ხომ აბულბულებდა).

სხვა გზა არ იყო. ავამუშავე ტვინი. რა ვუთხრა ახლა? სომეხი მეგობრის ქორწილში მივდივართ, იმ სომეხის, თქვენ რომ გებრძვით და ხვალზეგ რომ გაამრავლებს თქვენს მოწინაალმდეგე ძალას — მეთქი, არა. დაგვცხრილავენ და არც არავისთან აგებენ პასუხს. ან ვინ მოსთხოვს? — იცით რააა! — გავწელე და ვფიქრობ. ხო, რა და ერევანში მივდივართ.

— ერევანში რა გინდა? — სიბრაზისაგან კინაღამ გაჭალარავდა ეს შავი კაცი ... იმათ ეხმარები?

— არა ... ცუდი არაფერია ... ჩვენი ძმაკაცი ზის იქ ციხეში — ქართველი.

— სად იქ? — ჩაკრა თათარმა ხელი ავტომატის დამცველს. არაა საშველი ... წამში დაგვყრის ძირს ყველას.

— სად და ერევანში.

— რაზე ზის? — დაეწყო კანკალი.

— რაზე და, ზის რა ... სომეხი შემოაკვდა და ახლა მივდივართ, როგორმე იქნებ დავიხსნათ.

— რამდენი სომეხები მოკლა ქნა? — დამშვიდდა ოდნავ. გონება გამინათდა.

— ოთხი სომეხი მოკლა ... ავტომატი გაუვარდა შემთხვევით.

— რამთელი? ოთხი? — გადაითვალა თითებზე.

— კი, ოთხი, მეხუთე დაჭრილია და ჰოსპიტალში წევს.

თათარი მეთაური დაწყნარდა. დაწყნარდა კი არა, გამხიარულდა. გამხიარულდა რომელია, მეცა და გადამკოცნა.

— ერევანცქი დაროგა თუდა — მიმითითა, ცოტა რომ დაწყნარდა — სკაჟი ვაშემუ პადსუდიმომუ ... ონ ნაშ ბრათ. პუსკაი სკაჟი ტაქ პროდოლჟაეტ ... სჩასთლივა, ბრადცი ...

... ასე გადავრჩით, მაგრამ მის მერე ნერვები აღარ მივარგა. ახლა კავკასიურ ენებს ვსწავლობ ....

## „უჩენიაზე“ რუს „ძმებთან“

1973 წელია. ანსამბლ „რეროსთან“ ერთად ტამბოვში ვარ. იქ ვმართავთ რამოდენიმე კონცერტს.

შუადღეა ... დილის რეპეტიცია დამთავრდა და საღამომდე თავისუფლები ვართ. (საღამოს — ბუნებრივია, კონცერტი უნდა იყოს).



ანსამბლის წევრები ქალაქს მოედვნენ. მე და გია ჭირაქაძე დავრჩით. ტამბოვი ჩვენ არ გვაინტერესებდა, მეხუთედ ვიყავით იქ და დავხეტიალობთ კომუნისტების მზრუნველი ხელით გაშენებულ ერთ სკვერში.

გია ჭირაქაძეს, თვითონაც ხომ დიდია — დიდი იუმორის გრძნობა გააჩნდა და დღესაც ისეევა, როგორც ამდენი წლის წინ. მე ხომ სულ „შაყირზე“ მეჭირა თვალი. უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს „ეშმაკურ ჩანაფიქრებს“.

... იმას ვამბობდი. დავხეტიალობთ ამ სკვერში და ... „საკბილოც“ დაილანდა.

ორი გვარიანად შემთვრალი ოფიცერი (ფორმით) „მოშატაობს“ ჩვენი მიმართულებით შემხვედრ ზოლზე. მთვრალები რომ არიან, შეუიარაღებელი თვალით 500 მეტრში „მოვწვით“. გვიახლოვდებიან.

დაიწყო ჩემს მიერ (ექსკლუზიურად) თვალის დახამხამებაში მოფიქრებული მათთან ურთიერთობის ჩემებური სცენარი.

მოგვიახლოვდნენ ასე — 20 მეტრში ... მოსაუბრობენ, მობუტურებენ. „ბელამორკანალს“ აღრჩოლებენ და არიან ერთ ამბავში.

იღბლად ასე, მეტრნახევრიანი ჯოხი მოვძებნე იქვე, ბუჩქებში. ალბათ, ვიღაცა ძაღლს წვრთნიდა და დაავიწყდა, ან ვერ ნახა ის ჯოხი.

ეს არაფერია.

ავილე ეს ჯოხი ისე, რომ ოფიცრები „არ შემიმჩნევია“ და გიას რუსულად ვეუბნები:

— ვოტ , პარენ .. ტაკ ნადა რუჟიო დერჟატ! — უხერხულად ავატრიალე ჯოხი — ვინტოვკაა და ...

— ხა, ხა, ხა ... — ახარხარდნენ „ძმები“ ოფიცრები.

— ეხ, გრუზინი, გრუზინი ... რაზვე ტაკ ნადა დერჟატ რუჟიო ... (გაგვიცნეს უცბად).

— ანუ ვიტოკ, ტი ეტიხ სალაგუშეკ პაკაჟი ... კაკ ეტო სდელაეტსია.

ვიტოკმა თავი გამოიდო და იმდენი აცოდვილა ეს ჯოხი-ვინტოვკა, სანამ შუბლში არ გაირტყა და კინაღამ დააკლო ერთი კაცი თავის ნაწილს, მაგრამ გადარჩა.

ვითომ ძალიან მაგარი გაკვეთილი ჩაგვიტარეს და კმაყოფილებით განაგრძეს გზა ბარბაცით.

ესენი კი მიდიან, მაგრამ მე გამშვები ვარ?

— გიიააა! — დავაწექი „ააა“-ს იმათ გასაგონად, — სმატრი კაკ ნადა პოლზატ პრი რაზვეტკე. მუხლებზე და ხელებზე დავდექი შვილიშვილის მოყვარული ბაბუსავით (აჩუ ბაბუ) და გავბობღდი.

— და ნე ტაკ ... და ნე ტაკ ... ნუ ჩტო ეტო ... და ნუ! — მოკვდნენ სიცილით ჩვენს დანახვაზე.

— ვიწიოკ, ანუ პაკაჟი,, კაკ ეტო დელაეტსია-ო, ამან უთხრა იმას.

ისიც გაწვა და მიხოხავს იდაყვებით. ვო .. ტაკ ... ვოო, ტაკ... დაიღლიტა მუხლისთავები და იდაყვები, მაგრამ რომ გახურდა, ეტყობა, მოეწონა და მიხოხავს გამწარებული ექსტაზში. მანამდე იფორთხა, სანამ ცხვირწინ გაპრიალებული ჩექმები არ დახვდა.

ნელ-ნელ აიღო თავი და ... პატრული.

— ჩტო ზა კამედიი? —იქუხა პატრულმა.

ვიწიოკი წამოხტა და გაიჭიმა.

— ვინავატ, ნაჩალნიკ.

— 15 სუტკი, ვ გაობახტ! — ისევ იქუხა პატრულმა.

... შეზარხოშებული „საბუტილნიკები“ წამს გამოფხიზლდნენ .. ჩვენსკენ ზიზღით გამოაპარეს თვალი, მაგრამ მე და გია მოქალაქეები ვიყავით და არხეინად განვაგრძეთ გზა.

# ქართული იუმორი

— აბა, ჩემო კარგო, ჩაისუნთქეთ ...

— აააჰჰჰ!..

— არ ამოისუნთქოთ!

— ჰაა ... ჰაააა...

— არა, არ ამოისუნთქოთ ... არა ... არ ამოისუნთქოთ!

— ჰჰ ... ჰხხხ ...

— ეგი მკვდარი ყოფილა, გეიტანეთ ... შარზეა ეს ხალხი!

● ● ●

— როგორ მოვხვდე სამშობიაროში? — ეკითხება ვაჟბედიას კორძაიას ახალგაზრდა გოგო.

— ვაი, შენ დაგენაცვლე მაინცდამაინც ... წამოწექი, გოგო, ჩემთან და ცხრა თვეში მიგიყვან იქანა ...

● ● ●

— გეიხადე ზოია! — ეუბნება მთვრალი ზაურია ცოლს.

— გაგიჟდი? — ჯერ ადრეა ... ბოვშვებს არ ძინავთ.

— გეიხადე, რომ გეუბნები.

ცოლი ზანტად იხდის კაბას.

— კაი, კაი, გეყოფა, ახლა დავრწმუნდი, რა მურტალი რამეა სტრეპტიზი ...

● ● ●

პატარა თეთრი ძაღლი უდაბნოში მოხვდა. წუხს, წუხს ... სიცხეა ... სიცხეა ... ძაღლი მაინც ქუთაისელია.

— აუუ, ახლა აქანე ხე სად ვნახო, არა და ხომ შევრცხვები ... ჩეიფსაო ... ამგენს რა გოუძლებს?

● ● ●

— რა განსხვავებაა პოლიციელსა და ინტელიგენტს შორის? — ეკითხებიან შაკოს, იურიდიულზე რომ აბარებდა, მაინცდამაინც მაშინ.

— პოლიციელმა იცის, რომ ორი და ორი ხუთია.

— მერრრე?!

— ინტელიგენტმა იცის, რომ ორი და ორი ოთხია, მაგრამ ვინ უჯერებს?

● ● ●

— გიგიავ! ჰაი, გიგიავ! — გასძახის ხევსური მეზობელს.

— აქა ვარ, ბიჭავ ... აქა ... რაი გინდების?

— მამიჩემი რო გავასვენე, გახსომსა?

— კიი, ბეჩავი.

— წერილ დამიტოვა ... სიაა ჩამოწერილი, ვინ უნდა დავხოცო, სათვალე არ მაქ, წამიკითხე, შენც ხომ არა ხარ სიაში?

● ● ●

— ტიტუუ! ტიტუუუ ... რა მაკადრა ავქსენტიე შტერმა — გაჰყვირის გურული ჟუჟუნა.

— რა გაკადრა, გოგო, მაგნაირი? — აჰყვა მეზობელი.

— მთლიანად მაგას ვერ გეტყვი, „ბო“-ზე იწყება და „ზო“-ზე მთავრდება, ტიტუუუ!!!

● ● ●

— პიანინოზე დაკვრა იცი? — ეკითხება სიდედრი გურულ სიძეს.

— არ მიცდია, თვარა, მაგას რა უნდა?!

● ● ●

— ე რამოტოლა შენობები აგიშენებიათ, ჯოო — მიმართავს კახელი იმერელ ინტელიგენტს თბილისში.

— ვისა, ჩვენე? — გაიფოფრა იმერელი.

— შენე, შენე ... კარგი რამ აგიშენებია, ჯოო!

— შენ კი არა — თქვენ ... — კიდევ გაიფოფრა იმერელი.

— რა ვქნა ჯოო? — კარგი თქვენობებია-რა ...

● ● ●

— მომეცი ფული, თუ მაძლევ — ეუბნება საოპერაციო საგიდაზე მწოლ ჭიკოს ექიმი ვახო.

— ჯერ ოპერაცია გამიკეთე და მერე ...

— მერე რომელ საფლავში მოგძებნო, შე უპატრონო?

● ● ●

კოლია იმერლიშვილი ძეხვს წვავს. კატა მოვიდა და დაიწყო კნავილი — სუნით გაგიჟებულმა.

— რაია ახლა, რო მიყურებ სულ ხელებში, შენ რო გუშინ თაგვი შეახრამუნე, მე ვკნაოდი?..

● ● ●

— მიხო ... მიხო ... ფანჯარა დახურე — ეძახის ცოლი.

— რათა?

— ცივა, ჯოო, ცივა, ვაა!

— რო დავხურო, ქუჩაში დათბება?

● ● ●

მიხო მალაზიაშია.

— ფერადი ტელევიზორი გაქვთ — ჯო?

— კი.

— მწვანე გადმამილე.

● ● ●

— ყველაზე ლამაზი ქალაქი რომელია? — ეკითხებიან სომეხს.

— იერევან, ტო ...

— რამდენი ბომბი ჟყოფა ასაფეთქებლად?

— ვ ტაკომ ‘სლუჩი, თბილისი უფრო ლამაზია ...

● ● ●

— რაფიკ, შენ ცოლთან შენი ძმაკაცი დადის — იცი?

— რომელმა, ტო?

— ვაზგენა, რა ...

— მაიცა რა, ვაზგენა რა ჩემი ძმაკაცია — შოფერია რა ...

● ● ●

— ვაზგენ, სკოლა დაამთავრე?

— არა, „პაბელკა“ დამრჩა ...

● ● ●

ზესტაფონელი გამყიდველს:

— ფერადი ფანქრები გაქვთ?

— არა.

— არც წითელი?

● ● ●

— სიმონ, ნიანგები დაფრინავენ?

— გიჟი ხარ, შე შობელძაღლო? ნიანგი როგორ იფრენს?

— აბა, ჩვენი შ. პ. ს.-ს უფროსი რომ ამბობს, დაფრინავენო?

— მდაა, კი დაფრინავენ, მაგრამ ძალიან იშვიათად...

● ● ●

ორი რაჭველი სამი დღის ნადირობის შემდეგ სახლში ბრუნდება.

— ვის შევხედოთ თვალებში, ხელცარიელი რო მივდივართ — წუხს რაჟიკუნა.

— აპა, აპა, თოფები რო წამოგველო, აღარ შევრცხვებოდით.

● ● ●

ჭიპილია დაიჭირეს (პატარა ჭიპო).

— რეიზა დაიჭირეთ ე ღლაპი? — ეკითხება მილიციის უფროსი მოადგილეს.

— ხულიგნობიზა, უფროსო.

— მდაა... რამდენი წლისაა ეს ლაწირაკი?

— 7 წლისაა, უფროსო.

— მდაა, აბორტი დაგვიანებულია...

● ● ●

მეგრელი მალაზიაში შედის.

— შამპუნი გაქვენ, პატივცემული გამყიდველი?

— კი, კვერცხის.

— ხოხ, მე მთელი ტანის მინდა ...

● ● ●

— გამაგიჟებენ ე თბილისელები ჯოო...

— რა იყო, მიხო?

— როგო რააა? — ერთი ჯიბეში მიყოფდა ხელსა მეტროში.

— მერე? მიხვდი?

— მივხვდიო! ვგლიჯე და გავშხლართე ბალახებში.

## წესრიგი
### (ჩანახატი)

ზაფხულის პაპანაქება დღეა.

თბილისის აქოთქოთებული პრესტიჟული უბანი. ფართეკარიან სადარბაზოში ვიღაცას „მიკრომარკეტი“ გაუმართავს. სადარბაზოს კარების დარჩენილ მონაკვეთში „რწყილი თუ გაძვრება“. იქ მცხოვრებს ქუჩაში გამოსვლა სურს, მეორე მცხოვრებს — შესვლა.

— გაიწიე, გაიწიე, უნდა შევიდე — ნერვიულობს ბინადარი.

— გავიწიე, არა, აქ „მარკენტუნქია“ — პასუხობს შავებიანი, ფაშფაშა ქალი, გამყიდველი.

— კი მაგრამ, სახლში არ მიშვებ? — ცხარობს პირველი.

— მთელი ხალხები ამ სიცხეში გარეთ გამოდის, ამან შასვლა უნდა ... ვაა...

— ქალო, შემიშვი სახლში, მომეშალა ნერვები ...

—გარეთ გაიშალე, არა გიჭირს ...გითხარ, რა — აქა — „მარკენტუნქია“.

— მე მაინც გამიშვით ... ახლა შიგნიდან აწივლდა ბინადარი ...

— ქალოჯან, სახლში დაჯე, ვერა ხედამ ასფალტი კვერცხისავით იწვის, რა!

საქმეში ორი უბნის მორიგე მილიციელი ერევა.

— გამოუშვი ქალო, ესეც შეუშვი ... აქა ცხოვრობენ.

— ვა, ჯამალაჯან, რა ვქნა, ე „მარკენტუნქი“ ხო არ დავანგრემ? აჰა შენა „მალბორო“ ...

— ქრთამს აძლევ, არა? ქრთამს, არა? მე ვიჩივლებ, სადაც საჭიროა.

— იჩივლებ არა! პარლამენტი უკვე კანიკულზეა ... იჩივლებს ... აი.

— ქალბატონო, ეს „მალბორო“ ქრთამი არაა. გუშინ ხურდა არა ჰქონდა და ეხლა ნაღდით მიბრუნებს — გააქტიურდა ჯამალა მილიციელი.

— ვიცით, ვიცით, თქვენც ამათთან ხართ შეკრულები — იწივლა სადარბაზოდან გამომსვლელმა.

— ვინა ვარ შეკრული ... მე ვარ შეკრული? — გადაირია ფაშფაშა გამყიდველი. — შენც ჩემზე ნაკლები შეკრული არა ხარ ... შეკრულიო ... მლანძღამს, ხალხო!

ხმაურზე შეკრებილ ხალხში სიცილმა ჩაიშრიალა.

— აგე მელიცია. შენ უპატრონო არ გეგონო, მე კანონი მიცამს ... ა, ჯამალა-ჯან სიგარეტი ... გააბოლე, რა ... რა უნდათ ამათა? — უკვირს ქალს.

— შესვლა და გასვლა გვიჭირს, მეტი რა უნდა მინდოდეს?! — ახლა შემსვლელი გააქტიურდა.

— შენ რო გასლვა გიჭირს, მე რა ვქნა ... მე ჩემი უფროსი მყამს ... შენ რო გასვლა გიჭირს, თითონ მიდი ექიმთან ... ვააა ...

— მილიცია არ ხართ?! იმოქმედეთ, ილონეთ რამე — მიმართა წყვილ წესრიგის დამცავებს გამომსვლელმა სადარბაზოდან.

— არა, ჩვენ პოლიცია ვართ ... ქურდი თუ დავიჭირეთ, დედას ვუტირებთ, სხვა ჩვენ არ გვევალება.

— მაშ, სამართალი აღარ ყოფილა. სახლში ვერ შევსულვართ და ვერ გამოვსულვართ.

— ახლა „ბაზარნი ეკანამიკაა“, გაიგე ქალო ... ამ „ბავშვებთან“ რას ერჩი? — არ იხევს და იცავს „პოლისმენებს“ ფაშფაშა.

— მოიცა კაცო, შენ ... მოიცა — ამოიღო ხმა მეორე წესრიგის დამცველმა. დავფიქრდე, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. არც ეს „პადიეზდია“ ქვევრი, არც მე ვარ სამჭკუაშვილი, შერლოკ დანელია ვარ ...

მოლოდინში სიჩუმე ჩამოწვა.

— მოკლედ ასე ... „მოიფიქრა“ შერლოკმა. ერთ დღეს რო იმუშავო შენა (მიმართა ფაშფაშა გამყიდველს), მეორე დღეს ამათ იარონ ... კი, კი, ასე აჯობებს.

გადაწყვეტილება უალტერნატივო გამოდგა.

— ბიჯო, ეს გამყიდველი ჩვენ სმენას დავამთხვიოთ — „შესწორება“ შეიტანა ჯამალამ, — საჭირო ქალია, ხო იცი?

ყველაფერი ელვის სისწრაფით მოგვარდა. ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

არადა, ვიძახით: ჩვენთან წესრიგის დამცველები არ ვარგანანო. არ დაიჯეროთ. შერლოკისთანებს რა დალევს ჩვენს მადლიან მიწაზე?!

**მურმან მერკვილიშვილი**

მესამე გვერდიდან

პარტია უკვე საკმაოდ ჯანსაღი ძალაა და თუ ახალგაზრდულ ემოციებს ცოტათი მოთოკავენ და უარყოფით ზეგავლენას აიცილებენ (რაც ასე მოჭარბებულია ჩვენს სინამდვილეში), ხვალ-ზეგ შეიძლება მართლაც სერიოზულ ეროვნულ ძალად მოევლინოს ჩვენს ქვეყანას.

**— ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები. თქვენს მიერ ხსენებული ალიანსი, ალბათ, ერთ საარჩევნო ბლოკში გამოვა. როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივები შეიძლება გქონდეთ?**

— ძალიან ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჯერ ერთი, ბლოკი საბოლოოდ ფორმირებული არ არის და არ ვიცით, კიდევ რომელი პარტია იქნება ბლოკში. მეორეც, და, რაც მთავარია, მმართველმა ძალამ ისეთი სიტუაცია შექმნა, რომ ფულის გარეშე ბრძოლა არჩევნებში, თითქმის უაზრობაა, ჩვენ კი ფული არა გვაქვს. მაშ, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს? ვიტყოდი ასე. ძალიან მიყვარს დიდი შოთას სიტყვები: — „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების". ეს სიტყვები, ერთი შეხედვით, თითქოს ფატალისტურია. მორწმუნე კაცი ვარ და მჯერა ღვთის ნების, მაგრამ ღმერთი იმასაც გვეუბნება, „ხელი გაანძრიე და გეშველებაო". ე.ი. შენი ბედი შენს ხელშია. ღმერთი არ ინებებს, თუ შენ არ გაამჟღავნებ შენს ნებას, არ გაანძრევ ხელს და არ იშრომებ. და თუ მთელი შემართებით ეცდები, ღმერთიც დაგეხმარება და ფულიც გამოჩნდება. ერთი სიტყვით, დიდი მუშაობაა საჭირო. თუმცა, ძალიან ძნელი იქნება ბრძოლა, რადგან ხელისუფლებამ ხალხი აპათიაში ჩააგდო, მათ არაფრის და არავისი აღარ სჯერათ. ხელისუფლებაც იყენებს ამ მდგომარეობას, თავისივე შექმნილ მდგომარეობას და ყველაფერს აკეთებს, რათა გაიხანგრძლივოს მმართველობის ვადა, ყველაფერს, საკადრისსაც და უკადრისსაც. უკვე დაიწყეს გულისამრევი კამპანია, რაც გამოიხატება ხმების ყიდვაში. ურიგებენ ფქვილს, შაქარს და სხვა პროდუქტებს. აქა-იქ უგვარებენ ყოფით პრობლემებს და ამის სანაცვლოდ ართმევენ პირობას, რომ მათ ხმებს მიიღებენ. ხალხი კი გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ეს მათი (ხელისუფლების) მხრიდან ქველმოქმედებაა და უსინდისობად მიაჩნიათ, რომ აღარ მისცენ მათ ხმა. იმას კი ვერ აცნობიერებენ, რომ ეს „საჩუქარი" იმის მეათასედია, რაც მათვე მოჰპარეს. როცა კვლავ გაინაღდებენ ძალაუფლებას, გაასკეცებული ძალით გააგრძელებენ მათ ძარცვას. ამიტომ ხალხმა უნდა გამოიჩინოს სიბრძნე და ხმა მისცეს ეროვნულ ძალებს, რომლებიც დღეს მათ ვერც შაქარს მისცემენ, ვერც ფქვილს და ვერც სხვა სატყუარას, ვერც ვერავითარ ყოფით პრობლემებს მოუგვარებენ, რადგან ამის ბერკეტები არ გააჩნიათ, მაგრამ თუ მოვლენ ხელისუფლებაში... შაქარსაც მეტს მისცემენ, პურსაც, იმ პრობლემებსაც მოუგვარებენ და კიდევ ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებენ. მესმის, რომ ძალზე ძნელი იქნება ამ ბარიერის გადალახვა, რადგან ხალხს „დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს". თანაც არსებობს აზრი, რომ „შეჩვეული ჭირი სჯობს შეუჩვეველ სატკივარსო". ან ის, რომ ესენი უკვე ფულით გაჯერებულნი და მაძღრები არიან. ახლა სხვები, უფულოები და მშიერები რომ მოვლენ, სანამ ფულს იშოვნიან და გაძღებიან, გაგვატყავებენო. ძალიან მცდარია ეს აზრი. ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც „ერის წყლული აჩნიათ წყლულად", და სწამთ ქრისტეს მცნება „არა იპარო", არავითარ სიტუაციაში და მდგომარეობაში არ მოიპარავენ. ისინი კი, ვისაც ერის წყლული ცალ ფეხზე ჰკიდია, ეს პრობლემა სასაცილოდაც არ ჰყოფნით და ასეთია ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, მათთვის გაჯერება და ზღვარი არ არსებობს. ნურავის ჰგონია, რომ მათი კატეგორიის ადამიანი მილიონს იშოვის და გაჩერდება, ან ორს, ან ათს, ან ასს. ხომ გეუბნებით, ამას ზღვარი არა აქვს. როგორც იტყვიან, „მადა ჭამაში მოდის". ის, სადაც წაასწრებს და რასაც წაასწრებს, მოიპარავს. ვისაც წაასწრებს, გაძარცვავს, რადგან ის ბუნებით მტაცებელია. ამიტომ ასეთი ადამიანები და ასეთი ჯგუფის ადამიანები სასწრაფოდ უნდა ჩამოვიცილოთ გზიდან. მათ მხილებაც კი არ სჭირდებათ. ისინი დღეს ჩვენს ხელისუფლებაში არიან მოკალათებულნი. ეს არ არის ჩემი, ასე ვთქვათ, „ფიქრები ხმამაღლა". მე იმის თქმა მინდა, რომ თუ მოვახერხეთ (და უნდა მოვახერხოთ) და ეს ყველაფერი, რაც გითხარით, ხალხამდე მივიტანეთ, თუ ხალხს გავუშიფრეთ მმართველი ძალის მზაკვრული ჩანაფიქრი, თუ დავარწმუნეთ, რომ ჩვენ ვართ ის ხალხი, ვისაც „ერის წყლული აჩნიათ წყლულად" და რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იგივეს არ გააკეთებს, არ ეცდება, მათ ხარჯზე გამდიდრებას და დაიცავს ხალხის ინტერესებს, რომ ჩვენ ძალგვიძს პატიოსნად ვილვაწოთ ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ, მაშინ ხალხი გვენდობა ჩვენ, ენდობა სიმართლეს, პატიოსნებას და მოგვცემს ხმას. გიმეორებთ, ეს ძალიან ძნელია და ყველაფერ ამას დიდი შრომა სჭირდება. სიტუაციას ართულებს კიდევ ის, რომ ამ რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რითაც აბსოლუტურად აბუჩად აიგდო ყველა ოპოზიციური პარტიებისა და ორგანიზაციების აზრი, იმ ორგანიზაციებისა, რომლებთანაც მოჩვენებითად, ვითომ კონსულტაციებს აწარმოებდა, რითაც „დემოკრატობანას" ილუზიას ქმნიდა. მიიღო დრაკონული კანონი საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისა. თუ ეს კანონი გატარდა, საარჩევნო კომისიები 90-95%-ით დაკომპლექტდება მმართველი ძალის მიერ, მათივე წარმომადგენლებით, რაც საშუალებას მისცემს სრული კონტროლი განახორციელონ არჩევნების მსვლელობაზე, ძირითადად კი ხმების დათვლაზე, რაც გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს არჩევნების შედეგების, მათი გაყალბების თვალსაზრისით. როგორც ნებავთ, ისინი ისე გაანაწილებენ სადეპუტატო მანდატებს. მოხდება დეპუტატების არა არჩევა, არამედ დანიშვნა. გამორიცხული არ არის ამ მანდატების ყიდვა-გაყიდვა. ასეთ შემთხვევაში არჩევნების ჩატარება ყოველგვარ აზრს კარგავს. ვიღაცამ უკვე სთქვა და ვეთანხმები, რომ ამას სჯობია, პირდაპირ გამოაცხადონ მომავალი დეპუტატები და აღარ დახარჯონ ფული, ეს ფული კი მოახმარონ დაურიგებელ ხელფასებსა და პენსიებს, თუ, რაღა თქმა უნდა, გაიმეტებენ და იმასაც არ ჩაიჯიბავენ.

# ავთანდილ იმნაძე:
# მე ვურჩიე ზვიადს, რომ გადამდგარიყო...



**— ინტერვიუს დასაწყისში თქვით, რომ 6-7 წელია, რაც პრესას არ გაჰკარებიხართ. ახლა რა მოხდა ასეთი?**

— ჯერ ერთი, მე ისიც გითხარით, რომ საერთოდ, პოლიტიკიდან ვიყავი შორს. ახლა დავბრუნდი პოლიტიკაში. თქვენ მომმართეთ და მე უარი ვერ გითხარით, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენი გაზეთი ძალიან მიყვარს. ამ გაზეთის დაფუძნებაშიც დიდი წვლილი მიმიძღვის და მას ჩემს „პირმშოდ" ვთვლი. ეს იყო 1989 წელს, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს და ბუნებრივია, ძალიანაც ვგულშემატკივრობ. არ ვიცი, ვინმეს აღუნიშნავს თუ არა, რომ საბჭოთა საქართველოში გაზეთი „საქართველო" პირველი არასამთავრობო გაზეთია. მეორეც ისაა, რომ მაინცდამაინც დიდი სურვილი არ მქონდა, მოქალაქეთა კავშირისა და მისი ლიდერის, ბატონი პრეზიდენტის უამრავ სამართლიან თუ უსამართლო კრიტიკოსებისათვის ჩემი თავიც მიმემატებინა. იცით, მე მაშინ ვაკრიტიკებდი მმართველ ძალას, როცა ეს სიკვდილ-სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული და რისთვისაც ოთხ წელიწადზე მეტი გავატარე პოლიტპატიმრობაში. ეს იყო 70-იან წლებში, კომუნისტური მმართველობის პერიოდში. დღეს, მართალია, სათავეში ისევ ის კომუნისტები არიან, მაგრამ „დემოკრატიის" ქურქში გახვეულები და ვისაც რა უნდა, იმას ამბობს და როგორც უნდა, ისე ლანძღავს მმართველ ძალას და მის პრეზიდენტს. მათი დევიზი კი ასეთია: „წერეთ და იკითხეთ", ან „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო". სამწუხაროდ, ეს „წისქვილი" ვერა ფქვავს ისე, როგორც საჭიროა. ის კი არა და, საერთოდ ვერა ფქვავს და თუ ფქვავს, საკუთარი ჯიბისათვის. აღარ ვლაპარაკობ მათ ყბადაღებულ კორუმპირებულობაზე, რასაც თვითონაც არ მალავენ, ვითომ ებრძვიან კორუფციას, ჩამოაყალიბეს კორუფციასთან ბრძოლის კომისიები, მაგრამ ეს სხვა არაფერია, თუ არა ხალხის მოტყუება და მორიგი თვალში ნაცრის შეყრა. ამის შესახებ ძალზე ხატოვნად სთქვა თქვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში გურამ გოგბაიძემ, რომელმაც მათი „ბრძოლა" კორუფციის წინააღმდეგ ჭაობში ჩაფლულ ბარონ მიუნჰაუზენის საკუთარ თმებში ხელის წავლებას და ჭაობიდან ამოთრევის ცდას შეადარა. ამაზე ამომწურავად და უკეთესად, მე მგონი, ძნელია მათი კორუმპირებულობისა და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის" შესახებ რაიმეს თქმა. აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ იმავე მოქალაქეთა კავშირში არის რამდენიმე კაცი (თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობის), რომელთა შესახებ კარგის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ის მაოცებს, რატომ არიან ისინი ამ კავშირში, რატომ აიგივებენ თავს ამ... თუ შეიძლება ითქვას, ადამიანებთან და რატომ უქმნიან ამ პარტიას ერთგვარ ვიტრინას. მათ მე არ დავასახელებ, რათა არ შევუქმნა მათვე პრობლემები, თუმცა ბევრი მიხვდება, ვინცა მყავს მხედველობაში. რაც შეეხება პრეზიდენტს, არც აქ მოვყვები ბევრს, თუმცა იმდენი შეიძლება მასზე საუბარი, რომ არათუ ერთი საგაზეთო წერილი, მთელი წიგნი ვერ დაიტევს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მასზე საუბარი უბრალოდ, მისტიკის გარეშე არ შეიძლება. კერძოდ, ეს ადამიანი არის უდიდესი ძალისა და ენერგიის მქონე, მე ვიტყოდი, არაადამიანური ძალისა და ენერგიის, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ორში ერთია, ეს ძალა ან ღვთიურია, ან დემონური. თუ ეს არაადამიანური ძალა და ენერგია არის ღვთიური (რაშიც მე ეჭვი მეპარება), მაშინ ღმერთმა ხელი მოუმართოს (და მოუმართავს კიდეც), უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ხელიდან კეთილი ნაყოფი გამოვა და როგორც თვითონ უყვარს თქმა, „საქართველო გაბრწყინდება", მაგრამ თუ ეს ძალა და ენერგია არის დემონური, მაშინ მას, როგორც ადამიანს, დიდი განსაცდელი ელოდება. ღმერთმა დაიფაროს, რომ მისი განსაცდელი გადაიზარდოს ერის განსაცდელში, როგორც ეს მოხდა წინა პრეზიდენტის შემთხვევაში.

**— კვლავ დავუბრუნდები ინტერვიუს დასაწყისს, სადაც სთქვით და შემდეგ გაიმეორეთ, რომ ერთი პერიოდი, გარკვეული მიზეზების გამო, საერთოდ არ გსურდათ პოლიტიკაში დაბრუნება. ხომ ვერ გვეტყოდით, რა იყო ეს მიზეზები?**

— არ მინდოდა ამაზე საუბარი, თუნდაც იმიტომ, რომ ამის მოკლედ თქმა გამიჭირდება.

**— არა უშავს, გისმენთ.**

— 1990 წელს „მრგვალმა მაგიდამ"... გაიმარჯვა არჩევნებში. ჩვენ, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოვედით ხელისუფლებაში საპარლამენტო უმრავლესობით. იყო ოპოზიციაც (ნოდარ ნათაძე, აკაკი ბობოხიძე, დავით ბერძენიშვილი, პაატა კოღუაშვილი და სხვები). პარლამენტში იყვნენ კომუნისტებიც, მაგრამ, რაც ყველაზე სასაცილოა, ისინი... ოპოზიციაში არ იყვნენ.

როგორ მოვიდა „მრგვალი მაგიდა" ხელისუფლებაში, საბჭოთა რეჟიმის პირობებში?

ამის შესახებ არსებობს აზრი, თითქოს კომუნისტებმა სპეციალურად დაუთმეს ეროვნულ ძალებს, რათა შემდეგ რევანში აეღოთ და ყველა უბედურება მათთვის გადაებრალებინათ, მათი დისკრედიტაციის მიზნით (რაც ფაქტიურად შეასრულეს კიდეც). მე ვიტყოდი, რომ ნაწილობრივ, ეს აზრი სიმართლეს შეეფერება, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. სინამდვილეში, ჩემის აზრით, ეროვნული ძალების და კერძოდ, ზვიად გამსახურდიას გუნდის, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" გამარჯვება გარდუვალი იყო. ობიექტური ვითარება იყო ისეთი, რომ კომუნისტები, როგორც არ უნდა ცდილიყვნენ, გაყალბება შეიძლება მოეხდინათ 5 ან მაქსიმუმ 10 პროცენტით. პროგნოზები კი, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს და ასეთი იყო: მრგვალ მაგიდას უნდა მიეღო ხმების 40-45%, კომუნისტებს — 30-35%, სახალხო ფრონტს — 15-20%, მწვანეებს — 5-10%, დანარჩენი კი არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებს, რომლებიც არავითარ სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდნენ. ეს პროგნოზები რომ გამართლებულიყო, მოხდებოდა ეროვნული ძალების (და არა მხოლოდ „მრგვალი მაგიდის") ეტაპობრივი, ევოლუციური მოსვლა ხელისუფლებაში, რაც ნაკლებად გამოიწვევდა კოლიზიებს. ყოველ შემთხვევაში, არ მოხდებოდა „მრგვალი მაგიდის" და ზვიად გამსახურდიას ტრიუმფით მოსვლა ხელისუფლებაში. შესაბამისად, ვერ დადგებოდა დღის წესრიგში მისი დამხობის აუცილებლობა, რაც ასე სჭირდებოდათ კომუნისტებს; ვერ დადგებოდა, რადგან დასამხობი ობიექტი, ჰეგემონი ძალა არ იარსებებდა. ამიტომ კომუნისტებმა რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს (ისინი ხომ ამის ოსტატები არიან) იმისათვის, რომ მთელი იმ ხმების რაოდენობა, რასაც თვითონ ვერ მიიღებდნენ, მიეღო „მრგვალ მაგიდას". აქედან გამომდინარე, ჩვენ, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, 63 თუ 67 პროცენტით (ზუსტად აღარ მახსოვს) მოვედით ხელისუფლებაში (უზენაეს საბჭოში). ერთი სიტყვით, კომუნისტებმა ხელი შეუწყვეს იმას, რომ ფაქტიურად მომხდარიყო რევოლუცია და მოხდა კიდეც. მოხდა უსისხლო რევოლუცია. ამის შემდეგ დაიწყეს მზადება, რათა მოეხდინათ კონტრრევოლუცია, რაც, აგრეთვე, მოახდინეს კიდეც (ვისი ხელით და რა ძალებით, ამას ამ შემთხვევაში, არა აქვს მნიშვნელობა). ამის გამოცდილება კომუნისტებს, მოგეხსენებათ, ჰქონდათ. ოქტომბრის ე.წ. რევოლუცია ხომ ფაქტიურად კონტრრევოლუცია იყო თებერვლის რევოლუციასთან მიმართებაში. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრი შეიძლება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების რევოლუციებისა და გადატრიალება-გადმოტრიალებების ისტორიიდან, რაც ხორციელდებოდა კომუნისტების უშუალო ინიციატივითა და მათი ჩარევით.

რასაც ახლა გიყვებით, ვამბობ დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც უკვე გაცნობიერებული მაქვს ეს ყველაფერი.

მაშინ კი... როგორც მოგახსენეთ, მოხდა უსისხლო რევოლუცია, რასაც მოჰყვა სისხლიანი, ამაზრზენი გადატრიალება-კონტრრევოლუცია.

მოგეხსენებათ, შეუმცდარი ადამიანი არ არსებობს (შეუმცდარი მხოლოდ ღმერთია). სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდიასაც ჰქონდა შეცდომები, რის ჩამოთვლასაც აქ არ ვაპირებ, რათა არ გავალიზიანო ზვიადისტები, რომლებიც თვლიან, რომ ზვიად გამსახურდიას არავითარი შეცდომა არ დაუშვია.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ უზენაესმა საბჭომ და, საერთოდ, ეროვნულმა ხელისუფლებამ, რაღა თქმა უნდა, ზვიადის ხელმძღვანელობით, ბევრი ეროვნული და სასიკეთო საქმე გააკეთა. მარტო რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის გამოცხადება რად ღირს. დამოუკიდებლობის აქტის მიღება და ხელის მოწერა...

სანამ საუბარს გავაგრძელებდე, მინდა აღვნიშნო (მათთვის, ვინც არ იცის), რომ ზვიადთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა ჯერ კიდევ დისიდენტობის პერიოდიდან (არ გავკადნიერდები და არ ვიტყვი, რომ მეგობრული, რადგან ასეთი მის ცხოვრებაში მხოლოდ მერაბ კოსტავა იყო). ასეთი ახლო ურთიერთობა ზვიადთან ალბათ 2-3 კაცს თუ ექნებოდა. გთხოვთ, ცუდ ტონად ნუ ჩამითვლით, ამას რომ ვამბობ, რადგან იმიტომ ვამბობ, რომ ბუნებრივი და დამაჯერებელი გახდეს გაზეთის მკითხველისათვის ის ფაქტი, რომ ჩემს თავს უფლებას ვაძლევდი, ზვიადთან მარტო დავრჩენილიყავი, მისთვის ესა თუ ის რჩევა მიმეცა და შეცდომების შესახებ მიმეთითებინა. უნდა გითხრათ, რომ დიდხანს ვკამათობდით ხოლმე. ხშირად მარწმუნებდა და, რა თქმა უნდა, ვეთანხმებოდი, ხშირად კი პირიქით, მე ვარწმუნებდი და მეთანხმებოდა კიდეც. მიიღებდა გადაწყვეტილებას, მაგრამ მეორე თუ

გაგრძელება მერვე გვერდზე

მეშვიდე გვერდიდან

# „მე ვურჩიე ზვიადს, რომ გადამდგარიყო...“

მესამე დღეს რალაც ძალა (თუ ვილაც პიროვნებები, რომლებიც შემთხვევით იყვნენ მოტმასნილნი თუ სპეციალურად შემოგზავნილნი) შეაცვლევინებდა გადაწყვეტილებას. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა, ჩემი ღრმა რწმენით, იყო კომუნისტი დეპუტატების **გაყრა** უზენაესი საბჭოდან (დიახ, გაყრა, რადგან ამას სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ). წინა ღამით დიდხანს ვისაუბრეთ. დავარწმუნე (და დამეთანხმა), რომ ეს უკანონო და უსამართლო აქტი იქნებოდა. ისიც ვუთხარი, რომ ეს აზრი, შესაძლოა პროვოკაციულად ყოფილიყო შემოგდებული. გარდა ამისა, ისინი არაფერში გვიშლიდნენ ხელს. როგორც გითხარით, ოპოზიციაშიც კი არ იყვნენ და თავიანთი კომუნისტური მენტალიტეტიდან თუ სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, ყველა გადაწყვეტილებაზე პირველები სწევდნენ ხელს. ბოლოს და ბოლოს, ყველა მათგანს დამოუკიდებლობის აქტზე ჰქონდა ხელი მოწერილი, რითაც ისინი აშკარად ბედნიერები იყვნენ (და დღესაც არიან). ადვილი შესაძლებელია და საფიქრებელი, რომ მათი დიდი უმრავლესობა აინუნშიც არ იყო იმ მზაკვრული გეგმის შესახებ, რომელზედაც ამდენი ვისაუბრე. ბოლოს და ბოლოს, მათი უმრავლესობა ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი იყვნენ და იმის თქმაც შემიძლია, რომ ბევრი მათგანი აშკარად ჩვენი მომხრე იყო. უფრო მეტიც, რამდენიმე მათგანი დღესაც ზვიადისტია და ზვიადს მისტირის.

მეორე დილით, როცა დღის წესრიგში მაინც დადგა ეს საკითხი, გავოცდი და პირდაპირ, ხმამაღლა გამოვედი ამის წინააღმდეგი. გაგიკვირდებათ, ალბათ, კომუნისტებზე ამდენი სისაძაგლე გელაპარაკეთ და კომუნისტების სიით გასული დეპუტატების დეპუტატობიდან გაძევების წინააღმდეგი ვიყავი. მაშინაც ასევე გაუკვირდებოდა, ალბათ ყველა დეპუტატს.

— „ავთო, არა გრცხვენია, კომუნისტებს იცავ?..“ — მომაძახა ერთ-ერთმა. თუ არა ვცდები, რობერტ პეტრიაშვილმა.

მაგრამ მე კომუნისტებს კი არ ვიცავდი, როგორც ასეთი, არამედ კანონიერებას, სამართლიანობას და ასეც ვუპასუხე. გარდა ამისა, საბედისწერო შეცდომისაგან მინდოდა მეხსნა ჩემი ხელისუფლება. დიახ, საბედისწერო, რადგან სწორედ ამ დეპუტატების უზენაესი საბჭოდან გაყრა გახდა მომავალში საბაბი იმ აქციებისა, რომელიც „აგორდა“ ინტელიგენციის (თუ გნებავთ, „წითელი ინტელიგენციის“ ან „კრიმინალური ინტელიგენციის“, როგორც ამას ზვიადმა უწოდა და ახლაც უწოდებენ ზვიადისტები, თუმცა მიმაჩნია, რომ ესეც შეცდომა იყო) სახელით. რა თქმა უნდა, ეს აქციები მოსკოვიდან იყო პროვოცირებული, მაგრამ ფაქტი ფაქტია. ეს იყო დასასრულის დასაწყისი. ამას შემდეგ დაემატა სხვა გარემოებები (მოსკოვის პუტჩი, 2 სექტემბრის მიტინგის პროვოკაციული, სისხლიანი დარბევა) და სიტუაცია უმართავი გახდა. მოსკოვის პუტჩს მოჰყვა გვარდიის გასვლა რკონში და ხელისუფლებასთან დაპირისპირება. არ გამოვრიცხავ, რომ თენგიზ კიტოვანს არც კი სცოდნოდა, რა უხილავი ხელი მართავდა მის მოქმედებას და საერთოდ, ყველაფერ ამას. მოვლენები კი ფორსირებულად ვითარდებოდა.

სწორედ ამ მომენტში, როცა მივხვდი, რომ განწირულები ვიყავით (ეს იყო სექტემბრის ბოლოს), მე ვურჩიე ზვიადს, რომ გადამდგარიყო და დაენიშნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო გადარჩენის ერთადერთი გზა, რადგან იმაშიც ვიყავი დარწმუნებული, რომ ახალ არჩევნებში უფრო დამაჯერებლად გავიმარჯვებდით. ისიც ვურჩიე, დაჰყოლოდა საპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნას და გაეუქმებინა პრეზიდენტის ინსტიტუტი. გავიდოდა რამდენიმე წელი და ხალხი კვლავ მოითხოვდა მის პრეზიდენტობას. თქვენ წარმოიდგინეთ, დამეთანხმა, მაგრამ კვლავ განმეორდა იგივე. მეორე დღეს, რალაც ძალის გავლენით გადათქვა. მაშინ ვუთხარი, რომ თუ ამას არ გააკეთებდა, პოლიტიკურად დავუპირისპირდებოდი და შევუერთდებოდი ოპოზიციას. მართლაც, უზენაესი საბჭოს შემდეგ სხდომაზე, უკვე ოფიციალურად განვაცხადე, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას დამარცხება ჩემი დამარცხებაა და არ შეიძლება მე მისი მტრობა მამოძრავებდეს, ამ დღიდან ვუერთდებოდი ოპოზიციას. სამწუხაროდ, ჩვენში არ არსებობს პოლიტიკური კულტურის ის დონე, რომელიც ოპოზიციას მტრად და დუშმანად არ ჩათვლის (სამწუხაროდ, დღესაც ასეა). ჩემი და არამარტო ჩემი ყოფნა ოპოზიციაში ზვიად გამსახურდიას მიმართ მართლაც არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ მისი მტრები ვიყავით (უფრო პირიქითაა) და მისი დამხობა გვსურდა. უფრო მეტიც, ამასვე ვიტყვი პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიციის გარკვეულ ნაწილზეც, თუნდაც ირაკლი წერეთელზე.

არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციაში (საპარლამენტოშიც და პარლამენტს გარეთაც) იყვნენ ის ხალხი, რომელთაც აშკარად მტრული ზრახვები ამოძრავებდათ ზვიად გამსახურდიასა და საერთოდ, ეროვნული ხელისუფლების მიმართ, მაგრამ მე და იმ ადამიანებს, ვინც მხედველობაში მყავს, მტრობა, ნამდვილად არც კი გაგვივლია აზრად. ვიყავით მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ოპოზიცია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მიუხედავად ამისა, არ შემიძლია არ გამოვთქვა ის მწარე სინანული, რაც ამდენი წელია მაწუხებს და ალბათ, შემაწუხებს სიცოცხლის ბოლომდე. კიდევ ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ მართალი ვიყავი, აღმოვჩნდი მტრული ძალების ბრმა იარაღი. შესაძლოა ჩემი, ერთი კაცის ყოფნას ერთ თუ მეორე მხარეზე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა, მაგრამ ფაქტია, საქართველოს მტრულმა ძალებმა გამოიყენეს ჩვენი ყოფნა ოპოზიციაში და მოახდინეს ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მარტო მე არა ვარ, ვინც ასევე თვლის. ამიტომ აღარ არის დრო იმისა, რომ ერთმანეთს ნიშნისმოგებით პრეტენზიები ვუთხრათ და რალაცეები გავახსენოთ, რაც ისედაც მტკივნეულია ყველა ჩვენთაგანისათვის. და რაც მთავარია, არ მეგულება ადამიანი, თვით ზვიადის მომხრეებშიც კი, რომ შეუმცდარი იყოს და ღვთის წინაშე ალალ-მართალი. დაბოლოს, პასუხი თქვენს კითხვაზე, აი, ამიტომ არ მქონდა სურვილი პოლიტიკაში დაბრუნებისა. უფრო სწორად, აღარ მინდოდა, ჩამოთვლილი შეცდომების გამო ჩემი თავისთვის მიმეცა უფლება კვლავ პოლიტიკაში გამოჩენისა, მაგრამ ქვეყნის დღევანდელმა მდგომარეობამ მაიძულა საპირისპირო. დღეს არავის არა აქვს უფლება იყოს ჩუმად და მშვიდად უყუროს, როგორ ილუპება ქვეყანა.



**— ბატონო ავთანდილ, დღეს ბევრი ლაპარაკია ლუსტრაციის კანონის მიღება-არმიღებაზე. რას იტყვით ამის შესახებ?**

— იცით, ეს პრობლემა ერთ-ერთ ძირითად პრობლემად მიმაჩნია. ერთ-ერთი შეცდომა ეროვნული ხელისუფლებისა, არის სწორედ ამ კანონის არმიღება. უნდა ვაღიარო, რომ მაშინ მეც არ მიფიქრია ამის შესახებ. ეტყობა, მაშინ ეს არ მიგვაჩნდა პრობლემად, ყოველ შემთხვევაში, ძირითად პრობლემად. ახლა რომ ვუკვირდები, ეს კანონი რომ მიგვეღო, შესაძლოა გადატრიალებაც არ მომხდარიყო და კომუნისტების „გარიცხვაც“ უზენაესი საბჭოდან შესაძლოა კანონიერიც ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ვინც დაექვემდებარებოდა კანონის მოთხოვნას. დღეს, ამ კანონის მიღება, ერთი მხრივ, დაგვიანებულიც კი არის, რადგან, ჯერ ერთი, არა მგონია ამ ხელისუფლებამ მიიღოს ლუსტრაციის კანონი, რადგან მაშინ უარი უნდა თქვან თავიანთ სავარძლებზე, რამეთუ ისინი, ყველა თუ არა, 80-90% დარწმუნებული ვარ დაექვემდებარება ლუსტრაციას, მეორეც და აქედან გამომდინარე, თუ მიიღებენ, მიიღებენ ისეთ დამახინჯებულ კანონს, რომელიც მოკლებული იქნება ყოველგვარ ლუსტრაციას. ეს უკვე ნათლად ჩანს სატელევიზიო გამოსვლებიდან თუ პრესის ფურცლებიდან. გამოთქვამენ აზრს, ასე უნდა მოხდეს, ისე უნდა მოხდეს. არავინ არ ამბობს იმას, რომ ლუსტრაცია არის ლუსტრაცია. ცალსახად და ნათლად. ლუსტრაცია ანუ სინათლე, გამოვლინება, გამჟღავნება. ყველსათვის უნდა გახდეს ცნობილი, ვინ ვინ არის. გარდა ამისა, არიან ადამიანები და თანამდებობები, კომუნისტური რეჟიმისა, რომელნიც არქივების გახსნის გარეშეც უნდა დაექვემდებარონ ლუსტრაციას. ესენია კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ნომენკლატურული თანამშრომლები, მინისტრები და მათი მოადგილეები, რომლებიც ისედაც ყველასათვის ცნობილია, თორემ რა აზრი აქვს საცოდავი აგენტის გამოვლენას, თუ სუკის პოლკოვნიკებს და გენერლებს არ შეეხებათ ან არ შეეხებათ იმ თანამდებობის პირებს, რომელთა ინტერესების სამსახურში „ილვწოდნენ“ ეს აგენტები. ახლა წარმოიდგინეთ, ეს კანონი ამ სახით თუ იქნა მიღებული (და სხვა სახით მიღებას კი აზრი არა აქვს, რადგან ეს კიდევ ერთი კომუნისტური ცინიზმი იქნება), რომელი ერთი დღევანდელი ხელისუფალი დარჩება თბილ სავარძელში? ამიტომაც გამოთქვამენ აზრებს, რომ თითქოს ეს იყოს მხოლოდ არქივების გახსნა, ისიც ისე, რომ სადღაც, რალაც ინსტანციაში იდება ეს სიები და რომ პიროვნების რალაც თანამდებობაზე დანიშვნის ან პარლამენტში არჩევის საკითხი როცა დადგება, მხოლოდ მაშინ, ჩუმად გაახსენებენ და ეტყვიან: „არა, ბატონო, თქვენთვის ეს თანამდებობა არ შეიძლება იმიტომ, რომ თურმე თქვენ სუკის აგენტი ყოფილხართ. აი, სიაში თქვენი გვარი“. მართლაც, არა, ბატონებო, ეს არ არის ლუსტრაცია. ლუსტრაცია უპირველეს ყოვლისა, არის დიდი მონანიება, რომ მე-ეგო, ნანობს იმას, რომ მტერს ემსახურებოდა და არა მხოლოდ იმისთვის, ვინც ემსახურებოდა ფარულად, არამედ იმისათვისაც, და უპირველეს ყოვლისა, იმისთვის, ვინც ღიად, ნომენკლატურულად იყო მტრის სამსახურში. ახლა, არ მკითხოთ მტერი ვინ იყოო; მადლობა ღმერთს, ეს ყველამ კარგად იცის და ყველაზე კარგად ჩვენმა დღევანდელმა ხელისუფლებმა. ახლა, თქვენ მიპასუხეთ, ეყოფა თუნდაც ერთ ადამიანს ვაჟკაცობა, გამოვიდეს და ხმამაღლა თქვას, „მაპატიეთ, თანამემამულენო, მე წლების მანძილზე ჩვენი მტრის, იმპერიის სამსახურში ვიყავი (არა აქვს მნიშვნელობა, ფარულში თუ ღია სამსახურში) და უარს ვამბობ საპასუხისმგებლო, სახელმწიფო სამსახურზე“. მე მგონი, ასეთი პიროვნება მათში არ აღმოჩნდება. ამიტომ ვამბობ, რომ დღეს ლუსტრაციის კანონის მიღებაზე საუბარი დაგვიანებულია. კიდევ ვიმეორებ, ეს ხელისუფლება ან არ მიიღებს ამ კანონს, მხოლოდ ილაპარაკებს დროის მოსაკლავად, ან მიიღებს დამახინჯებული, შეკვეცილი სახით, ხალხის აბუჩად ასაგდებად. ის კი, რომ ამ სიების გამოქვეყნება ადამიანების თავმოყვარეობაზე, სინდისზე, პატიოსნებაზე იმოქმედებს, გიპასუხებთ. თქვე ოჯახაშენებულებო, თუკი მათ, ვინც ღიად ემსახურებოდა მტერს, მოკალათებულნი იყვნენ რბილ და თბილ სავარძლებში და დღეს არათუ რცხვენიათ, პირიქით, დღესაც უფრო მჭიდროდ ეპოტინებიან სავარძლებს და ცოცხალი თავით არ უნდათ დათმობა, რატომ უნდა იყოს სირცხვილი იმისათვის, ვინც ფარულად, საიდუმლოდ ემსახურებოდა მტერს. მე მგონი, სირცხვილი და განსაცდელი თვითონ ის ფაქტია, რომ შენ მტერს ემსახურებოდი და არა ამ ფაქტის გამოაშკარავება. მაგრამ, როცა ზნეობისა და მორალის დონე ჩვენში ნულზეა, რა თქმა უნდა, მთავარია სისაძაგლე არ გამჟღავნდეს და არა ის, რომ ეს სისაძაგლე არ ჩავიდინო. გარდა ყველაფერ ამისა, ლუსტრაციის კანონის იმ სახით მიღებას და ცხოვრებაში გატარებას, რა სახითაც მე მოგახსენებთ, ანუ იმ სახით, რა სახითაც უნდა იყოს და არსებობს ლუსტრაციის კანონი, სწორედაც დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს უპირველეს ყოვლისა, მომავალი თაობისათვის და არა მარტო ჩვენთვის. ამას აქვს საყოველთაო ზნეობრივი მნიშვნელობა. უფრო მეტს გეტყვით, ყველაზე პირველი მზად ვარ პირადად მე გამოვაცხადო საკუთარი თავი ლუსტრაციას დაქვემდებარებულად, თუნდაც იმის გამო, რაც უკვე მოგახსენეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემდაუნებურად, ჩემთვის გაუცნობიერებლად აღმოვჩნდი მტრის ბრმა იარაღი. დანარჩენი თქვენ თვითონ და მკითხველმა განსაჯეთ.

**— ესე იგი, თქვენი აზრით, პოლიტიკაში სუფთა და უმწიკვლო ადამიანები უნდა იყვნენ, მაგრამ რას უპასუხებდით იმათ, ვინც სთვლის, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა?**

— *(იცინის).* ვუპასუხებდი, რომ პოლიტიკა ბინძურია იმათთვის, ვინც ასე სთვლის, ე.ი. ბინძური ადამიანისათვის. სწორედ ამიტომაა საჭირო ლუსტრაცია, ხოლო ჩვეულებრივ ცხოვრებაში პოლიტიკაში მიმსვლელი ადამიანებისათვის ტესტირების რალაც ფორმა უნდა არსებობდეს, რათა ბინძური ხალხი არ გაძვრეს. სხვათა შორის, ეს აზრი (რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა) ჩვენში იმიტომ არის გავრცელებული, რომ 70 წელი საბჭოთა რეჟიმში ვცხოვრობდით, იმ რეჟიმში, რომლისთვისაც პოლიტიკა სწორედ ბინძური საქმე იყო, საშინაოც და საგარეოც. საბჭოთა რეჟიმი ყველგან ბინძურ პოლიტიკას აწარმოებდა და ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჩვენ ხომ ამ რეჟიმის პირმშოები ვართ და როგორ შეიძლება სხვანაირად ვიფიქროთ? თორემ მე შემიძლია მსოფლიო ისტორიიდან უამრავი სუფთა და ზნეობრივი პოლიტიკოსი ჩამოგითვალოთ და ჩამოგითვლით კიდეც. დავიწყებ ბიბლიური დავითით, რომელიც ასევე ისტორიული პიროვნება და მეფე იყო, საბერძნეთის დემოკრატიის მამა პერიკლე, ჩვენი დიდი დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, დემეტრე თავდადებული, თუნდაც მეფე ერეკლე. შემდეგ ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, რონალდ რეიგანი, მარგარეტ ტეტჩერი, დე გოლი, ანვარ სადათი — ეგვიპტის პრეზიდენტი და მრავალი კიდევ სხვა, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. დავასახელებ კიდევ მხოლოდ ერთს, ვილი ბრანდს, რომელიც დასავლეთ გერმანიის კანცლერის თანამდებობიდან მხოლოდ იმიტომ გადადგა, რომ ერთ-ერთი მისი თანაშემწე აღმოსავლეთ გერმანიის დაზვერვის, ე.ი. კომუნისტების აგენტი აღმოჩნდა, რომელიც გაშიფრეს და დააპატიმრეს. არავინ არ უთხრა ვილი ბრანდს, რომ ეს როგორ დაგემართა, ახლავე უნდა გადადგეო — პირიქით, როდესაც გადადგომის შესახებ გამოაცხადა, ევედრებოდნენ, არ გადამდგარიყო, მაგრამ ის იმ დონის ზნეობის პატრონი იყო, რომ თავის თავს არ აპატია ასეთი, მისივე აზრით, პოლიტიკური სიბეცე, და გადადგა (ასოციაციების ძებნას ჩვენში ნუ დაიწყებთ, თორემ სავალალო სურათს წავაწყდებით).

**— თქვენის აზრით, ზვიად გამსახურდია როგორი პოლიტიკოსი იყო?**

— მე ვხვდები თქვენი შეკითხვის პათოსს, მაგრამ არამც და არამც არ შემიძლია ვთქვა, რომ ზვიად გამსახურდია ბინძური პოლიტიკოსი იყო. თუ მხედველობაში გაქვთ 1978 წლის ამბები, ეს, როგორც თვითონ აცხადებდა და ცხონებული მერაბ კოსტავაც უდასტურებდა, მათი შეგნებული მოლაპარაკების შედეგი იყო. მე მჯერა ამისი (რომ არ მჯეროდეს, ალბათ, არც დავდგებოდი მის გვერდში). და რომ ერთი წუთით არც მჯეროდეს, მაქსიმუმ, ეს ადამიანურ სისუსტედ შეიძლება ჩავუთვალოთ, ვიდრე სიბინძურედ. ის, რაც პრეზიდენტობის დროს დაემართა, ამაზეც უკვე მოგახსენეთ, რომ, როგორც ყველა მოკვდავი, არც ის იყო შეცდომებისაგან დაზღვეული. სამწუხაროისაა, რომ ზოგიერთი მისი შეცდომა საბედისწერო გამოდგა, როგორც პირადად მისთვის, ასევე მთელი ქართველი ერისათვის. რაც შეეხება მის ეროვნულობას, ამაში მე მგონი, არავის არ ეპარება ეჭვი. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ჯერ არ შემხვედრია.

**— ბოლოს და ბოლოს, გჯერათ საქართველოს მომავლის და თუ გჯერათ, რისი იმედი გაქვთ?**

— მე მწამს ღმერთი და აქედან გამომდინარე, მწამს საქართველოს მომავლის. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად რომ შევხედოთ ვითარებას (ბევრ რამეზე ჩვენ არ გვისაუბრია), თითქოს ჩვენს ქვეყანას დაღუპვა ემუქრება. არა, არ შეიძლება დაიღუპოს ქვეყანა, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრია და სადაც ქრისტეს კვართია დაფლული. ის, რაც ჩვენ დაგვემართა და გვემართება, ყველაფერი კანონზომიერია, ყველაფერს ვიმსახურებთ ჩვენი და ჩვენი წინაპრების ცოდვებისათვის. უფრო მეტად ჩვენი ცოდვებისათვის, თორემ ჩვენ რომ წინაპრების ცოდვებისათვის ჩვენი არ მიგვემატებინა, ღმერთი მოგვიტევებდა. რისი იმედი მაქვს? იმის, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ქართველი ხალხი ბრძენია, გააცნობიერებს თავის უკეთურობებს, დაუბრუნდება ღმერთს, დედაეკლესიას, ილოცებს და ღმერთს შეავედრებს თავის მომავალს. მე მესმის, რომ პრაგმატულ და მატერიალისტ ადამიანს სასაცილოდ არ ეყოფა ჩემი გამონათქვამი, მაგრამ მერწმუნეთ, უდიდესი ძალა და მადლი გააჩნია ლოცვას. ძალიან დიდი ენერგიის კონცენტრირება ხდება ერთობლივ ლოცვაში. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, რამოდენა ძალა ექნება, ერთ მშვენიერ დღეს, ერთმა მილიონმა ქართველმა რომ ერთდროულად აღავლინოს ღმერთისადმი შემდეგი ლოცვა: „აცხოვნე უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ „ უფალო დიდება შენდა“. ვინმემ ისე არ გამიგოს, თითქოს ვამბობდე, რომ ლოცვის მეტი არაფერი არ უნდა ვაკეთოთ. არათვით უდიდესი განსაცდელის მდგომარეობაშიც კი არ უნდა დაეცე, სასო არ უნდა წარიკვეთო და როგორც ადრე მოგახსენეთ, ხელი უნდა გაანძრიო, უნდა იშრომო, ოღონდ ღმერთი და ლოცვა არ უნდა დაივიწყო. კონკრეტულად რა უნდა გავაკეთოთ? კარგი იქნება, თუკი ერთ კვირადღეს, რომელიც წინასწარ გამოცხადდება, რათა ხალხი მობილიზდეს ამისათვის, რომელიმე ტელეარხით (რა თქმა უნდა, საუკეთესო ვარიანტია I არხი) ამ ლოცვას, რომელიც მოგახსენეთ, ან სხვას (ჩვენი სამღვდელოების შეხედულებისამებრ), ჩვენი სამღვდელოების რომელიმე წარმომადგენელი (რალა თქმა უნდა, საუკეთესო ვარიანტია უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) წაიკითხავს და რომელსაც მთელი საქართველო მუხლზე დაჩოქილი ერთდროულად შეუერთდება, ეს იქნება იმოდენა ძალისა და ენერგიის კონცენტრაცია, რომ საქართველო განწმენდილი და ცოდვებმონანიებული შეეგებება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას და ბედნიერი შეაბიჯებს 21-ე საუკუნეში.

ესაუბრა
**ამრიტა ჯანაშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეექვსე გვერდიდან

# ჰიტლერის ანდერძი, ანუ „საუბრები ბუნკერში“



მუნებული ბრძანდებოდეთ, მთელ თავიანთ გეგმებს ისინი ადგენენ მაკიაველის გამჭრიახობით. მე სავსებით მჯერა, რომ ამ შემთხვევაში მათ შეიმუშავეს შორსმიმავალი გეგმა, რომელიც გულისხმობს თეთრი სახელმწიფოს მიერ ამომავალი მზის იმპერიის განადგურებას, რომელიც მსოფლიო რანგის სახელმწიფომდე ამაღლდა და რომელიც ყოველთვის მედგრად ეწინააღმდეგებოდა ებრაულ სენს.

ჩვენთვის იაპონია ყოველთვის დარჩება მოკავშირედ და მეგობრად. ეს ომი გვასწავლის ჩვენს უფრო მეტად ვაფასებდეთ და პატივს ვსცემდეთ მას, ვიდრე ოდესმე. ომი გვიბიძგებს კიდევ უფრო განვამტკიცოთ ურთიერთდამაკავშირებელი ძაფები. რა თქმა უნდა, დასანანია, რომ იაპონელები არ ჩაებნენ რუსეთთან ომში ერთდროულად და ჩვენთან ერთად. მათ რომ ეს გაეკეთებინათ, სტალინური არმიები ახლა არ გარემოიცვამდნენ ბრესლაუს (ვროცლავი — გ.ბ.) და არ შეიგრიალებდნენ ბუდაპეშტში. ბოლშევიზმი ჩვენ უნდა მოგვესპო ზამთრის დადგომამდე, მაშინ კი რუზველტი შეჭოჭმანდებოდა ორი, ჩვენი და იაპონელების ესოდენ მძლავრი მოწინააღმდეგის პერსპექტივის წინაშე. ამავე ზომით ვწუხვარ, რომ იაპონიამ არ დაიპყრო სინგაპური 1940 წლის დასაწყისში, საფრანგეთის დამარცხებისთანავე დაუყოვნებლივ. ამერიკელები საპრეზიდენტო არჩევნების წინაშე იდგნენ და შეუძლებლად ჩათვლიდნენ კონფლიქტში ჩარევას. იმ დროს ეს იქნებოდა ერთ-ერთი შემობრუნების პუნქტი ომის მსვლელობაში.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ და იაპონელები ერთგულად ვიდგებით გვერდგვერდით. ან გავიმარჯვებთ, ან დავილუპებით ერთად. თუ ჩვენ პირველები დავეცემით, ვერ წარმოვიდგენ, რომ რუსები გააგრძელებენ იაპონიის გულისათვის „აზიური სოლიდარობის“ მითის მხარდაჭერას“.

ანტიჰიტლერული კოალიციის, დასავლეთის ქვეყნებთან სეპარატული მშვიდობის ჩამოგდების იმედი ჰიტლერისა და მისი უახლოესი წრისათვის ხსნის ბოლო შანსი იყო.

„ორმოცდათოთხმეტი თვის ტიტანური ბრძოლის შემდეგ, ორივე მხრიდან შეუდარებელი გააფთრებით რომ მიმდინარეობს, გერმანელი ხალხი ეული აღმოჩნდა იმ კოალიციის წინაშე, რომელმაც მისი მოსპობა დაიფიცა. ომი მძინვარებს ყველგან, ჩვენს ყველა მიჯნაზე. იგი ყოველდღიურად გვიახლოვდება. ჩვენი მტრები თავს უყრიან მთელს თავიანთ ძალებს უკანასკნელი შტურმისათვის. მათი მიზანია არა მარტო ჩვენი განადგურება ბრძოლის ველზე, არამედ ჩვენი ფიზიკურად ამოწყვეტაც. ისინი ესწრაფვიან ჩვენი რეიხის, ჩვენი მსოფლმხედველობის განადგურებას, გერმანელი ხალხის მონებად გადაქცევას და ეს ყველაფერი თავს ატყდება გერმანელებს ნაციონალ-სოციალიზმისადმი ერთგულებისათვის. საათის ისრები თორმეტს უახლოვდება.

მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. იგი გამოუვალიც კი მგონია. ჩვენ შეიძლება დავილალოთ, გამოფიტვა დაგვეუფლოს, ისეთ ზომამდე შეიძლება დავეცეთ სულით, რომ ჩვენი მტრების სისუსტეებისადმი ბრმები შევიქნებით. რაც არ უნდა იყო, ასეთი სისუსტეები არსებობენ. ჩვენს წინ არაერთგვაროვანი კოალიცია დგას, ერთდროულად შებოჭილი სიძულვილითა და შურით. ამ გაებრაელებულ კონგლომერატს ადუღაბებს ნაციონალ-სოციალიზმის დოქტრინით გაჩენილი შიში. ვდგევართ რა ამ ამორფული ურჩხულის პირისპირ, ჩვენ მხოლოდ ერთი შესაძლებლობაღა გვაქვს — დავეყრდნოთ საკუთარ ძალებს, ვურტყათ ამ ნაირგვაროვან ბრბოს ნაციონალური პოზიციებიდან, რასაც ვერ შეგვირყევს ვერცერთი მტერი. ხალხი, გერმანელი ხალხი, რომელიც ახლა ასე იბრძვის, არასდროს შთაინთქმება ეშმაკის მორევში. პირიქით, ასეთი ძნელი განსაცდელიდან იგი სულით უფრო განწმენდილი, უფრო უშიშარი გამოვა, ვიდრე ოდესმე, რაც არ უნდა წარუმატებლობანი განვიცადოთ უახლოეს დღეებში, გერმანელი ხალხი მათში ჰპოვებს ახალ ძალებს და რაც არ უნდა მოხდეს დღეს, გერმანელები მიაღწევენ გაბრწყინებულ ხვალინდელ დღეს.

მსხვერპლის ამოწყვეტის წყურვილს გაცოფებამდე მიჰყავს ეს ძაღლები. ჩვენ სხვა არჩევანი არ გვრჩება, გარდა ერთისა. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ შეუპოვარი სიმამაცით, უკანმოუხედავად, მტერთან პირისპირ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დავიცვათ მშობლიური მიწა. სანამ ვაგრძელებთ ბრძოლას, ამდენად კიდევ არსებობს იმედი. ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ აღარ ვიფიქროთ იმაზე, რაც უკვე დაკარგულია. არცერთი თამაში არ წაიგება ბოლო სასტვენამდე. მაგრამ თუ ყველაფერ ამის მიუხედავად ბედისწერით გათვლილია, რომ ჩვენს ისტორიაში კიდევ ერთხელ უნდა დავმარცხდეთ რიცხობრივად აღმატებული ძალების მიერ, მაშინ, მოდი, დავეცეთ მაღლა აწეული თავებით და იმის შეგნებით, რომ გერმანელი ხალხი ჩირქმოუცხებელია. ჩვენი შეუპოვარი ბრძოლა საუკუნეებით დარჩება მარადის მოციაგე მაგალითად. მოდი, გავიხსენოთ ლეონიდე და სამასი სპარტელი. ყველა შემთხვევაში ჩვენ იმ თიხისგან არ ვართ მოზელილი, საიდანაც გამოსულია ნახირი, მორჩილად რომ მიჰყვება სასაკლაოს გზას. მათ შეიძლება დაგვხოცონ, მაგრამ ისინი ვერასოდეს გაგვრეკავენ ნახირის სასაკლაოზე!

არა, არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა! შეხედეთ, ბედის შემოტრიალების რამდენ მაგალითს იძლევა გერმანელი ხალხის ისტორია! შვიდწლიანი ომის დროს ფრიდრიხი (ფრიდრიხ II დიდი — პრუსიის მეფე XVIII ს. ში — გ.ბ.) აღმოჩნდა შესაბრალის მდგომარეობაში. 1762 წლის ზამთარში მან გადაწყვიტა, თუ არ მოხდებოდა ცვლილებები მის მიერ ნაგულისხმევი პერიოდისათვის, იგი საწამლავით თავს მოიკლავდა. მიაქციეთ ახლა ყურადღება, ამ დღის დადგომამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მოულოდნელად კვდება დედოფალი (რუსეთის დედოფალი ელისაბედი — გ.ბ.) და მთელი ვითარება სასიკეთოდ იცვლება. ფრიდრიხ დიდივით ჩვენც ასევე ვებრძვით კოალიციას, რომელიც ერთიანი მთლიანი მტკიცე არ არის. იგი არსებობს მხოლოდ ერთი მუჭა ხალხის ნება-სურვილით. ჩერჩილი რომ უცაბედად გაქრეს, ყველაფერი მყისიერად შეიცვლებოდა! ინგლისის არისტოკრატია შესაძლოა მიხვდენილიყო, თუ რა უფსკრული იდო მის წინ, რითაც სერიოზულად შეძრწუნდებოდა კიდევაც! ო, ეს ინგლისელები, რომელთა სასარგებლოდაც ჩვენ არაპირდაპირი ფორმით ვიბრძვით და რომლებიც დატკბებიან ჩვენი გამარჯვების ნაყოფით!... ბოლო ნახტომით ჩვენ კიდევ შეგვიძლია მტრისთვის გამარჯვების ხელიდან გამოტაცება, ოღონდ კი დრო გვეყოს ამისათვის!

ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვჭირდება — არ ვცნოთ საკუთარი დამარცხება, ვინაიდან გერმანელი ხალხისათვის დამოუკიდებელი არსებობის გაგრძელების თვით ფაქტი უკვე გამარჯვებაა. ეს ერთი კი საკმარისი იქნება მიმდინარე ომის გამართლებისათვის, რაც ამაოდ არ დარჩება. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო — გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის მტრებმა მე იგი ჯერ კიდევ 1933 წლის იანვარში მომახვიეს თავს“.

1945 წლის 26 თებერვალს ჰიტლერი ამბობდა: „ მე ევროპის უკანასკნელი იმედი ვიყავი. მას არ აღმოაჩნდა ნებაყოფლობითი რეფორმებით თავისი თავის განახლების უნარი. იგი არ გამოეხმაურა ალერსსა და საყვედურებს. მის დასაუფლებლად მე იძულებული ვიყავი მიმემართა ძალადატანებისათვის. მხოლოდ ნანგრევებზე შეიძლება ევროპის აშენება, მაგრამ არა მატერიალური გაგებით, არამედ ფულადი ინტერესებისა და ეკონომიკური კოალიციების, გონებრივი შეზღუდულობისა და გაუკუღმართებული ცრურწმენების, დრომოჭმული იდიოსინკრაზიისა და გონებაშეზღუდულობის ნანგრევებზე. ევროპა უნდა შეიცვალოს ყველას საერთო ინტერესებში, ცალკეული პიროვნებების ინტერესების მიუხედავად. ნაპოლეონს ეს შესანიშნავად ესმოდა.

მე, შეიძლება სხვებზე უკეთესად მესმის ნაპოლეონის ტანჯვა-წამება, რომელიც ოცნებობდა მშვიდობის ზეობაზე და იძულებული იყო შეუწყვეტელი ომები ეწარმოებინა ისე, რომ მათი დამთავრების იმედის ნატამალიც არ გააჩნდა, თუმცა ამასთან ერთად მშვიდობის დამყარების უკანასკნელ იმედს მაინც ყოველთვის ატარებდა. 1940 წლის ზაფხულიდან იგივე წამებას განვიცდიდი მე. ევროპის აყვავების გზაზე წინააღმდეგობას ყოველთვის ინგლისი ქმნიდა. თუმცა ახლა ინგლისი მობერდა და დასუსტდა, მაგრამ ისეთივე მავნე და გაფუჭებული დარჩა. და ბოლოს, ამ უარყოფით და არაბუნებრივ პოლიტიკაში მას მხარს უჭერს აშშ, რომელსაც თავის მხრივ მხარს უჭერენ და უბიძგებენ საერთაშორისო ებრაელობის მთელი ძალები“.

**მოამზადა გიორგი ბეჟუაშვილმა**

**გაგრძელება იქნება**

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №7



შალვა ჭოლიაური

# წარსულის გახსენება

ახმედი იმედს არ კარგავდა. ომის ბედი ათასგვარად იცვლებაო, იტყოდა ხოლმე იგი და თავის გასაკეთებელს მაინც აკეთებდა, რითაც, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა უკუქცეულ გერმანელებს.

ამ მიზნით, 1943 წლის აგვისტოში, ცხრა ათასამდე სული ცხვარი გავიტაცეთ საქართველოდან, კერძოდ, თუშეთიდან, ვაჟკაცობის მხილველი ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ მაინც გაკვირვებული დავრჩი თუში მწყემსების შეუპოვრობით, კბილებამდე შეიარაღებულებს, შიშველი ხელებით, ხის კავებით გვიმკლავდებოდნენ და არაფრის საშუალება არ მოგვცეს, ვიდრე არ გავისტუმრეთ საიქიოს.

ახმედს უნდოდა, საქართველოშიც ჰყოლოდა ისეთი ხალხი, ვინც მხარს აუბამდა ამგვარ სარისკო საქმეში, ამ მიზნით, იგი ჩვენი თანამემამულეების მეშვეობით, შეხვდა აღმოსავლეთ საქართველოში განთქმულ აბრაგს, გოგი ჭიჭოშვილს. შეხვედრა შედგა პანკისის ხეობაში, კერძოდ, ბაწარის მთაზე. იმ შეხვედრაზე ახმედმა მეც წამიყვანა, მაგრამ შეხვედრას ჩვენთვის არავითარი სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია, იმის გამო, რომ ჭიჭოშვილმა უარი თქვა შეთავაზებულ წინადადებაზე. — მე ჩემი ხალხი მინახავს, მასაზრდოებს და მათი მძარცველი და ჯალათი არასოდეს გავხდებიო.

ჭიჭოშვილთან შეუთანხმებლობამ ხუჩბაროვს ხელი ვერ აალებინა თავის განზრახვაზე: წლების მანძილზე ვიტაცებდით საქონელს ახმეტის, თელავის, თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის და სხვა რაიონებიდან. გატაცებული საქონლის მეტი წილი გერმანელთა დახმარებას ხმარდებოდა. მაგრამ მათი უკან შემობრუნება უკვე აღარაფერს შეეძლო. 1943 წლის 2 თებერვალს მთლიანად დამთავრდა სტალინგრადის რაიონში ალყაშემორტყმული გერმანელთა ჯარების ლიკვიდაცია. წითელმა არმიამ ტყვედ აიყვანა სამასი ათასზე მეტი გერმანელი მეომარი. ერთი ამდენი, თუ უფრო მეტიც, სტალინგრადისათვის ბრძოლებს შეეწირა, ასე რომ, გერმანელთა ჯარის გამარჯვებაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტი იყო.

საბჭოთა ჯარების ასეთმა წარმატებამ დიდი არეულობა შეიტანა ჩვენს მეომრებშიც. იპარებოდნენ, გარბოდნენ, სახელმოხვეჭილი აბრაგები და ურიგდებოდნენ საბჭოთა მთავრობას, საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით აწვდიდნენ მათ მეტად საჭირო ცნობებს, რაც განსაკუთრებულ საიდუმლოებასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ჩვენთვის, ახმედ ხუჩბაროვის ხალხისათვის, ყველაზე დიდი უბედურება იყო ჩეჩენინგუშთა დეპორტაცია შუა აზიის რესპუბლიკებში, რაც სრულიად მოულოდნელად 1944 წელს განახორციელა საბჭოთა მთავრობამ, პირადად სტალინის მითითებით. მათ ადგილებზე კი იწყეს ჩამოსახლება სხვადასხვა ეროვნების ხალხებისა, რომელნიც ჩვენთვის სრულიად არასანდონი იყვნენ. ასეთ პირობებში გაჭირდა ხალხის შენახვაც, ზოგჯერ თუ მაძღრები ვიყავით, ზოგჯერ ვშიმშილობდით კიდეც.

1944 წელს ვერაგულად მოკლეს ჰასან ტერლოევი, რომელიც უძლიერესი პოლიტიკოსი გახლდათ. იგი ორგანიზაციას, ხელმძღვანელობას უწევდა მთიელ ხალხთა ბრძოლას, მოძალადე კომუნისტების წინააღმდეგ. მისი სიკვდილი უმძიმესი ლახვარი იყო ჩვენთვის და განსაკუთრებით კი ახმედ ხუჩბაროვისათვის.

ომის დამთავრების შემდეგ უფრო გაძნელდა ჩვენი არსებობა, ეს გასაგებიცაა. როცა გერმანელებს ებრძოდნენ, კომუნისტებს ჩვენთვის არ ეცალათ, ახლა კი მთელი შესაძლებლობით შემოგვიტიეს, ხალხმაც დაგვალალატა, თუ სადმე ჩვენს ნიშან-კვალს მიაგნებდნენ, უმალვე აცნობებდნენ ადგილზე. ასეთი ვერაგული დაბეზღების მსხვერპლნი გახდა 1948 წლის იანვარში ხუთი სახელმოხვეჭილი აბრაგი... მათ გარდა რაზმიდან უკვალოდ გაქრა ჩვენი რაზმის შვიდი წევრი, ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა, ყველაფერს ხომ აქვს თავისი დასასრული.

ერთ დღეს ახმედის მოადგილემ (ახმედი წასული იყო სადღაც) გამოგვიცხადა, რომ საჭირო იყო იარაღისა და ტყვია-წამლის შემოტანა. ისიც გვითხრა, რომ იარაღის მარაგი ინახებოდა სადღაც დარიალის ხეობაში, ერთ-ერთ გამოქვაბულში, რომელთან მისასვლელი საცალფეხო ბილიკი მდინარეს მოერღვია და ახლა იმ გამოქვაბულთან დაშვება მხოლოდ თოკის კიბით უნდა მომხდარიყო. სხვაგვარად იქიდან იარაღის გამოტანა არ მოხერხდებოდა.

როგორც გვითხრეს, საქმე განსაკუთრებულ გამბედაობას მოითხოვდა, ამიტომაც მოხალისე პიროვნება თვითონ უნდა გამოსულიყო და სურვილი გამოეთქვა წასასვლელად.

მე და ჩემმა ძმადნაფიცმა ოსმანმა უმალვე თანხმობა განვაცხადეთ წასვლაზე. დანარჩენი მსურველებიც გამოჩნდნენ. სულ ოცი კაცი, მათ შორის მანსურ გაჯიევი (მკითხველი მას უკვე იცნობს) და მოზდოკელი სომეხი, რომელსაც ევალებოდა ადგილზე ცხენით თოკის კიბის მიტანა.

სასწრაფოდ დამზადდა, შემოწმდა თოკის კიბე, მერე იგი შევფუთეთ, ცხენზე დავამაგრეთ და მხედარიც გაეშურა მინიშნებული ადგილისაკენ, რომელიც ადრევე ცნობილი იყო მისთვის. ჩვენ კი, დანარჩენები, ფეხით გავუყევით გზას გამოქვაბულისაკენ (რაზმის ხელმძღვანელობა გაჯიევს ევალებოდა).

შუადღე კარგა გადასული იყო, როდესაც გაჯიევის ნიშანზე ერთი კლდის ქიმზე შევჩერდით. ჩვენს ირგვლივ უშველებელი პიტალო კლდეები დაყუდებულიყვნენ, რომელთა ძირზეც აღრენილი თერგი ბობოქრობდა, მისი აქოჩრილი ტალღები კლდეთა ძირებს ლოკავდა და ხათქახუთქით ახშობდა ყურთასმენას.

შეთანხმებისამებრ — აკოფა აქ უნდა დაგვხვედროდა, მაგრამ არსად არ ჩანდა. მანსურმა საგანგაშოდ მიიჩნია ეს ამბავი, თუმცა სულ მალე მის ეჭვებს წერტილი დაესვა, რადგანაც აკოფა წამოგვადგა თავზე, დაგვიანებაზე მოიბოდიშა, უნაგირზე გარსაკრი გამიწყდა და მისი შეკეთების გამო შემაგვიანდაო. საქმის გარჩევა არ დაგვიწყია, დროც აღარ იცდიდა, მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო და უნდა მოგვესწრო ეს საშური საქმე დაბინდებამდის.

ცხენიდან თოკის კიბე ჩამოვხსენით, გავშალეთ და ერთხელ კიდევ შევამოწმეთ მისი ვარგისიანობა, მერე მისი ერთი ბოლო საიმედოდ ჩავაბით იქვე მყარად მდგარ ლოდზე, რომელიც კლდის ქიმის ბაქანთან იყო დასობილი. მეორე ბოლოში მოზრდილი ქვა მოვაბით და ჩავუშვით კიბე უფსკრულში.

რაზმის უფროსმა მოკლე სიტყვით აგვიხსნა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით ამ სახიფათო ოპერაციის შესრულების დროს და ერთხელ კიდევ გაგვაფრთხილა ყველა, რომ ვისაც გამბედაობა არ ჰყოფნიდა, უფსკრულში არ დაშვებულიყო. კლდის ქიმზე ორი კაცი დავტოვეთ სადარაჯოდ. დანარჩენებს, პირველი, თვითონ გაჯიევი ჩაგვიძღვა თოკის კიბით გამოქვაბულში. მასვე მივყევით ჩვენც ყველა. აბა, რას წარმოვიდგენდით, თუ ეს საიდუმლო ოპერაცია გათქმული და გაყიდული იქნებოდა, თორემ ასე ბრიყვულად არ გავებმოდით მუხანათურად დაგებულ მახეში. თუმცა, ან როდემდე ვივლიდით ასე, ყოველივე დასაწყისს ხომ აქვს თავისი დასასრული, მაგრამ როგორი გულდასაწყვეტია, რომ ასეთ თავგანწირულ ნაბიჯს, როგორიც მაშინ ჩვენ გადავდგით, ასეთი სამარცხვინო ღალატი და ტრაგიკული ფინალი მოჰყვა, რაც იქ დაგვემართა, უფრო სწორად, ჩვენივე რაზმის რომელიღაც წევრმა, რომელმაც წინდაწინ იცოდა ამ ოპერაციის ჩატარების შესახებ, ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობა იქ, სადაც საჭირო იყო და ახლა, ალბათ, აქვე, ჩვენს გვერდით იყო მოყუჩებული, იმიტომ, რომ დრომდე მისთვის ასეა საჭირო. ასეთია მოღალატე კაცის ბუნება. ვაგლახ, რომ მას შუბლზე არ აწერია ვერაგობა და გაუტანლობა.

თავის დროზე განა ასე არ მოიქცა ჩემი ღვიძლი მამიდაშვილი მაგრეზ ხუგაევი, რომელმაც ჩვენი ოჯახის უბედურებაზე საკუთარი ოჯახის ბედნიერების აგება ისურვა, მაგრამ ვერ ასცდა განგების მიერ დაგებულ ხაფანგს. თუმცა თავისივე საქციელით მე ასეთ კაციჭამიად მაქცია და ცხოვრების ყოველივე სიკეთეზე ხელი ჩამაქნევინა.

ჩემს ძირითად სათქმელს ცოტა წინ გავასწარი, ამიტომ კვლავ უკან მომიწევს დახევა, რათა თანმიმდევრულად მოვყვე ყველაფერს. გამოქვაბულიდან იარაღის გამოტანა შეგვაგვიანდა (თითქმის სულ პისტოლეტები და ტყვია-წამლის მარაგი იყო), ზურგჩანთებში ჩავაწყეთ ყველამ ჩვენ-ჩვენი წილი და ასე ზურგჩანთააკიდებულებმა ზესვლა ვიწყეთ თოკის კიბით, დრო არ იცდიდა, საღამოს ბინდით საკმაოდ ჩამუქებულიყო ისედაც პირქუში კლდეთა ღრანტეები.

კიბეზე თითო-თითო ავდიოდით და მაღლა რა ხდებოდა, ამოუცნობი იყო დაბლა დარჩენილთათვის. ამიტომაც ყველა, ასე ხელგაუნძრევლად, ცხვრებივით აგვიყვანეს შინაგანი სამსახურის ჯარისკაცებმა, რომელნიც ეშმაკმა უწყის, თუ საიდან გაჩნდნენ აქ. ყველას ხელბორკილები დაგვადეს. იარაღი და სხვა რაიმე მისთანანი ჩამოგვართვეს, ავტომატშელერებულებმა წინ გაგვირეკეს. იქვე ჩვენი სამოქმედო ადგილიდან ასორმოცდაათი მეტრის დაშორებით ერთ მოზრდილ ტაფობში ორი სამხედრო ვერტმფრენი ჩანდა შენიღბული, რაც აშკარად მიანიშნებდა, რომ ეს საქმე წინასწარ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული იყო.

**გაგრძელება იქნება**

# კონტროლის საერთაშორისო მექანიზმები ადამიანის უფლებების სფეროში და იმ მოქალაქეთა საერთაშორისო დაცვა, რომელთა უფლებები დარღვეულ იქნა ეროვნული მართლმსაჯულებით



სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიო ზეიმობდა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 50 წლისთავს. ამ დეკლარაციამ, აგრეთვე გაეროს რიგმა სხვა დოკუმენტებმა უზარმაზარი გავლენა იქონიეს ადამიანის უფლებების სიტუაციაზე მსოფლიოში. სამწუხაროდ, მიღებულია ამ მსოფლიო ორგანიზაციის საყოველთაოდ ლანძღვა, და ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ სწორედ საბჭოთა ბლოკი არ აძლევდა საშუალებას გაეროს გაეფართოებინა თავისი საქმიანობა. ყველანაირად ხელს უშლიდა მუშაობაში, ქმნიდა დაჯგუფებებს გაეროს შიგნით, რომელთა ქცევა ზოგჯერ კომუნალური სამზარეულოს დონემდე დადიოდა, და თავზე ახვევდა მას ისეთ რეზოლუციებს, რომელთა მოგონებაც კი სასირცხვილოა.

არ შევჩერდები ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაზე, მართლაც და ნამდვილ პოემაზე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების შესახებ, და დავიწყებ ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების განხილვით, რომლებიც გათვალისწინებულია 1966 წლის საერთაშორისო პაქტით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ. პაქტით მიღებულია კონტროლის სამი პროცედურა იმ ვალდებულებებზე, რომლებიც სახელმწიფოებმა თავის თავზე აიღეს. პაქტის მუხლების თანახმად კონტროლის ფუნქციები დაკისრებულია ადამიანის უფლებათა კომიტეტზე, რომელიც შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან. კონტროლის პირველ პროცედურას წარმოადგენს მონაწილე ქვეყნების მოხსენებების განხილვა პაქტის დებულებების შესრულების შესახებ. კონტროლის მეორე მექანიზმი ძალაში შევიდა 1979 წელს, პაქტის 41-ე მუხლის თანახმად ის ფაკულტატიურია და მოქმედია მხოლოდ იმ სახელმწიფოთათვის, რომლებმაც აღიარეს კონტროლის ეს ფორმა. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია აღიაროს კომიტეტის კომპეტენცია, მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები იმის შესახებ, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს პაქტის დებულებებს, ან მიიღოს და განიხილოს ერთი სახელმწიფოს საჩივარი მეორე სახელმწიფოს მიმართ. მესამე პროცედურა მოქმედებს პაქტისადმი ფაკულტატიური ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს კომიტეტის უფლებამოსილებას განიხილოს ცალკეული მოქალაქეების შეტყობინებები და საჩივრები. საჩივარი შეიძლება მიწოდებულ იქნას თვითონ იმ პირის მიერ, ვისი უფლებებიც დაირღვა. ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ. მაგრამ კომიტეტს შეუძლია მიიღოს საჩივარი არა თვითონ იმ პირისაგან, რომლის უფლებებიც დარღვეულ იქნა, თუ არსებობს უტყუარი მონაცემები იმისა, რომ თვითონ მოქალაქეს არ შეუძლია მიაწოდოს მსგავსი საჩივარი კომიტეტს პირადად, მაგალითად, თუ ის იმყოფება ციხეში, მაგრამ პირადი საჩივრების მიღების ძირითად პირობას წარმოადგენს დაცვის ყველა შიდა სამართლებრივი ფორმის ამოწურვა. საჩივრის აღიარების შემდეგ გაეროს კომიტეტი მოითხოვს სახელმწიფოსაგან ექვსთვიან ვადაში წარმოადგინოს ახსნა-განმარტება საკითხის არსზე და მიუთითოს ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, კომიტეტის მუშაობის შედეგად მთელ რიგ ქვეყნებში მოხდა ცვლილებების შეტანა ეროვნულ კანონმდებლობაში, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მდგომარეობა.

კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმი მოქმედებს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდირების შესახებ 1965 წლის კონვენციის საფუძველზე. მონაწილე ქვეყნები რეგულარულად წარადგენენ მოხსენებებს კონვენციის დებულებების შესრულების შესახებ, აგრეთვე მიღებული ზომების, მათ შორის სასამართლო ზომების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. სახელმწიფოს შეუძლია იჩივლოს სახელმწიფოზე, ცალკეულ პირებს ან პირთა ჯგუფს აგრეთვე შეუძლიათ იჩივლონ მათ მიმართ კონვენციის დებულებების დარღვევის თაობაზე, კონტროლის ეს პროცედურა არის ისევ ფაკულტატური, სახელმწიფომ უნდა აღიაროს ის მთლიანობაში კონვენციისგან ცალკე.

წამებისა და სხვა არაადამიანური, ღირსების დამამცირებელი საქციელის წინააღმდეგ 1984 წლის კონვენციის საფუძველზე მოქმედებენ შემდეგი დამცავი მექანიზმები: ამ კონვენციის დებულებების შესრულების შესახებ მონაწილე ქვეყნების მოხსენებების განხილვა კომიტეტის მიერ. სახელმწიფოს თანხმობით სპეციალური კომისიის მოვლენა წამების გამოყენების, გამოსაძიებლად, ერთი სახელმწიფოს მეორეს მიმართ, აგრეთვე ინდივიდუალური საჩივრის განხილვა.

კონტროლის არასაშეთანხმებო (ამიტომ შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა სახელმწიფოს მიმართ, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა) პროცედურათაგან ერთ-ერთი, ცნობილი როგორც „პროცედურა 1503" (გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციის ნომრის მიხედვით), არის უფრო მოქმედი. მისი ძირითადი თავისებურება იმაშია, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს კი არ ეხება, არამედ სიტუაციებს, რომლებიც შეეხება ადამიანთა დიდი რიცხვის ინტერესებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. შეტყობინებები შეიძლება მოვიდეს ცალკეული პირებისაგან, ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან. ამ შემთხვევაში აგრეთვე უნდა იქნას ამოწურული სამართლებრივი დაცვის ყველა შიდა საშუალება გარდა შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება ეროვნულ დონეზე ან უსაფუძვლოდ იწელება, ან არაეფექტურია. ადამიანის უფლებათა კომისიას შეუძლია მიიღოს რეზოლუცია, რომლის საფუძველზე შემდგომში შეიძლება განხორციელდეს გარკვეული სანქციები. მათ შორის ეკონომიკური. მაგალითად, ერაყის წინააღმდეგ გამოყენებული სანქციები, რომლებიც ეყრდნობოდა აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებებს. რადგანაც კუვეიტში შეჭრის დროს უხეშად იქნა დარღვეული ადამიანის უფლებები როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აგრეთვე თვით ერაყშიც. პირველად მსოფლიოს ისტორიაში მძიმე სიტუაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით კუვეიტის ოკუპირებულ ნაწილში ამ რეგიონში გამანთავისუფლებელი ომის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

არსებობს კონტროლის მექანიზმები, აგრეთვე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში, შეიძლება უფრო ეფექტურიც, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი. ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტული შემთხვევების მიმართ ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნისაგან ინფორმაცია ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესახებ. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მოსკოვის ადამიანის ფაქტებთან დაკავშირებული 1991 წლის შეხვედრის დოკუმენტის შესაბამისად ეს ინფორმაცია გადაცემულ უნდა იქნას 10 დღის განმავლობაში (ერთი თვის მაგივრად, როგორც ეს მითითებულია ვენის შენაჯამებ დოკუმენტში). შეიძლება მოეწყოს ორმხრივი შეხვედრები, რომლებიც ტარდება ერთი კვირის განმავლობაში მოთხოვნის შემდეგ.

მეორე მექანიზმია — ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ექსპერტების მისია, რომელიც იქმნება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრთა მოთხოვნის პრობლემების განსახილველად ადამიანის უფლებების სფეროში, ჰელსინკის გაერთიანება იყენებს არა მხოლოდ საჩივრების განხილვის მექანიზმს, არამედ აერთიანებს ყველაფერს ერთად, რაც იურიდიულ შესაძლებლობას იძლევა გამოყენებულ იქნას გარკვეული სანქციები. მაგალითად, სავაჭრო სანქციები ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო იმ ნაკეთობების შეძენა, რომლებიც წარმოებულ იქნა იძულებითი შრომის გამოყენებით. გარდა ამისა, ჯეკსონ-ვენიკის შესწორებამ ამერიკის კონგრესში შეიტანა სავაჭრო შეზღუდვები ემიგრაციის თავისუფლების არარსებობასთან დაკავშირებით. ეს ქვეყნებზე ზეგავლენის მძლავრი მექანიზმია ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

არსებობს აგრეთვე კონტროლის ქმედითი მექანიზმი ევროპის საბჭოში. ჯერ კიდევ 1950 წელს ევროსაბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს ევროპის კონვენციას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის შესახებ, რომელშიც მოგვიანებით შეტანილ იქნა 11 დამატებითი შესწორება. შეიქმნა არა მხოლოდ ადამიანის უფლებების ევროპის კომისია, არამედ ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოც, რომელსაც შეიძლება მიმართონ როგორც ცალკეულმა მოქალაქეებმა, ასევე ორგანიზაციებმაც. შემუშავებულია სამართლებრივი პროცედურა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პროცედურის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული დარღვევების გამოსწორება ადამიანის უფლებების სფეროში. 1998 წლის ბოლოს კონვენციის კონტროლის მექანიზმის რეორგანიზებასთან დაკავშირებით კომისიამ შეწყვიტა თავისი არსებობა და ფუნქციონირება დაიწყო მხოლოდ სასამართლომ. კომისიის პროცედურის ძირითადი წესები იქნება შენარჩუნებული და აღიქმება მხოლოდ სასამართლოს მიერ. ძალაში რჩება აგრეთვე საჩივრების მისაღებობის წესები (კრიტერიუმები). ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გზის გახსნა, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიაა. როგორც აღვნიშნე, იმ პირების საჩივრებს იხილავს, ვისაც მიაჩნია, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით და ოქმებით გარანტირებული უფლებები. საჩივრის შეტანა მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ უფლებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ კონვენციის და შესაბამისი ოქმების რატიფიცირებისა და მისი ძალაში შესვლის შემდეგ მოხდა. სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის რატიფიკაცია ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო იხილავს მხოლოდ იმ საჩივრებს, რომელთა დაცვა კონვენციითაა გარანტირებული. მხოლოდ: ხელისუფლების გამგებლობაში არსებულ საკითხებს, მაგალითად: ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო ადმინისტრაციის, სასამართლოების და ა. შ. ხოლო სასამართლო არსებულ საკითხებს არ იხილავს, მაგალითად: კერძო პირების წინააღმდეგ მიმართულ საჩივრებს, საჩივრის ევროპის სასამართლოში გაგზავნამდე უნდა გამოიყენოს სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრებისა და აპელაციის ყველა ხელმისაწვდომი საშუალება. ევროსასამართლოსადმი მიმართვის უფლება გააჩნია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, არასამთავრობო ორგანიზაციას, ან კერძო პირთა ჯგუფს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი უფლებები დარღვეულია ევროსაბჭოს წევრი-ქვეყნის მიერ. ევროსასამართლოსადმი მიმმართველებს შეუძლიათ თავადვე დაიცვან თავიანთი საკუთარი ინტერესები სასამართლოში, მაგრამ ევროსასამართლო სასურველად თვლის, რომ ადვოკატი ჰყავდეთ, თუ მათ ამის საშუალება არა აქვთ სასამართლო თავადვე დაუნიშნავს ადვოკატს, რომელიც დაიცავს მათ კანონიერ ინტერესებს.

უმნიშვნელოვანესი მოვლენაა გაეროს მე-6 სპეციალური კომიტეტის წინადადება მუდმივად მოქმედი საერთაშორისო ტრიბუნალის დაფუძნების შესახებ. მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ყველაზე უმძიმეს დანაშაულთა უმრავლესობა, ნარკობიზნესის ჩათვლით, ექვემდებარება ამ ტრიბუნალს. ამასთან დაკავშირებით, ურიგო არ იქნება მე-2 მსოფლიო ომის ერთი მნიშვნელოვანი შედეგის — ნიურნბერგის ტრიბუნალის — გახსენება. ეს ტრიბუნალი წარმოადგენს საერთაშორისო აღიარებას, ბუნებრივი სამართლის პრიორიტეტების პირდაპირ ფიქსაციას. მაში რის საფუძველზე უნდა დაესაჯათ დამნაშავეები? გერმანიის კანონების საფუძველზე არ შეიძლებოდა, რადგან მათ არ დაურღვევიათ გერმანიის არცერთი კანონი, ე. ი. პოზიტიური სამართალი დარღვეული არ იყო. ნიურნბერგის პროცესის პრეცედენტი — ეს ერთგვარი ფარული აღიარებაა მსოფლიო საზოგადოების მიერ ბუნებრივი სამართლის არსებობისა და პრიორიტეტისა, დამნაშავეები დაისაჯნენ ბუნებრივი სამართლის კანონების საფუძველზე. თავად ცნება „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, დანაშაული ჰუმანურობის წინააღმდეგ" ითვალისწინებს სხვა გარკვეულ კანონებს, რომლებიც ბუნებაში არსებობენ, კანონებს, რომლებიც დაცული უნდა იქნენ ამა თუ იმ ქვეყანაში პოზიტიური სამართალის ამა თუ იმ ფორმებისგან დამოუკიდებლად.

დაჟინებით უნდა იქნას მოთხოვნილი, რომ ქვეყნებმა რაც შეიძლება მალე მოახდინონ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირება. ეს შესაძლებელს გახდის სრულად იქნას გამოყენებული მთავრობებზე ზეგავლენის საერთაშორისო მექანიზმები და უფრო ეფექტური დახმარება გაეწიოს იმ პირებს, რომელთა უფლებები შეილახა და არ არის დაცული ეროვნული მართლმსაჯულებით. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასამართლო რეფორმის განხორციელება, რაც აბსოლუტურად აუცილებელია, რადგან იცვლება სახელმწიფოს როლი და ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში: პოლიტიკურიდან ის უნდა გადაიქცეს სამართლებრივ ქვეყნად. სახელმწიფოს მართვის ორგანიზმების გარდაქმნა ხელისუფლების გაყოფის პრინციპებზე მოითხოვს, მართლმსაჯულების ჩამოყალიბებას ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდ, ურთიერთკავშირების დ გაწონასწორების სისტემის შექმნას. არ არსებობს უკეთესი ხერხი ადამიანების ქცევის შეცვლისა პოზიტიური მხარისაკენ, ვიდრე ის, რომ უფრო ადამიანური გახდეს მათი საქმიანობის პრინციპები და პირობები. კი არ წარმოადგენენ კანონიერების გარანტს, არამედ კანონები გამოდიან გარანტის როლში პიროვნებების თვითნებობისა და არაკეთილსინდისიერების წინააღმდეგ. ძირეულად უნდა შეიცვალოს სახელმწიფოსა და პიროვნებებს შორის ურთიერთობათა დოქტრინა, მართლმსაჯულება მათ შორის სამართლის შესახებ დიალოგის ასპარეზად იქცევა. იუსტიცია დამსჯელი ორგანოდან სამართალდამცავ ორგანოდ უნდა გარდაიქმნას, უზრუნველყოფილი უნდა იქნას იუსტიციის პრიმატი ადმინისტრაციის მიმართ. ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლის წყაროდ აღიარებულია რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც წარმოადგენენ სამართალს მათი შიდასახელმწიფოებრივ ნორმებში ტრანსფორმირების მიუხედავად. არსებობს აგრეთვე საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმით, სხვა საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტებთან ერთად, რომელსაც დემოკრატიულ ქვეყნებში თავისი გამორჩეული პრიორიტეტული ადგილი აქვს დათმობილი ადამიანის უფლებების მიმართულებით მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას /ენჯეო/ მათ როლსა და მნიშვნელობას, რომელთა აქტიური მოღვაწეობა ხელს უწყობს ადამიანთა, პიროვნების ღირსებისა და ღირებულებათა დამკვიდრების საქმეს, რომელთაც მეხუთე ხელისუფლებად მოიხსენიებენ და მართლაც, რომ რეალურად ფლობენ საზოგადოებრივი კონტროლის ბერკეტებს მხოლოდ დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოებში.

**გიორგი თეიზაძე**
**ადამიანის უფლებათა დაცვის და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი.**

# ახალგაზრდული ფორუმი

ამა წლის 26-27 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზმა უმასპინძლა რესპუბლიკურ სემინარს „საქართველო კონფლიქტების გარეშე". სემინარის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და ახალგაზრდული გაეროს საქართველოს ქსელი. სემინარს ფინანსური დახმარება აღმოუჩინა აშშ საინფორმაციო სააგენტომ IREX-ის თბილისის წარმომადგენლობამ. სემინარში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის უნივერსიტეტების, გორის ინსტიტუტის, სიღნაღის, ახალციხის, სოხუმის თსუ ფილიალების ახალგაზრდა მეცნიერებმა. დაესწრნენ მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში სომხეთის საელჩოს წარმომადგენლები...

იმუშავა ორმა — ეკონომიკურმა და ისტორიულ-კულტურულმა სექციამ.

ეკონომიკურ სექციას უძღვებოდა თსუ დოცენტი მერაბ აბდალაძე, ცხარე დისკუსიის დროს, რომლის თემა გახლდათ „ეკონომიკური ინტეგრაციის როლი მშვიდობის მშენებლობაში" გამოიკვეთა აზრი: თუმცა, ცნობილია, რომ ეკონომიკური ფაქტორები ხელს უწყობს კონფლიქტების დარეგულირებას, კავკასიის ერებისათვის ეს ნაკლებად ეფექტურად მოჩანს, რადგანაც აქაური ერები უპირველეს ყოვლისა ეროვნული და პოლიტიკური მიზნებით ხელმძღვანელობენ, აღმოჩნდება ეს ეკონომიკურად მომგებიანი თუ არა.

ისტორიულ სექციას უძღვებოდა თსუ ასპირანტი გვანცა აბდალაძე. თემები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და აქტუალურობით. განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა თემამ „კოსოვოს მოდელი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისათვის", რომელიც წარმოადგინა სოხუმის უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის მასწავლებელმა თეიმურაზ პაპასქირმა. მისი აზრით, ამოწურული დიპლომატიური საშუალებების ფონზე სამხედრო ჩარევა ერთადერთ რეალურ საშუალებად მოჩანს კონფლიქტის დასარეგულირებლად. გაჩნდა შეკითხვა: რამდენად შესაძლებელია ნატო-ს დაინტერესება აფხაზეთის პრობლემით? რამდენად მისაღები იქნება ქართული მხარისათვის ამერიკული პოლიტიკური ძალის ჩარევა? თეიმურაზ პაპასქირის აზრით, თუ გავითვალისწინებთ მოთხოვნილებათა იმ პუნქტებს, რომელიც მილოშევიჩს ამერიკულმა მხარემ წაუყენა, ის სრულიად მისაღები უნდა იყოს ქართული მხარისათვის. რაც შეეხება ოპერაციის განხორციელების პერსპექტივებს, ის არცთუ არარეალურია, ბევრმა ფაქტორმა შეიძლება ხელი შეუწყოს პროცესის დაჩქარებას, მაგალითად, რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებმა...

აღნიშნული სემინარი ჩატარდა პროგრამის „შავიზღვისპირეთი — ხმელთაშუაზღვისპირეთი" ფარგლებში, რომლის ინიციატორები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გაეროს ასოციაცია — საქართველოს ქსელი, ახალგაზრდული გაერო — საქართველოს ქსელი. პროგრამით დაგეგმილია სხვადასხვა სემინარები და კონფერენციები. საორგანიზაციო ჯგუფი მზად არის ითანამშრომლოს დაინტერესებულ პირებთან.

**ბონდო კუპატაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატელევიზიო პროგრამები. 6 – 11 ივლისი

## 6 ივლისი, სამშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.15 ჯეიმს ბრაუნი თბილისში. პრეს-კონფერენციის ექსკლუზიური რეპორტაჟი "შერატონ-მეტეხი-პალასი"-დან. 18.35 თ. შავლოხაშვილი. კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის. 18.55 ეთმის მოსვლამდე- 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 რეტროპერსპექტივა. 22.00 ვესტნიკი. 22.20 ასპარეზი. 22.30 კამერა-ტონი. 22.45 ინტელექტ-კლუბი. 23.30 "სტუმრად თბილისში" - ეობრაზცოვა. 0.15 მო-TV. 0.25 მხ.ფ. "შემოდგომის მარათონი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 "უიმბლდონი". საჩოგბურთო პროგრამა. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 "დიზაინი". 22.20 მხ.ფ. "პური, სიყვარული და ფანტაზია". 0.15 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.45 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 23.55 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ. "შოკი". 23.00 ანალიტ. პროგრამა "Перекресток". 0.50 მხ.ფ. "დაპყრობა". 2.55 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 22.45 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 "ილია". 11.55 მხ.ფ. "სულის სამალავები-2". 18.20 მხ.ფ. "თვითმარქვიები". 20.35 მხ.ფ. "აფიორა". 22.50 მუს.ლაბირინთი. 22.55 მხ.ფ. "დევნა-2". 0.30 სერიალი "მენტები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტფილმი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.40 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. "ქუჩური კანონით". 0.15 მხ.ფ. "ღამით გაქცეული". 1.45 მუს.კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.00 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „ეკალ-ბარდებში მომღერალნი". 14.15, 22.30 მხ.ფ. „თვალთვალი". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03, 21.45 მუსიკა. 18.30 დოკ.ფ. 18.40 ბიზნეს-კურიერი. 19.00 "ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 მუს.სამშაბათი.

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო. 10.15, 17.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ.ფ. 15.30 მუს.კოლაჟი. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.40, 19.30, 21.10, 22.55, 1.00 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "გაურკვევლობა". 12.50 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.40 მხ.ფ. "სიყვარულს არჩარევა არ უყვარს". 21.20 მხ.ფ. "მკვდარი ციზმრები". 23.10 მხ.ფ. "წინადადება". 1.15 მხ.ფ. 3.20 ნონ-სტოპი.

7.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.55 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Смехопанорама". 11.50 Домашняя библиотека. 12.00 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.00 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Счастливый случай". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.15 "Как это было". 21.00 Х/Ф "УБИЙСТВО В ДОМЕ ВИКАРИЯ". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 22.40 "Однако". 22.50 Х/Ф "ОДИНОЖДЫ ОДИН". 00.40 "Абажур". 01.10 Сериал "ТЕМНЫЕ НЕБЕСА". 02.20 Х/Ф "КРЕПОСТЬ ОТЧАЯННЫХ".

**НТВ КИНО** 11.35, 19.05 Сериал "ДЕТЕКТИВ НЕШ БРИДЖЕС" (США). 12.20, 18.50, 01.05 КиНовости. 12.30 Х/Ф "ПАРЕНЕК". 14.00 Х/Ф "ОГНЕВАЯ МОЩЬ" (США). 15.35 Х/Ф "МЕЧТА - ЭТО ЖЕЛАНИЕ ВАШЕГО СЕРДЦА. ИСТОРИЯ АНЕТТ ФУНИЧЕЛЛО". 17.05 Х/Ф "БЕССТРАШНЫЙ ТИГР". 18.35 Х/Ф "НЕЧАЯННАЯ РАДОСТЬ". 19.50 Х/Ф "БУЛЬВАР". 21.30 Х/Ф "ПОДРАЗДЕЛЕНИЕ "Т". 23.10 Х/Ф "БЕЛЫЕ ТЕЛЕФОНЫ". 01.15 Х/Ф "ПЛОХОЙ ВКУС".

**DISCOVERY CHANEL** 13.00 Наука слежки. 13.50 Первые полеты. 14.20 Поворотные моменты истории. 14.45 Воздушные силы. 15.40 Сверхъестественное. 16.10 Загадочный мир Артура Кларка. 16.35 Охотники за привидениями. 17.05 Река сомнений. 18.00 Авианосец. 18.55 Катастрофа. 19.20 Мир рыболовства с Рексом Хантом. 20.00 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.30 Мир Уолкера. 21.00 Взаимосвязи. 22.00 История одного зоопарка. 22.30 Секреты океана. 23.30 Самолеты и автомобили Колтрейна. 0.00 Шторм.

## 7 ივლისი, ოთხშაბათი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 18.00, 20.00, 23.55 მოამბე. 18.15 50/50. 19.05 სერიალი "დალასი". 20.35 "ბასტი-ბუბუ". 20.55 ტელესკოპი. 21.00 ვიდეოპატრული-02. 21.10 პრესსტუდია. 22.00 ვესტნიკი. 22.20 "მოქანდაკე" - გ. შხვაცაბაია. 22.50 ხეირი. 23.00 მო-TV. 23.15 ტელესინე-ვიდეო. 0.10 ამერ.მხ.ფ. "ლოს-ანჯელესის საიდუმლოებანი".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.45 "ოაზისი". 20.00 5/5. 21.10 სერიალი "ანტონელა". 22.00 "ახლო ხედი". 23.00 მხ.ფ. "ორერა, სრული სვლით!" 0.20 ჰიტ-პარადი.

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30, 2.25 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00 "ორნი". 10.00, 18.15 "ელენი და მისი მეგობრები". 10.30, 19.10 "ცისფერი ხე". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "ლოს-ანჯელესის კანონი". 18.40 აკუნა მატატა. 21.40 მხ.ფ "ფანტომი". 23.55 "მაშველები". 0.50 მხ.ფ. "სალომეს უკანასკნელი ცეკვა". 2.35 კლასიკა.

**VII არხი** 11.30, 18.05, 20.05, 23.05 ტელეგაზეთი. 11.35, 20.10 აჩიკუდა. 11.50 მხ.ფ. "თავდასხმელი". 13.15 "ავტოპილოტი" (გამეორ.). 18.20 მხ.ფ. "ფრენების მართვისას". 19.45 მუსტაიმ-აუტი. 20.35 მხ.ფ. "ოლივერი". 23.10 მუს.ლაბირინთი. 23.15 მხ.ფ. "მაფიოზებთან ყველაფერი დასწრებაზეა". 0.55 სერიალი "მენტები".

17.00, 18.30, 20.30, 0.00 პოსტ-ფაქტუმ. 17.15 მულტფილმი. 17.35 დოკ.ფ. 19.00 სპექტრი. 20.20, 21.45, 23.45 მუსიკა. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ. "შეუპოვრობა". 0.15 მხ.ფ. "მწვავე შეგრძნებები". 1.50 მუს. კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00, 22.00 "სტუდია-25". 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი „ეკალ-ბარდებში მომღერალნი". 14.15 მხ.ფ. „თვალთვალი-2". 18.00 დღის ქრონიკა. 18.03, 21.50 მუსიკა. 19.00 „ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 21.00 „სტუმარი". 22.30 22.30 მხ.ფ. „პლეზანტვილი".

10.00, 17.30, 20.30, 22.00, 0.20 ექო. 10.15, 16.45 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა. 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**IST** 8.00 ტონიკი. 10.10, 12.25, 19.25, 21.10, 23.00, 1.00 მუსიკა. 10.30 მხ.ფ. "წინადადება". 12.35 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.35 მხ.ფ. "ერთხელ ცხოვრებაში". 21.20 მხ.ფ. "ადამიანრეპტილიათა შემოსევა". 23.15 მხ.ფ. "საუკეთესო მსროლელი". 1.15 მხ.ფ. 3.20 ნონ-სტოპი.

